# „რეგულარის“ ტიპის საწვავი დღეს საქართველოში მაქსიმუმ უნდა ღირდეს 1,30 ლარი

**რატომ აქვს ბრენდებს შორის „ლუკოილს“ ყველაზე იაფი „რეგულარი“ და როდის გააიაფებს კიდევ — რას პასუხობენ „ალიას“ კომპანიაში** 5

N8 /3324/ 19-20 იანვარი 2016 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

**მღებრიშვილი მიდის — ახალი მინისტრი გოგაშვილი იქნება?**



3

**ჯანდაცვის სამინისტრო ფსიქოტროპული მედიკამენტის ურეცეპტოდ გაყიდვის რეგულაციის გამკაცრებაზე მუშაობს**



11

**ლარის კურსი შეიძლება უფრო დაბალიც იყოსო და ქენით რამე, თქვე კაი ხალხო, მიდექით, მოდექით!**



4

**რაში გადაიხადა ზაქარია ქუცნაშვილმა 150 000 ლარი — დეპუტატის ქონება და შემოსავლები**



2

**გრიპის ვირუსების შემთხვევების მატება მომავალი კვირიდანაა მოსალოდნელი**



13

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ზაზა ხატიაშვილი: „სააკაშვილის კიდევ ერთი მოსამართლე, მურუსიძეზე არანაკლები, ჯემალ კოპალიანი დანიშნეს სააპელაციოში მოსამართლედ“

„ხალხს უკვე 3 წელია აბუჩად იგდებენ ბიძინა ივანიშვილი და მისი უსუსური კოალიცია და ესეც მორიგი იყო, მაგათგან არც უარესები უნდა გაგიკვირდეს კაცს. ეგ უარესები კი წინ გვაქვს, ჯერ კიდევ დარჩათ ხელისუფლებაში ყოფნის დრო“ 4



## როგორ მოხვდა ბარბარე რაფალიანცის სკანდალური საქმის ადვოკატი შსს-ს გენინსპექციის უფროსის მოადგილედ?

ზურაბ ჟორბენაძე: „რომ არა ჯანყარაშვილი, ეს გამოუცდელი თეოლოგი, როგორ დანიშნეს გენინსპექციაში სამმართველოს უფროსის მოადგილედ?“ 6



„სამი თვის წინ ივანიშვილი ამბობდა, ჩემზე უკეთესი პრემიერ-მინისტრია ღარიბაშვილი, რაც დრო გადის, უფრო ნაკლებად მაწუხებს და რჩევებს მეკითხებაო. უცებ გადააყენა ისე, რომ 32 წლის ბიჭი მხოლოდ ორი წელი იყო პრემიერ-მინისტრი და გადადგომის წინ ასეთი განცხადება გააკეთა, — ყველამ უნდა ვიცოდეთ როდის უნდა მოვიდეთ და როდის უნდა წავიდეთო. თითქოს, 10 წელი იყო პრემიერი და 70 წელი შეუსრულდა.“ 3



## სოსო ცინცაძე: „აზერბაიჯანი ამას არ გვაპატიებს“

„ვუყურებდი, რა სახით გამოვიდა „სოკარის“ პრეზიდენტი კვირიკაშვილთან შეხვედრიდან, საოცრად გაბრაზებული სახე ჰქონდა“ 3

## ვინ არის ბერი ნიკოლოზ მაქარაშვილი და რა სასწაულების შესახებ მოუყვნენ „ალიას“ ადამიანები, რომლებიც მას პირადად იცნობენ

12–13





# „ალია“ გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს!



მართლმადიდებელი ეკლესია დღეს ნათლისღების დღესასწაულს აღნიშნავს.

ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში წირვის დასრულებამდე ეკლესიის ეზოში არსებულ დიდ აიაზმაში წყალკურთხევის რიტუალი შესრულდება. წყალს უწმინდესი აკურთხებს და ახლად ნაკურთხ წყალს ტაძარში მლოცველებს ასხურებს. მორწმუნეებს ნაკურთხი წყლის სახლში წაღება შეეძლებათ.

ნაკურთხ წყალს უფლის მიერ კურთხეული მდინარე იორდანეს მადლი ენიჭება და უხრწნელ თვისებებს იძენს. მორწმუნეებს მისი მიღება უზმოზე შეუძლიათ, განსაკუთრებით – ავადმყოფობისა და განსაცდელების დროს.

ნათლისღების დღესასწაული 12 საუფლო დღესასწაულს შორის ერთ-ერთია. სხვაგვარად ამ დღეს ღვთის გამოცხადების დღესასწაულს უწოდებენ, რადგან ყოვლადწმინდა სამება გაცხადდა. ასევე, დაწესდა ნათლობა. ყოველი წლის ამ დღეს მდინარე იორდანე ალმა იწყებს სვლას, როდესაც იერუსალიმის პატრიარქი მდინარეში სამჯერ ჯვარს გადააგდებს, როგორც ეს უფლის მდინარეში ჩასვლის დროს მოხდა.

სახარების მიხედვით, მდინარე იორდანეში წმინდა იოანე ნათლისმცემლის ხელიდან იესო ქრისტეს ნათლისღებისას მასზე სულიწმინდა მტრედის სახით გადმოვიდა და თავზე დაადგა, ხოლო ზეციდან ხმა გაისმა: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მე სათნო ვიყავ“.

# მაია ნიკოლეიშვილი — ინფორმაციას, რომ თითი მოჭრილია და მიკერებული, ნამდვილად ვერ დავადასტურებ, მაგრამ დაზიანება ნამდვილად არის ფეხის თითზე



– ინფორმაციას, რომ თითი მოჭრილია და მიკერებული, ნამდვილად ვერ დავადასტურებ, – ამის შესახებ დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა ბიძინა კუჭავას ცხედრის გარეგანი დათვალიერების შემდეგ განაცხადა.

მისი განმარტებით, სახელმწიფო ექსპერტიზის მიერ ამოჭრილია კანის ნიმუშები, ამიტომ დღეის მდგომარეობით შეუძლებელია მსჯელობა იმის შესახებ, რით არის დაზიანებები მიყენებული ან როგორია სროლის მანძილი.

– მარჯვენა საფეთქლის მიდამოდან კანი ამოჭრილია ექსპერტის მიერ, მარცხენა ქვედა კიდურიდან ასევე ამოჭრილია კანის საკმაოდ დიდი ზომის პრეპარატები. ჩვენ ვნახეთ საკმაოდ სახეშეცვლილი დაზიანებები, აქედან გამომდინარე, დღეს იმით, რაც ვნახეთ, მსჯელობა იმის შესახებ, რით არის დაზიანებები მიყენებული ან სროლის მანძილი როგორია, გამორიცხულია.

იმედი მაქვს, გამოძიება მოგვცემს საშუალებას, მონაწილეობა მივიღოთ ამ პრეპარატების კვლევაში, მიკროსკოპული კვლევაც იქნება, რითაც ხანდაზმულობაც შეიძლება დადგინდეს და სროლის მანძილიც. უამრავი მოქმედებაა ჩასატარებელი, სანახავია მანქანა, სადაც სისხლის კვალებია, უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში, სად არის განლაგებული და როგორ. ეს ყველაფერი ასაწყობია.

ინფორმაციას, რომ თითი მოჭრილია და მიკერებული, ნამდვილად ვერ დავადასტურებ, მაგრამ დაზიანება ნამდვილად არის ფეხის თითზე. პრეპარატი თითიდან ამოჭრილია, ამიტომ ჯერ ვერ ვისაუბრებ. შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ დაზიანება თითზე ნამდვილად სიცოცხლის დროინდელია, – განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# მთავრობა, „ქართუ“, საპატრიარქო — უბრალო მოქალაქეები ოპერის გახსნას ვერ დაესწრებიან



საზოგადოების მხრიდან მკვეთრად ნეგატიური შეფასება მოჰყვა იმ ფაქტს, რომ 30 იანვარს თბილისის ოპერისა და ბალეტის განახლებული შენობის გახსნაზე დასწრებას მხოლოდ მიწვეული პირები შეძლებენ.

როგორც ირკვევა, რეაბილიტირებული შენობის გახსნაზე მხოლოდ თეატრის, მთავრობის, საპატრიარქოსა და „ქართუ ჯგუფის“ წარმომადგენლები იქნებიან წარმოდგენილნი.

თბილისის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელის დავით კინწურაშვილის განცხადებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის ადმინისტრაციამ აქცენტი „საზოგადო მოღვაწეებზე“ გააკეთა.

– ჩვენ ყველა ადამიანი მოვიწვიეთ, ვინც ამ დღეს თეატრში შეიძლება, მოხვედრილიყო. მაქსიმალური აქცენტი გავაკეთეთ საზოგადო მოღვაწეებზე თეატრალური მიმართულებით და იმ ადამიანებზე, ვინც ღირსია, რომ ეს დღე ნახოს. ჩვენ მოვიწვიეთ მხოლოდ ის ადამიანები და კომპანიების ხელმძღვანელები, ვინც ამ თეატრის აშენებაში მიიღო მონაწილეობა, – ამბობს კინწურაშვილი.

მისი ინფორმაციით, მოწვეულებს შორის არიან მთავრობისა და საპატრიარქოს წარმომადგენლები, დელეგაციები უცხოეთიდან, საოპერო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები. ასევე, ხელოვნების ყველა სფეროს წარმომადგენლები.

დავით კინწურაშვილი ირწმუნება, რომ გახსნის დღის ყველა მოსაწვევი, როგორც ეს სოციალურ ქსელებში გავრცელდა, „ქართუ ჯგუფისთვის“ არ გადაუციათ.

მისი თქმით, მიწვეულებს შორის ნამდვილად არიან „ქართუს“ წარმომადგენლებიც, თუმცა „მათთვის მინიმალური რაოდენობა – ერთი რიგია გამოყოფილი. (ნიუპოსტი)

# კუჭავასთან ასოცირდება მისი გერის მკვლელობის საქმე და ასევე, დაკარგულია მისი და — თალაკვაძე



არჩილ თალაკვაძის განცხადებით, ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ბოლო დღეებში მომხდარი სასტიკი მკვლელობის საქმიდან ქულების დაწერას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ ოთხი სხვა საქმე, რომელიც პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობაში ბრალდებულ კუჭავასთან ასოცირდება, 2005-2009 წლებშია ჩადენილი და არც ერთი გახსნილი არაა. ამის შესახებ განცხადება შს მინისტრის მოადგილემ ტელეკომპანია „იბერიას“ ეთერში გააკეთა:

– მინდა გამოვეხმაურო ოპოზიციური პარტიების ზოგიერთ წარმომადგენელს, რომელთაც, როგორც წესი, ამ საქმიდან სცადეს გარკვეული პოლიტიკური ქულების ჩაწერა. მგონი, ეს დიდი უკულტურობა იყო ამ შემთხვევაში და მინდა მათ შევახსენო, რომ ოთხი სხვა საქმე, რომელიც კუჭავასთან ასოცირდება, იყო ჩადენილი სწორედ 2005-2009 წლებში და სავარაუდოდ, არანაკლები სისასტიკით. არც ერთ საქმეში მკვლელი დადგენილი არ არის, არც ერთი საქმე გახსნილი არ არის და ჩვენ ახლა მაქსიმუმს ვაკეთებთ, რომ იმ საქმეებსაც მოეფინოს ნათელი და დადგინდეს, მონაწილეობდა თუ არა კუჭავა იმ საქმეებში. ნინუებისა და გოჩა მაღალთაძის მკვლელობის გარდა საუბარია, კუჭავას გერის მკვლელობაზე და ასევე, დაკარგულია მისი და რომლის კვალი დღემდე არ იყო ნაპოვნი, – განაცხადა თალაკვაძემ. (ნიუპოსტი)

# ნავთობის ფასი 28 დოლარზე ქვევით დაეცა



აშშ-ისა და ევროპის მიერ ირანისთვის სანქციების მოხსნის ფონზე, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი 2003 წლის მინიმუმამდე დაეცა. „როიტერის“ ინფორმაციით, ორშაბათის სავაჭრო სესიის დაწყებისას „ბრენტის“ მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 27,67 დოლარამდე დაეცა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2003 წლის შემდეგ. თუმცა, გამთენიისას ფასმა მცირედით მოიმატა და ბარელზე 28,55 დოლარი შეადგინა.

38 ცენტით შემცირდა აშშ-ის ნედლი ნავთობის ფასი, რომელმაც ბარელზე 29,04 დოლარი შეადგინა.

სანქციების გაუქმება ირანს ნავთობის ექსპორტის გაზრდის საშუალებას მისცემს, რამაც შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ნავთობის ბაზარზე, სადაც ბოლო თვეების განმავლობაში ნავთობის გადაჭარბებული მიწოდებაა.

ირანმა, რომელიც ოპეკ-ის წევრია, განაცხადა, რომ მზად არის, ნედლი ნავთობის ექსპორტი დღეში დამატებით კიდევ 500 ათასი ბარელით გაზარდოს. (bpn.ge)

# რაში გადაიხადა ზაქარია ქუცნაშვილმა 150 000 ლარი — დეპუტატის ქონება და შემოსავლები



3 საცხოვრებელი სახლი, 8 მიწის ნაკვეთი და 3 არასაცხოვრებელი ფართი საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატის, ზაქარია ქუცნაშვილის ოჯახის საკუთრებაშია.

კერძოდ, როგორც ქუცნაშვილის ქონებრივ დეკლარაციაშია აღნიშნული, დეპუტატი ფლობს 88.00 კვ.მ-ის ფართობის საცხოვრებელი სახლს ბათუმში, გორგასლის ქუჩაზე. ასევე, 89.00 კვ.მ-ის არასაცხოვრებელ ფართს თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე. მიწის ნაკვეთის 33-პროცენტიანი წილის მფლობელია თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა სიონში, რომლის ფართობიც 941.00 კვ.მ-ია (მეწილე პეტრე ქიტესაშვილი). გარდა ამისა, ქუცნაშვილის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთის 70-პროცენტიანი წილი თიანეთში, ხევსურთსოფელში, რომლის ფართობიც 602.00 კვ.მ-ია (მეწილეები ელგუჯა ჩოლოგაური, რევაზ ბოდაველი). ქუცნაშვილი ამავე ტერიტორიაზე ფლობს 345.92 კვ.მ-ის არასაცხოვრებელი ფართის 70-პროცენტიან წილს. გარდა ამისა, დეკლარაციის მიხედვით, ზაქარია ქუცნაშვილი ფლობს 135.00 კვ.მ-ის არასაცხოვრებელი ფართის 100-პროცენტიან წილს თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეებში და ამავე სოფელში მდებარე 137.00 კვ.მ-ის ფართობის მიწის ნაკვეთს.

რაც შეეხება ოჯახის სხვა ქონებას, მამის, ომარ ქუცნაშვილის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი თიანეთში, სოფელ ხოფცაში, რომლის ფართობიც 1900.00 კვ.მ-ია და ამავე სოფელში მდებარე 150.00 კვ.მ-ის ფართობის საცხოვრებელი სახლი. ასევე, მიწის ნაკვეთი თბილისში, სოფელ აგარაკების ტერიტორიაზე, რომლის ფართობი 1500.00 კვ.მ-ია. გარდა ამისა, ომარ ქუცნაშვილს ეკუთვნის 430.00 კვ.მ-ის ფართობის საცხოვრებელი სახლი თბილისში, საირმის ქუჩაზე და ამავე ტერიტორიაზე არსებული 430.00 კვ.მ-ის ფართობის მიწის ნაკვეთი. ომარ ქუცნაშვილის 100-პროცენტიან საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი ნაფარეულში, რომლის ფართობიც 13 333.00 კვ.მ-ია.

ზაქარია ქუცნაშვილის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომანქანა Toyota Land Cruzer Prado, ხოლო ომარ ქუცნაშვილი ფლობს მსუბუქ ავტომანქანა Honda CRV-ს.

რაც შეეხება ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის მიხედვით, მათი წლიური შემოსავალი 68 358 ლარი იყო.

აქედან, ზაქარია ქუცნაშვილმა საქართველოს პარლამენტის წევრობისთვის 55485.00 ლარი მიიღო.

მეუღლე თეა სანიკიძემ კომპანია „ქ ენდ ქ კონსალტინგის“ მარკეტინგის მენეჯერის პოზიციისთვის 7500.00 ლარი, ხოლო ქუცნაშვილის დედამ, თალიკო ლაგაზაურმა პირველი ექსპერიმენტული სკოლიდან, სადაც ის ისტორიის მასწავლებელია, 5443.20 ლარი.

გარდა ამისა, ზაქარია ქუცნაშვილმა შემოსავლის სახით 8925 აშშ დოლარი არასაცხოვრებელი ფართისა (7000.00 დოლარი) და ბინის გაქირავებიდანაც (1925.00 დოლარი) აიღო.

რაც შეეხება ოჯახის სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობას, დეკლარაციის მიხედვით, თეა სანიკიძემ შპს „ნიტაპროქურუმენტგრუპი“ 103822.00 ლარის შემოსავალი მიიღო, ომარ ქუცნაშვილმა კი შპს „ჯეოინჟინერინგიდან“ 66907.68 ლარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზაქარია ქუცნაშვილი სამი შპს-ს პარტნიორია (შპს „მიგრანტთა საადვოკატო ბიურო“, შპს „ადვოკატები რეპრესირებულთათვის“, შპს „ქ ენდ ქ კონსალტინგი“) თუმცა, მას ამ შპსებიდან შემოსავალი გასულ წელს არ მიუღია.

რაც შეეხება დეკლარაციის შევსების მომენტში ქუცნაშვილისა და მისი ოჯახის წევრების საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებს, ასე გამოიყურება:

ზაქარია ქუცნაშვილს „თიბისი ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე 1500.00 ლარი ჰქონდა; ხოლო დეპოზიტზე 11000.00 დოლარი; „ლიბერთი ბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე კი – 900.00 ლარი. გარდა ამისა, მას ნაღდი ფულის სახით ჰქონდა 5000.00 ლარი.

რაც შეეხება ომარ ქუცნაშვილს, მას „ლიბერთი ბანკის“ საპენსიო ანგარიშზე 300.00 ლარი ერიცხებოდა; თალიკო ლაგაზაურს კი „ლიბერთი ბანკი“ საპენსიო ანგარიშზე 150.00 ლარი ჰქონდა;

ზაქარია ქუცნაშვილის მეუღლეს, თეა სანიკიძეს „თიბისი ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე 500.00 ლარი, ხოლო ამავე ბანკის დეპოზიტზე 5.00 ერიცხებოდა.

რაც შეეხება ოჯახის გასავლებს, დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ზაქარია ქუცნაშვილმა 30 000-ლარიანი სამომხმარებლო სესხის პროცენტის დასაფარად 13170.00 ლარი გადაიხადა;

ხევსურთსოფლის ფართის გასარემონტებლად კი 150 000 ლარი აქვს გადახდილი. დეკლარაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ზაქარია ქუცნაშვილის შვილის, თორნიკე ქუცნაშვილის სწავლა ოჯახს გასულ წელს 8300.00 ლარი დაუჯდა. (გურიანიუსი)

# ნეტა, რომელ მთავრობას შეუწუხებია თავი რეგიონებზე ზრუნვისთვის, „ოცნებამ“ ქნას რამე?



რეგიონებში გვაქვს სხვა საქართველო, სხვა ადამიანებით, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში, ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა. მთავრობის მეთაურმა შეხვედრის მონაწილეებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების 4 ძირითადი მიმართულება გააცნო, რომელთა შორისაც ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ რეგიონებზე ზრუნვა დაასახელა.

– ხშირად ჩვენ გვაქვს შეგრძნებები, რომ რაღაცებს ვახორციელებთ, მაგრამ რეგიონებში გვაქვს სხვა საქართველო, სხვა ადამიანებით. იქ სხვა რეალობაა - იქ ადამიანებს არანაირი შეგრძნება არ აქვთ, რომ რაიმე კუთხით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობენ. ამიტომ ჩვენი მაქსიმალური აქცენტი გადატანილი იქნება რეგიონულ განვითარებაზე. რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარებასა და ასევე, ამ პროექტების სწორ პრიორიტეტიზაციაზე, რათა ისინი მაქსიმალურად პასუხობდნენ იმ მოთხოვნებსა და გამოწვევებს, რომლებიც რეგიონებშია, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა. (bpn.ge)

## ისა და — არჩილ თალაკვაძე უდანაშაულობის პრეზუმფციას ხომ არ არღვევს შემთხვევით?!



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ ტელეკომპანია „იბერიას“ ეთერში სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის ვახტანგ ქირიას მკვლელობის დეტალებზე ისაუბრა.

მისი თქმით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ვახტანგ ქირიას ოჯახის წევრებთან ბოლო კონტაქტი 13 იანვარს შედგა, მისი მკვლელობა სწორედ ამ დღეს განხორციელდა. თალაკვაძის განცხადებით, ბიძინა კუჭავამ ვახტანგ ქირია ძველით ახალი წლის ღამეს მოკლა და გასროლა ქალაქში არსებულ ხმაურს დაამთხვია. შემდგომში კუჭავამ გვამი ჩამოკიდა, რათა ის სისხლისგან დაცლილიყო და დაიწყო გვამის დანაწევრება, რა დროსაც ელექტროხერხით ფეხის თითი დაიზიანა. თალაკვაძის განმარტებით, მკვლელობის ადგილიდან დაკარგულია გარდაცვლილი პროკურორის შარვალი და ფეხსაცმელი და გამოძიების ვარაუდით, კუჭავამ ბინა სწორედ პროკურორის ტანსაცმლით დატოვა. თალაკვაძის თქმით, მკვლელობის შემდეგ კუჭავა დაუკავშირდა საზღვარგარეთ ნაცნობს, რომელმაც დააკავშირა ის პოპოვებთან, რათა დაეტოვებინა ქვეყანა. შს მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ აღნიშნულს ჩვენებებში კუჭავას თანმხლები პირები ადასტურებენ.

– ბიძინა კუჭავამ წინასწარ შეძენილი ტალით, რომელსაც ჰქონდა რკინის ღვედი, სავარაუდოდ, გვამი ჩამოკიდა, დაცალა სისხლისგან და შეუდგა მის დანაწევრებას, რა დროსაც დაიზიანა ელექტროსაჭრელით ფეხი და განუვითარდა ძლიერი სისხლდენა. სწორედ ამიტომ აქვს ფეხზე დაზიანება, – განაცხადა თალაკვაძემ.

შსს-ს ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მთავარი პროკურორის ვახტანგ ქირიას მკვლელობაში ბრალდებული ბიძინა კუჭავაა. (ნიუპოსტი)

## ავსტრია შენგენის შეთანხმების მოქმედებას დროებით აჩერებს

Deutsche Welle-ს ინფორმაციით, ამის შესახებ ავსტრიის კანცლერმა ვერნერ ფაიმანმა გაზეთ Österreich-თან ინტერვიუში განაცხადა. გამოცემის ინფორმაციით, ფაიმანმა აღნიშნა, რომ, თუ ევროკავშირს არ ძალუძს თავისი შიდა საზღვრების დაცვა, შენგენის შეთანხმება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და ყველა სახელმწიფომ დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს საკუთარი საზღვრების კონტროლი. მისივე თქმით, ავსტრიაში შესული ყველა მოქალაქე სათანადო შემოწმებას გაივლის. მათ, ვისაც თავშესაფრის მოთხოვნის უფლება არ აქვთ ან არ აპირებენ, საზღვრის გადაკვეთის საშუალება არ მიეცემათ. (bpn.ge)

## სოსო ცინცაძე: „აზერბაიჯანი ამას არ გვაპატიებს“

### „ვუყურებდი, რა სახით გამოვიდა „სოკარის“ პრეზიდენტი კვირიკაშვილთან შეხვედრიდან, საოცრად გაბრაზებული სახე ჰქონდა“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**რა იმალება „გაზპრომთან“ მოლაპარაკების მიღმა? რა საშიშროება ემუქრება საქართველოს?**

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**



**— ბატონო სოსო, რამდენიმე კვირაა „გაზპრომთან“ დაკავშირებით დაპირისპირებები და სკანდალები არ წყდება. ღირდა ამხელა აჟიოტაჟი „გაზპრომთან“ დაკავშირებით?**

– ხეებს იქით, ტყეს ვერ ხედავენ და ვიღაცებს ჰგონიათ, რომ „გაზპრომთან“ დაკავშირებული სკანდალი, ეს არის ცარიელ ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი. რეალურად კი, ჩვენ ვდგებით საკითხის წინაშე, როცა შესაძლებელია, დაირღვეს გეოპოლიტიკური სამკუთხედი – თბილისს, ერევანსა და ბაქოს შორის. ამ სამკუთხედის ბალანსის შენარჩუნებას ედუარდ შევარდნაძე და სააკაშვილიც კი ახერხებდნენ. თუკი ვინმე მომხრეა რუსეთთან ნორმალიზაციის, პირველი მე ვარ, ორივე ხელით მხარს ვუჭერ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას რუსეთთან, მაგრამ სულ სხვა არის ის, რომ

> **რუსეთი და აზერბაიჯანი ძალიან ცუდ ურთიერთობაში არიან მას შემდეგ, რაც რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს თურქებმა. მეორე დღეს ალიევი გამოვიდა და თქვა, რომ ამ ბრძოლაში თურქეთის მხარესაა. რა თქმა უნდა, პუტინი ამას ალიევს არ აპატიებდა და დუმა ახალ კანონს იღებს. ვინც არ აღიარებს სომხეთის გენოციდს, ეს ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად.**

მილიონ-ნახევარი აზერბაიჯანელი ცხოვრობს რუსეთში, 15 ორგანიზაცია აქვთ და ისინი გამოვიდნენ სკანდალური განცხადებით, თუ მაგ კანონს მიიღებთ, ყველა ფეხის ნაბიჯზე დავარღვევთო. მთელი რუსეთი აზერბაიჯანის წინალმდეგ არის აფოფრილი. ახლა მოდით, ვთქვათ, ვინ დგას აზერბაიჯანის უკან. მათ უკან დგას თურქეთი, თურქეთის უკან – ნატო, ჩვენს უკან კი რეალურად, არავინ... ჩვენს რეგიონში დიდი რაღაც ხდება, „გაზპრომი“ 200 დოლარად მოგვყიდის გაზს, თუ 180 დოლარად, არ მადარდებს. მე მადარდებს აი, რა... რუსეთს უნდა სომხეთის იზოლაცია გაარღვიოს ჩრდილოეთიდან ჩვენი დახმარებით და აზერბაიჯანს ცივი ომი გამოუცხადოს საქართველოდან. აზერბაიჯანი ამას არ გვაპატიებს. მე ვუყურებდი, რა სახით გამოვიდა „სოკარის“ პრეზიდენტი კვირიკაშვილთან შეხვედრიდან, საოცრად გაბრაზებული სახე ჰქონდა, რადგან აზერბაიჯანისთვის ეს არის პრინციპული საკითხი. იქ საშინელი კრიზისია, დაეცა ფასები ნავთობზე, გაზზე, კატასტროფულად გაუფასურდა მათი ეროვნული ვალუტა, რუსეთი კი ამას იყენებს აზერბაიჯანის წინააღმდეგ და ალიევს არ პატიობს თურქეთის გვერდით დგომას.

> **პრაქტიკულად, ალიევმა თავისი განცხადებებით რუსეთს ომი გამოუცხადა. პუტინმა რევანში გადაწყვიტა და ჩვენ ამაში ვართ ჩაბმულები...**

აზერბაიჯანისა და რუსეთის „პახმელიაზე“ გამოვა საქართველო. რაც მეტი იქნება გაზის მომწოდებელი, რაჯობია ამას, მაგრამ, როცა სერიოზული საფრთხეებია და ამას არ აანალიზებენ, ეს არის შემაშფოთებელი. არ მესმის, რატომ ვჩქარობთ, ირანს სანქციები მოუხსნეს, სავარაუდოდ, შემოდგომაზე თავისუფლად შეიძლება შემოვიდეს ირანიდან გაზი და რა ჯანდაბად გვინდა ამ შარში გახვევა?!. თანაც, საქმე ის გახლავთ, არავინ იცის, „გაზპრომთან“ რა ხელშეკრულება გაფორმდება. მე ვიცი ჩვენი იურისტების პოტენციალი და ვიცი, „გაზპრომს“ რა დონის იურისტები ემსახურებიან. წყაროზე ჩაიყვანენ და მწყურვალეს დატოვებენ. ისეთ ხელშეკრულებას დაგვიდებს „გაზპრომი“, რომ „სითი პარკი“ მონაგონი იქნება. ხომ ხედავთ, თავის დროზე უგულავამ ისეთ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომ „სითი პარკთან“ ვერაფერს ახერხებენ, უარესი გველის „გაზპრომთან“. ევროპელი იურისტები „გაზპრომის“ იურისტებთან შეხვედრის წინ ტირიან და ქართველებს რას უზამენ, ხომ წარმოგიდგენიათ.

**— თქვენ საუბრობთ გეოპოლიტიკის ბალანსის დარღვევაზე, რაც თავისთავად ცუდია, მაგრამ კონკრეტულად რა საფრთხის შემცველია „გაზპრომთან“ ხელშეკრულების გაფორმება?**

– საფრთხე იქნება ის, რომ საქართველო დაკარგავს ტრანზიტის ფუნქციას, დავკარგავთ სტრატეგიულ მოკავშირეს – აზერბაიჯანს. შეგვეზღუდება დიპლომატიური მანევრის საშუალება, რაც დღეს გვაქვს. მაგალითად, დღეს თუ რუსები ფიქრობენ, რომ აზერბაიჯანს შევეკვრებით, ასე ფიქრობენ აზერბაიჯანელებიც „გაზპრომთან“ ხელშეკრულების შემდეგ, დიპლომატიური მანევრის შესაძლებლობა მოგვესპობა. არ მესმის, ამ ბალანსს ხელოვნურად რატომ ვარღვევთ?!

> „ისეთ ხელშეკრულებას დაგვიდებს „გაზპრომი“, რომ „სითი პარკი“ მონაგონი იქნება. ხომ ხედავთ, თავის დროზე უგულავამ ისეთ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომ „სითი პარკთან“ ვერაფერს ახერხებენ, უარესი გველის „გაზპრომთან“. ევროპელი იურისტები „გაზპრომის“ იურისტებთან შეხვედრის წინ ტირიან და ქართველებს რას უზამენ, ხომ წარმოგიდგენიათ“

**— გამორიცხავთ, რომ აქ ბიძინა ივანიშვილისა და კახი კალაძის ინტერესები იკვეთებოდეს? თავის დროზე ბიძინა ივანიშვილი „გაზპრომში“ 1%-იან წილს ფლობდა და ახლაც არაერთხელ უთქვამთ, ამ ხელშეკრულების უკან ბიძინა ივანიშვილის ინტერესები დგასო...**

– ვერ გეტყვით და ჭორაობას ვერ დავიწყებ. არც იმას გამოვრიცხავ, ამ ფაქტორებზე, რაზეც მე გელაპარაკებით, არავინ ფიქრობდეს. მე ვნახე ტელევიზიით, რა ექსპერტები ჰყავდათ მიწვეული კახი კალაძესთან ამ თემაზე სალაპარაკოდ. დაბნეული თვალებით იყურებოდნენ. შესაძლოა, ისინი კარგი ეკონომისტები არიან, მაგრამ ვერ აანალიზებენ რეგიონალურ პოლიტიკას. თავს დავდებ, თუ სცენარი ასე განვითარდა, აირევა მონასტერი და დაირღვევა ბალანსი. აქ ძალიან ცუდი ამბები მოხდება. მოგვიწევს, ჩვენდაუნებურად, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ერთ-ერთის მხარე დავიჭიროთ და იძულებული მოკავშირე გავხდეთ. როდესაც ქვეყანაში გვყავს 400 ათასი აზერბაიჯანელი, რომელმაც ქართული ენა არ იცის, რომლის პოლიტიკურად გაქართველება ვერ მოახერხე, გვყავს სომხები, ოსები, რომლებმაც ქართული ენაც კი არ იციან და პოლიტიკურად ვერ გააქართველე, ეს ნიშნავს, რომ აქილევსის ქუსლივით გადევს კისერზე ეს საკითხი და აქ რა მოხდება, რა იფეთქებს, არავინ იცის. ვერც ერთი პოლიტიკოსისგან ვერ მოვისმინე სერიოზული განცხადება, ისინი პრიმიტიულად აზროვნებენ. ამათ ლამაზი რუსი ქალი რომ გაეარშიყოს, ეტყვიან, რუსი ხარ და თავი დამანებეო. აი, ამ პრინციპით იმართება მათი ტვინები. ვეკითხები ამ ხელისუფლებას, რა გვინდა, ისლამურ სამყაროს ვუპირისპირდებით?!. კი, დღეს აზერბაიჯანი საერო ქვეყანაა, მაგრამ ხვალ შეიძლება იქცეს ისლამურ სამყაროდ, როგორც ირანი. მე მახსოვს, შაჰისდროინდელი ირანი, ასეთი გაევროპელებული სახელმწიფო არ გენახოთ, იმ დროს ირანში ჯინსებით დადიოდნენ და ღამის კლუბში გრიალებდნენ, მაგრამ ხომ ხედავთ, დღეს რა არის ირანი. ამიტომ გეუბნებით, არავინ იცის, ხვალ აზერბაიჯანი საეროდან გახდება თუ არა ისლამური სამყარო.

ვიდრე „შაჰდენიზი 2“ ამუშავდება, მირჩევნია ის ორი-სამი წელი გაზის გარეშე ვიყო, ვიდრე აქ ომის ეპიცენტრი გავხდეთ რუსეთ-აზერბაიჯანს ან სომხეთ-აზერბაიჯანს შორის. „გაზპრომს“ უნდა, საქართველოში აზერბაიჯანს გაუმართოს ომი, ეს ყველამ კარგად გაიგეთ და ჩვენ რა შუაში ვართ, გამაგებინეთ... წავიკითხე ექსპერტ გელა სვანიძის წერილი, მე მას არ ვიცნობ. ის წერს, – 100 ფაბრიკა-ქარხანა უნდა აშენდეს და აზერბაიჯანიდან მოწოდებული გაზი არ გვეყოფაო. მოდით, ჯერ აშენდეს და შემდეგ ვიფიქროთ ამ საკითხზე. ჯერ აშენებული პატარა სახინკლისხელა ვერაფერი ვნახე. ერთია ენერგეტიკა, მეორეა დივერსიფიკაცია, მაგრამ მთავარი და ყველაზე საშიში გეოპოლიტიკური ბალანსის მოშლაა, რასაც ყოველთვის ისტორიულად მოჰყვება სისხლი, ნგრევა და ომი, მე ეს მაწუხებს და მადლობა თქვენს გაზეთს, რომ ამ ყველაფრის თქმის საშუალება მომცა.

**— შიდა პოლიტიკაზე გადავიდეთ. ღარიბაშვილის გადადგომიდან საკმაო დრო გავიდა. მოვლენებიდან გამომდინარე, დღეს რას უკავშირებთ ირაკლი ღარიბაშვილის პოსტიდან გადადგომას და ახალი პრემიერის პირობებში რატომ დაიწყო შს სამინისტროს წმენდა?**

– ეტყობა, ვიღაცას რაღაცა არ მოსწონს და ამიტომ დაიწყეს კადრების ცვლა. ამ ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა ავთვისებიანი სიმსივნითაა დაავადებული, რომელსაც „სტრეპტოციდით“ ვერ განკურნავ, რადგან უკანასკნელ სტადიაშია. ფიგურების შეცვლით ვერაფერი შეიცვლება. სამი თვის წინ ივანიშვილი ამბობდა, ჩემზე უკეთესი პრემიერ-მინისტრია ღარიბაშვილი, რაც დრო გადის, უფრო ნაკლებად მაწუხებს და რჩევებს მეკითხებაო. უცებ გადააყენა ისე, რომ 32 წლის ბიჭი მხოლოდ ორი წელი იყო პრემიერ-მინისტრი და გადადგომის წინ ასეთი განცხადება გააკეთა, – ყველამ უნდა ვიცოდეთ როდის უნდა მოვიდეთ და როდის უნდა წავიდეთო. თითქოს, 10 წელი იყო პრემიერი და 70 წელი შეუსრულდა.

შემთხვევითი კადრები არიან მოსული როგორც პარლამენტში, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ბიძინა ივანიშვილზე იქნება ჯოჯოხეთური ზეწოლა საარჩევნო სიის შედგენისას. ხომ ხედავთ, უკვე საუბარია, რომ მისი შვილის მეგობრები აღმოჩნდებიან საპარლამენტო სიაში. ზეწოლა იქნება მეგობრებისგან, თანაპარტიელების მხრიდან, საკუთარი ძმიდან, ივანიშვილი შეიძლება იქამდე მივიდეს, თავ-ბედი იწყევლოს.

> **თავის დროზე, როცა ნუგზარ შევარდნაძემ ძალიან ბევრი მოინდომა, ედუარდ შევარდნაძემ საკუთარ ნათესავებს უთხრა, — იმდენს იზამთ, მურს წავისვამ სახეზე, გამოვალ ტელევიზიით და რასაც აკეთებთ, ყველაფერს ვიტყვიო. ამ დონემდე შეიძლება მიიყვანონ ივანიშვილი,**

რადგან პოლიტიკოსისთვის პარლამენტსგარეთ დარჩენა არის ტრაგედია, სიმდიდრესთან გამომშვიდობება, სამუდამოდ დავიწყება. ამას ესენი ვერ გაუძლებენ, ამიტომ ყველა ბერკეტს აამუშავებენ, როგორმე ივანიშვილი დაარწმუნონ, სიაში მოხვდნენ, სახლის კარს აუტალახებენ, მოსვენებას არ მისცემენ, ბოტანიკური ბაღიდან გადაძვრებიან მის ღობეზე, მიწისქვეშა გვირაბებს გათხრიან და ისე შეაღწევენ, ოღონდ კი სიაში მოხვდნენ. იქ ისეთი ხალხია შეყრილი, როგორც საკუთარ ყურებს ვერ დაინახავენ, ასევე ვერ დაინახავდნენ საკუთარ თავებს პარლამენტში. ივანიშვილი პოლიტიკოსი არ არის, ისიც ჩვეულებრივი ადამიანია, არ არის გულქვა, როგორიც პოლიტიკოსი უნდა იყოს და არ გამოვრიცხავ, ბევრი თავზეხელაღებული კვლავ სიაში ვიხილოთ.

## „ბლუმბერგი“: რუბლი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად გაუფასურებადი ვალუტაა





ირანიდან რუსეთში ნავთობის მიწოდების განახლების ლოდინმა და მსოფლიო მასშტაბით ნავთობზე ფასების დაცემამ რუსული რუბლი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად გაუფასურებად ვალუტად აქცია, – აღნიშნულის შესახებ „ბლუმბერგი“ წერს.

2016 წლიდან მოყოლებული, რუბლი ამერიკული დოლარის მიმართ 6,9 პროცენტით გაუფასურდა, რაც „ბლუმბერგის“ ექსპერტების დასკვნით, ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ირანისთვის საერთაშორისო სანქციების მოხსნამ, „ბრენტის“ მარკის ნავთობთან მიმართებაში, რომლის მაჩვენებელი, დღევანდელი მონაცემებით, 28 აშშ დოლარზე ქვევით ჩამოვიდა, რუბლის კურსის კორელაცია გამოიწვია.

„დოიჩე ბანკის“ ექსპერტები კი აღნიშნავენ, რომ ნავთობის ფასების სტაბილიზაციის შემთხვევაში, რუბლის მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს.

ბოლო მონაცემებით, მოსკოვის ბირჟაზე რუსული რუბლი ამერიკულ დოლართან მიმართებაში 1 რუბლითა და 16 კაპიკით გაუფასურდა - 1 აშშ დოლარი ამ დროისთვის 78,77 რუბლი ღირს. რაც შეეხება ევროს - 1 ევრო 85,71 რუბლი ღირს. (ipress.ge)

## „რაც უნდა, გამოაქვეყნოს, კისერი უტეხია“ — ელისაშვილის პასუხი ბესელიას



ეკა ბესელიას ბრალდებას იმასთან დაკავშირებით, რომ ალეკო ელისაშვილი „ქართული ოცნების“ წევრების რეპუტაციის შელახვის მიზნით გარკვეულ ჯგუფებთან ერთად მიზანმიმართულ ცილისმწამებლურ კამპანიას აწარმოებს, თავად საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა უპასუხა:

– ეს ზღაპრები მოუყვეს მანანა კობახიძეს, ნანა კაკაბაძეს მოუხმონ და ამ სამმა ერთმანეთს მოუყვენონ. რაც უნდა, გამოაქვეყნოს, კისერი უტეხია. ერთი პატარა ხატი წამოვიღე შეწყალების კომისიიდან პატიმრის გაკეთებული, პატიმრის დედამ მაჩუქა. ამის გამო თუ დამაკავებენ. ხელფასის მეტი მე არაფერი ამიღია 5 თვის განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ მილიონი შემოთავაზება იყო, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა. (ნიუპოსტი)

# „როგორ გაგვითახსირეს ამ ასპიდის წიწილებმა სული და ზნეობა" - რობერტ სტურუა



რეჟისორი რობერტ სტურუა „ფეისბუკზე" სტატუსს აქვეყნებს:

– „აირევი ივერია" (გ.ტ.)

უცნაური თვისება შემოუჩნდა იბერიელს - ქარის მიმართულების გამო, საოცარი ყნოსვის შედეგად და ჯიბის პრობლემების გამო სულ იოლად იცვლის ეროვნებას: ხან უკრაინელია, ხან ამერიკელი, ხან ევროპელიც (ფრანგი, გერმანელი, თურქი და ა.შ.).

სამხრეთ მეზობლების წარმომავლობას იჩემებს ზოგჯერ, ან ოსტატურად დიდი ჩრდილოეთის მეზობლის გვარსაც მოირგებს ხოლმე.

ამასთან ერთად, რაც სხვა ერებს მაინცდამაინც არ ახასიათებთ, საქვეყნოდ საკუთარ ხალხს სიმდაბლესა და ათასგვარ უმსგავსოებას აბრალებს, დასცინის და აბუჩად იგდებს. ვიღაც უკვე უკრაინელი ჭკუას გვასწავლის, რუსების მაგიდას თუ მიუჯექი – მოღალატე ხარო, თითქოს „ბილაინი" და „ვითიბი" მე და თქვენ შემოვუშვით და წილებში ვუზივართ.

ო, როგორ გაგვითახსირეს ამ ასპიდის წიწილებმა სული და ზნეობა. გარეთ მყოფნი და აქ ჩარჩენილნი კი, ვითომპატრიოტები ერთზე ოცნებობენ:

მალე, სულ მალე „აირევი ივერია" და ჩვენი ზეიმი და შურისძიება მერე იხილეთო.

P.S. ნათლიღებაა, მაგრამ ერთმა იბერიელმა ფილოსოფოსმა:

„სანამ ჩვენ მიერ შემოშვებულ აგრესორს არ გავდევნით, არც შობა, არც ნათლიღება, არც აღდგომა არ ვიზეიმოთო" - ამინ, – წერს რობერტ სტურუა. (metronome.ge)

# „აუცილებლად გავხდებოდი შენი ცოლი, ზუსტად მანდ ციხეში" — რას წერენ გიგი უგულავას „ფეისბუკზე"



დედაქალაქის ყოფილი მერის გიგი უგულავას ციხიდან გაკეთებულმა განცხადებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გიგი უგულავას მეუღლესთან დაშორების თემაზე გაკეთებული კომენტარებიდან განსაკუთრებით პოპულარული ერთ-ერთი ფეისბუკმომხმარებლის კომენტარი გახდა: „გიგი!!! გული მწყდება, რომ ადრე დავიბადე, თორემ აუცილებლად გავხდებოდი შენი ცოლი, ზუსტად მანდ – ციხეში. აი, ასე, დიახ, გიგი უგულავა, შენ ხარ სუპერ!!!" – წერს ფეისბუკმომხმარებელი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ზაზა ხატიაშვილი: „სააკაშვილის კიდევ ერთი მოსამართლე, მურუსიძეზე არანაკლები, ჯემალ კოპალიანი დანიშნეს სააპელაციოში მოსამართლედ"







**„ხალხს უკვე 3 წელია აბუჩად იგდებენ ბიძინა ივანიშვილი და მისი უსუსური კოალიცია და ესეც მორიგი იყო, მაგათგან არც უარესები უნდა გაგიკვირდეს კაცს. ეგ უარესები კი წინ გვაქვს, ჯერ კიდევ დარჩათ ხელისუფლებაში ყოფნის დრო"**

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მოწმეთა დაკითხვის ახალი წესს, რომელიც 1-ლი იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო, ველარ გადაავადებენ:

*„სამწუხაროდ, ამ წესის ძალაში შესვლა რამდენჯერმე იქნა გადატანილი, ჩვენ ამ წესს ვეღარ გადავავადებთ. თუ კარგად მახსოვს, პრეზიდენტმა ვეტო დაადო ერთ-ერთ ასეთ გადავადებას. ამიტომ, როდესაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში გაჩნდა შუალედური, მე ვიტყოდი, უფრო ევროპული მოდელი, მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის, ჩვენ ეს მოდელი უკვე დავამტკიცეთ პარლამენტში და 20 თებერვალს ეს წესი უნდა ამუშავდეს. იმედი მაქვს, რომ, თუკი პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სხვა უწყებები არიან მზად, სასამართლო, მოასწრებს მომდევნო ერთ თვეში მომზადებას".*

ანალოგიური განცხადება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემაც გააკეთა. როგორც ნინო გვენეტაძე აღნიშნავს, საერთო სასამართლოებში მოწმეთა დაკითხვის ახალი წესისთვის მოსაწესრიგებელია კანონით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა და მან გამოთქვა, რომ 20 თებერვლისთვის უკვე ყველაფერი მზად იქნება.

მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის წინააღმდეგ, საზოგადოების დიდი ნაწილი, არასამთავრობოები და განსაკუთრებით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ილაშქრებდა. ჩვენ არაერთი პუბლიკაცია მივუძღვენით იმ საკანონმდებლო ხარვეზებს, რაც ამ ახალ კანონშია. თეა წულუკიანმა, მიუხედავად დიდი პროტესტისა, როგორც ჩანს, თავისი გაიტანა და დემოკრატიის დროშით ახალ, ხალხის დასამცირებელ კანონს აამოქმედებს.

**„ალიას" ამ და სხვა საკითხებზე ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო ზაზა, თეა წულუკიანი, სავარაუდოდ, 20 თებერვლისთვის, მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებას აპირებს. თქვენ და თქვენი თანამოაზრენი, დიდხანს იბრძოდით იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რაც ამ კანონშია, მაგრამ გამოდის, მინისტრმა არაფრად ჩააგდო ხალხის, მათ შორის, ათასობით ადვოკატის შენიშვნები და რა სახითაც სურდა, იმ სახით ამოქმედდება კანონი.**

– თეა წულუკიანმა ისეთი რალაცები გააკეთა ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნასთან დაკავშირებით, მისგან აღარაფერი მიკვირს. ძალიან ცუდი ადამიანია, მეტი რომ აღარ შეიძლება, ისეთი. მე არ ვაპირებ გაჩერებას არც მოწმეთა დაკითხვის წესთან დაკავშირებით და არც მურუსიძის საკითხთან დაკავშირებით. შობა-ახალი წელი იყო და ამ დღეებში ნაკლებად ვაქტიურობდი, თუმცა, ახლა დავუკარგავ მოსვენებას წულუკიანსაც და სხვებსაც.

**— ბრძოლას კიდევ აქვს აზრი, თუ მოწმეთა დაცვის ახალი წესი ამოქმედდა?**

– ჩვენმა პროტესტმა ერთი შედეგი გამოიღო და მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანეს მოწმეთა დაკითხვის წესში. თეა წულუკიანმა ბოლომდე ვერ განახორციელა ის ბოროტება, რასაც აპირებდა. ამ ახალი წესის თანახმად, მოწმე ჯერ საკუთარი ნების თანახმად, შესაძლოა, გამოიკითხოს პოლიციაში და არა – დაიკითხოს. ამ გამოკითხვის შედეგად მიღებულ ჩვენებას ჩვეულებრივი ჩვენების ძალა ეძლეოდა, რადგან მოწმე უნდა გაეფრთხილებინათ, რომ თუ ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებას მისცემდა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემდნენ, ანუ მოწმე იძულებული ხდებოდა, რაც პოლიციაში თქვა თუ წამებით ათქმევინეს, სასამართლოშიც იგივე გაემეორებინა. თუ ასე არ იზამდა, სასამართლო დარბაზიდან ურთიერთგამომრიცხავი ჩვენების მიცემის გამო, პირდაპირ დააპატიმრებდნენ.

**თეა წულუკიანი და სანდრო ბარამიძე ცოცხალი თავით არ აპირებდნენ დათმობას, მაგრამ ხმალაძემ და უსუფაშვილმა ამოსდეს ლაგამი წულუკიანის ზღვარგადასულ თავხედობას.**

ეს ნორმა იმ სახით აღარ ამოქმედდება, როგორც წულუკიანს სურდა, მაგრამ ნაღმები მაინც ჩატოვეს მოწმის დაკითხვის წესში. ჯერ ერთი, პოლიციაში მოწმის გამოკითხვას ადვოკატი არ ესწრება, ადვოკატის დასწრება ნებაყოფლობითია, მოწმემ უნდა მოითხოვოს ადვოკატის პოლიციაში დასწრება. ახლა მითხარით, ბევრი გვეგულებათ საქართველოში ისეთი, პოლიციის ჯურღმულებში რომ შეათრევენ, თვალებს დაუბრიალებენ, მასზე ათასი სახის ზეწოლას განახორციელებენ, ვისაც მერე ადვოკატის მოთხოვნის თავი ექნება? მოკლედ, სავალდებულო არ არის ადვოკატის დასწრება გამოკითხვისას. ახლა მთავარი. ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებისთვის მოწმე აღარ ისჯება, მას შეუძლია, პოლიციაში გამოკითხვისას სხვა თქვას და სასამართლოში დაკითხვისას სრულიად სხვა ჩვენება მისცეს. თუმცა, იქვე კანონში წერია, რომ მოწმეს პოლიციაში გამოკითხვისას აფრთხილებენ, ცრუ ჩვენებასა და დასმენისთვის სისხლის სამართლის წესით აგებ პასუხსო. მოკლედ, ეს ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება ამოიღეს და ცრუ ჩვენება და ცრუ დასმენა დატოვეს.

**— გამოდის, რომ ახლაც ასე იქნება, თუ ცხადია, პოლიციაში გამოკითხვისას მოწმე გააფრთხილეს ცრუ ჩვენებისა და ცრუ დასმენის შემთხვევაში, სისხლის სამართლის წესით აგებ პასუხსო.**

– გამოდის კი არა, ეგრეა. ეს სქემა ნაწილობრივ დარჩა, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებას არ დაარქმევ, ცრუ ჩვენებას და დასმენას დაარქმევ და მოწმის დაჭერის ამ მექანიზმს მაინც აამოქმედებ. კი, ვიბრძოლეთ, მაგრამ მაგათ მაინც თავისი გაიტანეს. თეა წულუკიანი იძახდა, ჩემი ღირსების საქმეა მოწმეთა დაკითხვის წესის ამ სახით გატანაო. მთლად ვერ გაიტანა ისე, როგორც სურდა, მაგრამ მოწმეთა დასაჭერი და საწამებელი ნორმა ჩატოვა. აი, ეგ არის „ქართული ოცნების" ღირსება და ნამუსი. მაგათ ხომ არც ერთი არ გააჩნიათ?!

ამას არ შევეგუები, კი, ბატონო, აამოქმედონ ეს წესი 20 თებერვლიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ როგორც არის, ვირეშმაკულად, ისე დარჩება. მეც და სხვებიც ვიბრძოლებთ, რომ, რაც ზემოთ გითხარით, ის ნორმა ამოიღონ უკვე ამოქმედებული კანონიდან. აი, მოწმეთა დაკითხვის ეს უკუღმართი წესი რომ ამოქმედდება და პოლიციაში მოწმეთა წამება და სხვა უბედურებები რომ დაიწყება, მოწმეებს ისევ რომ არაფრის გამო დაიჭერენ, მერე ხომ მიხვდება მთელი საზოგადოება, რამხელა დანაშაული ჩაიდინა თეა წულუკიანმა? მერე ეს ხალხი დაუპირისპირდება და იმის დროც მოვა, რომ ეს წესი შეიცვალოს, რაც უმსგავსობაა შიგნით, ამოიღონ და ცივილიზებული, დემოკრატიული წესი შემოიღონ.

**„ეს უკუღმართი წესი რომ ამოქმედდება და პოლიციაში მოწმეთა წამება და სხვა უბედურებები რომ დაიწყება, მოწმეებს ისევ რომ არაფრის გამო დაიჭერენ, მერე ხომ მიხვდება მთელი საზოგადოება, რამხელა დანაშაული ჩაიდინა თეა წულუკიანმა? მერე ეს ხალხი დაუპირისპირდება და იმის დროც მოვა, რომ ეს წესი შეიცვალოს, რაც უმსგავსობაა შიგნით, ამოიღონ და ცივილიზებული, დემოკრატიული წესი შემოიღონ"**

**— თქვენ განაცხადეთ, რომ ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის მიუხედავად, გაჩერებას არ აპირებთ. კონკრეტულად, რის გაკეთებას გეგმავთ?**

– ამ საქმეში თეა წულუკიანმა იმხელა ჩირქი მოიცხო თავისი საქციელით, მთელი ცხოვრება ვერ ჩამოირეცხავს. სააკაშვილის კიდევ ერთი მოსამართლე, მურუსიძეზე არანაკლები, ჯემალ კოპალიანი დანიშნეს სააპელაციოში მოსამართლედ. იცით ჯემალ კოპალიანზე რას მეუბნებოდა თავის დროზე პირად საუბრებში თეა წულუკიანი? ეგ კაცი არის ჯალათი და მაგისი ადგილი ციხეშიაო. აი, ეს ჯალათი დანიშნეს მოსამართლედ ისევ და მოდი ახლა და ნუ გადაირევი კაცი. წულუკიანს ერთი პროტესტი არ გამოუთქვამს კოპალიანის დანიშვნის გამო, თუმცა, მურუსიძის შემდეგ მაგისგან აღარაფერი მიკვირს. ხალხს უკვე 3 წელია აბუჩად იგდებენ ბიძინა ივანიშვილი და მისი უსუსური კოალიცია და ესეც მორიგი იყო, მაგათგან არც უარესები უნდა გაგიკვირდეს კაცს. ეგ უარესები კი წინ გვაქვს, ჯერ კიდევ დარჩათ ხელისუფლებაში ყოფნის დრო. ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნას არც შევგუებივარ და არც არასდროს შევეგუები. ამ ეტაპზე სამართლებრივად ვმუშაობთ, ასე ვთქვათ, „მურუსიძის საკითხზე" და ჯერ კონკრეტულად რას და როგორ ვაკეთებ, ამაზე არ მინდა საუბარი. გარდა სამართლებრივი ბრძოლისა, მურუსიძის წინააღმდეგ სახალხო აქციებითაც ვიბრძოლებთ, სხვადასხვა ფორმის აქციებითაც. არ გავჩერდებით, ვიდრე ამ კაცს კვლავ მოსამართლის მანტია აცვია. მურუსიძე დღეს „ქართულ ოცნებას" სჭირდება, მომავალში მისი ლიდერების ბინძური დაკვეთები უნდა შეასრულოს და ამ „ქართულ ოცნებას" რომ აღარ ექნება გავლენა და ძალაუფლება, მაშინ სხვაგვარად იქნება საქმე, მფარველები აღარ ეყოლება მურუსიძეს, აღარავის დასჭირდება, ხალხის პირისპირ დარჩება და წასვლის გარდა სხვა არაფერი დარჩება. თუმცა, ჩვენ არ ველოდებით „ქართული ოცნების" დასუსტებას, ჩვენ სამართლებრივი და საპროტესტო ფორმებით ვიბრძოლებთ, რომ ქართული სასამართლოს ეს სირცხვილი მოშორდეს სისტემას.

თეა წულუკიანი და სანდრო ბარამიძე ცოცხალი თავით არ აპირებდნენ დათმობას, მაგრამ ხმალაძემ და უსუფაშვილმა ამოსდეს ლაგამი წულუკიანის ზღვარგადასულ თავხედობას. მართალია,

# ლარის კურსი შეიძლება უფრო დაბალიც იყოსო და ქენით რამე, თქვე კაი ხალხო, მიდექით, მოდექით!



– ასეთ პირობებში ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია ლარის კურსთან მიმართებაში, – აღნიშნულის შესახებ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრმა, საშა ტერნესმა განაცხადა. მისი თქმით, ლარის კურსი შეიძლება უფრო დაბალიც იყოს, თუმცა დღეს საბჭოს წევრებს სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მექანიზმების გამოყენების უფლება არ აქვთ.

– ასეთ პირობებში ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია ლარის კურსთან მიმართებაში, თუმცა საფინანსო ზედამხედველობას ბევრი მექანიზმი აქვს ამისთვის. ამ მექანიზმებს შორის არის დედოლარიზაცია, რაც, გეთანხმებით, გრძელვადიანი პერსპექტივაა, თუმცა ასევე შეგვიძლია წამახალისებელი ღონისძიებები გავატაროთ საბანკო სექტორთან მიმართებაში. ამჟამად ლარი მეტ-ნაკლებად სტაბილურია და 2,39-2,40 ნიშნულზეა დოლართან, თუმცა კითხვა მდგომარეობს იმაში, რატომ არის ეს მაჩვენებელი ასეთი მაღალი. ის შეიძლება უფრო დაბალიც იყოს. ამის შესაძლებლობა არსებობს და მისი გამოყენება დამოკიდებული იქნება ჩვენს ჩართულობაზე. ამ ეტაპზე ჩვენ სტრატეგიის განსაზღვრის საშუალება, სამწუხაროდ, არ მოგვეცა, – განაცხადა საშა ტერნესმა.

შეგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობა შეაჩერა. ზედამხედველობას ამ ეტაპზე კვლავ ეროვნული ბანკი ახორციელებს. (businesscontact.ge)

# მორიგი ტერაქტი თურქეთში — დაღუპულია 3 ადამიანი



თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში შირანის პროვინციაში განხორციელებული ტერაქტის შედეგად სამი პოლიციელი დაიღუპა და ოთხი დაიჭრა.

ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტომაგისტრალზე იყო დამონტაჟებული, რომელზედაც პოლიციის ავტომანქანა გადაადგილდებოდა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სირიის საზღვართან მდებარე პროვინციაში განხორციელებული ტერაქტის უკან ქურთი ტერორისტები დგანან. (პირველი რადიო)

## „თითი ჰქონდა მოჭრილი და შემდეგ მიკერებული“ — რა დაზიანებები აღენიშნება ბიძინა კუჭავას ცხედარს



რადიო „საქართველოს ხმის“ დირექტორის მამუკა კუჭავას ინფორმაციით, ოჯახმა პროკურორის მკვლელობაში ბრალდებული ბიძინა კუჭავას ცხედარი უკვე დაათვალიერა. მისი თქმით, გარდაცვლილს სხეულზე რამდენიმე დაზიანება აღენიშნება.

– მიცვალებული მოასვენეს სახლში, ოჯახის წევრებმა დაათვალიერეს გვამი და არის ისეთი დაზიანებები, რომელიც მკვლელს არ უნდა ჰქონდეს. აქ საუბარი არაა მხოლოდ თავის არეში არსებულ დაზიანებებზე, სხვა ადგილზეც აქვს დაზიანებები. თითი აქვს მოჭრილი და მიკერებული. დაზიანებული აქვს ასევე ფეხი, არ შეიძლებოდა ამ კაცს სიარული მოეხერხებინა და შემდეგ თავი მოეკლა, – ამბობს მამუკა კუჭავა.

როგორც ცნობილია, ოჯახის გადაწყვეტილებით, ცხედარს დამოუკიდებელ ექსპერტიზას მაია ნიკოლეიშვილი ჩაუტარებს.

პროკურორი ვახტანგ ქირია გარდაცვლილი შაბათს საღამოს იპოვეს. შსს-ს ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებული რადიო „საქართველოს ხმის“ დამფუძნებელი ბიძინა კუჭავაა, რომელმაც კვირას დილით თავი მოიკლა. (ნიუპოსტი)

## ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაცია ხო ჩააბულბულა მერიამ, ახლა მორიგ ხიდს კეტავს და საცობის კიდევ ერთ მიზეზს აჩენს!




ორთაჭალის ავტოსადგურიდან გაბრიელ ბერის სახელობის ქუჩის მიმართულებით, საავტომობილო მოძრაობა 90 დღის განმავლობაში შეიზღუდება, – ინფორმაციას ამის შესახებ დედაქალაქის მერია ავრცელებს.

– 19 იანვარს, 08:00 საათიდან, გულიას სახელობის ხიდის რეაბილიტაციის გამო, ორთაჭალის ავტოსადგურიდან გაბრიელ ბერის სახელობის ქუჩის მიმართულებით, საავტომობილო მოძრაობა 90 დღის განმავლობაში შეიზღუდება.

სამუშაოების შესრულების ვადა ხელშეკრულებით 150 დღით განისაზღვრა, – ნათქვამია მერიის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

# „რეგულარის“ ტიპის საწვავი დღეს საქართველოში მაქსიმუმ უნდა ღირდეს 1,30 ლარი

### რატომ აქვს ბრენდებს შორის „ლუკოილს“ ყველაზე იაფი „რეგულარი“ და როდის გააიაფებს კიდევ — რას პასუხობენ „ალიას“ კომპანიაში




გელა ზედელაშვილი

555 48-48-61


„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ მსოფლიო ნავთობის ბაზარზე მიმდინარე პროცესებს აფასებს და საწვავის იმპორტიორ კომპანიებს მოუწოდებს, მოახდინონ მსოფლიო ტენდენციების ასახვა ქართულ ბაზარზე. როგორც ამ ასოციაციის („აფბა“) ანალიტიკოსი პაატა ბაირახტარი აცხადებს, ბოლო ორ კვირაში მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი საგრძნობლად შემცირდა, ქართულ საწვავის ბაზარზე კი ფასები უცვლელი დარჩა – თუ წინა კვირას 1 ბარელი 30 დოლარი ღირდა, გუშინ უკვე 28 დოლარს ჩამოსცდა. ბაირახტარის თქმით, „გალფი“: პრემიუმი“ – 1,79 ლარი, „ევრორეგულარი“ – 1,65 ლარი, „რეგულარი“ – 1,55 ლარი. როგორც ხედავთ, ფასები ძირითადად ისევ ერთნაირია, მხოლოდ „ლუკოილმა“ ჩამოსწია „რეგულარის“ ფასი 1,47 თეთრამდე. სპეციალისტების თქმით კი, ჩვენი ბაზარი ამ შემთხვევაშიც ვერ მოდის შესაბამისობაში მსოფლიო ბაზართან და დაახლოებით 20-30 თეთრით ისევ ძვირია საწვავი.

**პაატა ბაირახტარის თქმით, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში, ეროვნულ ვალუტას სერიოზული რყევები არ განუცდია, რასაც შეეძლო გამოეწვია მსოფლიო ტენდენციების, ქართულ ბაზარზე ასახვის შეფერხება:**



პაატა ბაირახტარი




შავლეგ მიშველაძე

ფასების ვარდნა რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული: პირველი – ამერიკული ნავთობის ექსპორტზე გასვლა, მეორე – ჩინური ბირჟების ვარდნა (ჩინეთი ამერიკის შემდეგ მეორე უმსხვილესი მომხმარებელია, მის ბაზარზე არსებული პანიკა კი იწვევს ფასების შემცირებას), მესამე – ამას ასევე ხელი შეუწყო საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრის განცხადებამ – ალი ნამისი აცხადებდა, რომ უახლოეს მომავალში ნავთობის ფასი შესაძლოა 10 დოლარამდეც შემცირდეს. ჩვენ ამ შემთხვევაშიც კი გვიღირს კვოტის უცვლელად დატოვება, ვინაიდან მოპოვება ბევრად უფრო იაფი გვიჯდება, ვიდრე რუსეთს ან ვენესუელასო.

„აფბამ“ ბოლო ორ თვეში ორი კვლევა გამოაქვეყნა, პირველი – 2015 წლის 21 დეკემბერს, ხოლო მეორე – 2016 წლის 14 იანვარს. თუ პირველ ჯერზე ქართული საწვავის ბაზარსა და მსოფლიო ბაზარს შორის უზუსტობა 22,41% იყო, მეორე ჯერზე უკვე 43%-იანი უზუსტობა დაფიქსირდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „რეგულარის“ ტიპის საწვავი დღეს საქართველოში მაქსიმუმ უნდა ღირდეს 1,30 ლარი. ამ დროს რა ხდება ჩვენს ბენზინგასამართ სადგურებზე? მაგალითად, „რომპეტროლი“ „სუპერს“ ყიდის 2,25 ლარად, „პრემიუმს“ – 1,88 ლარად, ხოლო „რეგულარს“ – 1,56 ლარად. „ვისოლი“: „სუპერი“ – 1,85 ლარი, „პრემიუმი“ – 1,75 ლარი, „რეგულარი“ – 1,56 ლარი. „სოკარი“: „სუპერი“ – 1,84 ლარი, „პრემიუმი“ – 1,70 ლარი, „რეგულარი“ – 1,55 ლარი. „ლუკოილი“: „სუპერი“ – 1,77 ლარი, „პრემიუმი“ – 1,67 ლარი, რეგულარი – 1,47 ლარი.

– კი, ბატონო, რამდენიმე კომპანიამ 3 თეთრით შეამცირა ფასები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ამჟამად ბარელი ნავთობი ჩამოსულია 28 დოლარზე. რა თქმა უნდა, ცოტა რთულია, ზუსტად განსაზღვრო, რამდენი უნდა ღირდეს ჩვენთან ბენზინი, მოგეხსენებათ, კომპანიებს საწვავი სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ. თვითღირებულების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი არის ტრანსპორტირების ხარჯი. ყოველ შემთხვევაში, ყველანაირი გათვლებით, დღეს ჩვენთან „რეგულარის“ ფასი არ უნდა იყოს 1,40 ლარზე ზევით. ჯანსაღი კონკურენციის პირობებში შესაძლებელია უფრო დაწევაც.

**— პაატა, როდესაც კონკურენციის სააგენტომ კომპანიები 55 მილიონი ლარით დააჯარიმა, მათ სასამართლოში იჩივლეს და მას მერე მიდის პროცესი. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, როდის შეიძლება პროცესი დამთავრდეს, თუ ასე გაიწელება წლების განმავლობაში?**

– სამწუხაროდ, სანამ სასამართლო დავა არ დამთავრდება, მანამდე კონკურენციის სააგენტო ვერაფერს იზამს. დროის გაწელა, ბუნებრივია, კომპანიების ინტერესებში შედის, ისინი სასამართლო პროცესზე ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ თავს დამნაშავეებად არ ცნობენ. ამ მხრივ ვადები არ არსებობს და მხოლოდ საქართველოში კი არა, უცხოეთის ქვეყნებშიც ასე ხდება. არადა, ჩვენს სასამართლოს ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს რეალური სურათის დანახვა.

**— თქვენი ასოციაცია კომპანიებს კატეგორიულად სთხოვს, მათ სასწრაფო წესით გადახედონ ფასებს. ვინმე შეგეხმიანათ, ან ვინმემ თავისი აზრი დააფიქსირა?**

– არა, ჩვენ არავინ არ შეგვხმიანებია, უბრალოდ, ორიოდე კომპანიამ ცოტა შეამცირა ფასები, რაც ზღვაში წვეთია.

> **„მე ვერ ვხვდები, საერთოდ რაზეა საუბარი. თავისუფალ ბაზარზე არსებობს სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა დასახელების, სხვადასხვა ფასების საწვავი. დიახ, ამჟამად საწვავი ღირს იმდენი, რამდენიც უნდა ღირდეს“**

**ახალგაზრდა ფინანსისტებს კატეგორიულად არ ეთანხმებიან ნავთობიმპორტიორები და აცხადებენ, რომ მათთვის გაუგებარია, რომელი მათემატიკური გათვლებით გამოჰყავთ საბოლოო ფასი. როგორც „ლუკოილის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, შავლეგ მიშველაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ახალგაზრდა ფინანსისტებსაც და სხვებსაც ხშირად ავიწყდებათ, რომ საქართველოში შემოდის არა ნედლი, ანუ გადაუმუშავებელი ნავთობი, არამედ უკვე გადამუშავებული პლაცი:**

**— ბატონო შავლეგ, საკითხი დგას ასე: ნავთობის ფასი თითქმის ყოველდღიურად ეცემა მსოფლიო ბაზარზე, აგერ უკვე 28 დოლარამდე ჩამოვიდა და სპეციალისტების თქმით, არსებობს დიდი ცდომილება ჩვენს ბაზართან შედარებით.**

– ბარელის ფასი ნამდვილად არ არის ამოსავალი წერტილი იმპორტზე დამოკიდებული ნავთობკომპანიებისთვის. ყველა კომპანია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამ რეგიონში გარიგებებს დებს გადამუშავებულ ნავთობზე. ასე რომ, დღეს ჩვენში ეს სფერო საკმაოდ გახლავთ მოწესრიგებული თავისი ბენზინგასამართი სადგურებით და ფასებით. ვიღაცა ყიდის 10 თეთრით ძვირად, ვიღაცა – იაფად, სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვხვდები, საერთოდ რაზეა საუბარი. თავისუფალ ბაზარზე არსებობს სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა დასახელების, სხვადასხვა ფასების საწვავი. დიახ, ამჟამად საწვავი ღირს იმდენი, რამდენიც უნდა ღირდეს. მაგალითად, ჩვენმა კომპანიამ 2015 წლის 14 ნოემბრიდან დღემდე ფასები შევამცირეთ 35-37 თეთრით. 2 თვის განმავლობაში ეს არ გახლავთ ცოტა, ეს არის უპრეცედენტო ამპლიტუდა.

**— როგორ მოხდა, როგორ მოახერხეთ, რომ თქვენ „რეგულარის“ ფასი 1,47 ლარამდე ჩამოსწიეთ? სხვა კომპანიების ბენზინგასამართ სადგურებზე ძირითადად 1,55 ლარია.**

– ყველა კომპანიას აქვს თავისი ხედვა, მარკეტინგული გათვლა, კლიენტურასთან დამოკიდებულება და ასე შემდეგ. ზოგისთვის ფასები გადის სხვადასხვა აქციებზე, ბარათებზე, ხოლო ზოგისთვის სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობაზე ან არმონაწილეობაზე. ჩვენი კომპანიის სტრუქტურა და ხედვა იძლევა იმის საშუალებას, რომ შევამციროთ და შევამციროთ კიდეც.

**— რა ხდება სასამართლოში, ყველას გვაინტერესებს, საით მიდის საქმე და როდის გამოიტანენ გადაწყვეტილებას?**

– სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, ეს არ იქნება ერთ-ორთვიანი პროცესი. როდესაც ამხელა მასშტაბის საქმეზეა საუბარი, ეს აუცილებლად მოითხოვს დროს. კი, ბატონო, ერთმა მხარემ თავისი პოზიცია გააჟღერა, ახლა სასამართლო მოუსმენს მეორე მხარესაც, მაგრამ მე არ ვიცი, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. დროა საჭირო იმიტომაც, რომ ყველა კომპანიამ ცალ-ცალკე მიმართა სასამართლოს, მათ შორის ჩვენც. ერთი სიტყვით, საქმე მსვლელობაშია, მიდის მუდმივი კონსულტაციები ადვოკატების მეშვეობით.

**— რაიმე ვადები არსებობს?**

– არა, ასეთი ვადა არ არსებობს, რომ ამა და ამ რიცხვში აუცილებლად უნდა დამთავრდეს.

**— რიცხვი არა, მაგრამ თუ წლების განმავლობაში გაიწელა, რა აზრი აქვს?**

– რასაკვირველია, ამ საქმეს ექნება დასასრული, მაგრამ კონკრეტული ვადა არ არსებობს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, შეიძლება დამთავრდეს სწრაფად, შეიძლება ცოტა დაგვიანდეს.

**— დაბოლოს, რას აპირებთ, ფასებს კიდევ გადახედავთ?**

– რა თქმა უნდა, გადავხედავთ. დღეს რა ტენდენციაც მიდის, ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსოფლიო ბაზარზე არ არის ბოლო ნიშნული დაფიქსირებული, ფასების ვარდნა გრძელდება, ყველა კომპანია ნელ-ნელა აახლებს მარაგებს ახალი ფასების შესაბამისად და საწვავი კიდევ გაიაფდება. იქნება მცირედი დაგვიანებები, ამას თავისი ახსნა აქვს: არსებობს ძველი მარაგები, რაც უნდა ჩანაცვლდეს შედარებით იაფფასიანი პროდუქციით.

**აპირებენ თუ არა სხვა კომპანიები ფასების შემცირებას? როგორც ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე, ვანო მთვრალაშვილი ამბობს „ალიასთან“, სხვა ალტერნატივა არ არსებობს, უკვე ისეთი სისწრაფით მიდის ნავთობზე ფასების კლება, რომ უახლოეს პერიოდში შემცირდება:**

– თუ დაუკვირდით, ახალი წლის შემდეგ ყველა სახის საწვავზე მოხდა 6-10 თეთრით შემცირება. ეს არის მიმდინარე კლება, ანუ ამ წელში პირველი რაუნდი და მალე იქნება მეორეც, ეს არ გახლავთ ბოლო.

**— ბატონო ვანო, ბარელის ფასი უკვე 28 დოლარზე ჩამოვიდა, ეს როდის აისახება ჩვენს ბაზარზე?**

– ფაქტობრივად, 3 იანვრიდან დაიწყო კლება და ეს გაგრძელდება, თუმცა რაღაც დროის ინტერვალები იქნება საჭირო. მე ვერ გეტყვით, კიდევ რამდენ დღეში შემცირდება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ტალღა უკვე წამოსულია და სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.

## 2016 წელი: „3 ყაჩაღობა, 4 მკვლელობა, 2 ქურდობა... „ქართულმა ოცნებამ“ კრიმინალურ ჯგუფებთან მოლაპარაკება დაიწყო“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურმა მდივანმა აკაკი მინაშვილმა ჟურნალისტებს 2016 წლის 1-ლი იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით მომხდარი დანაშაულების სტატისტიკა გააცნო და ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობის გაუარესების მიზეზებზე ისაუბრა.

– მაშინ, როდესაც „ქართული ოცნება“ საპარლამენტო სიის დაკომპლექტებაზე ფიქრობს, როცა საახალწლო მილების შემდეგ ნეტარი სახით აკეთებენ კომენტარებს, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა, სამწუხაროდ, ყოველდღიურობა განსხვავებულია და ის სახიფათო ხდება.

2016 წლის 1-ლი იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით მომხდარი დანაშაულების მოკლე სტატისტიკას მოგიყვანთ:

2/01-2016 – ბენზინგასამართ „გალფის“ ყაჩაღობა ოზურგეთში.

3/01-2016 – გაზგასამართ „პრომეთეს“ ყაჩაღობა ოზურგეთში.

4/01-2016 – თინათინ მალალაშვილის მოდების სახლის ქურდობა.

7/01-2016 – ა/მანქანის დაცხრილვა თბილისში ჩიქოვანის ქუჩაზე.

7/01-2016 – ორი მამაკაცის მკვლელობა ნატახტართან.

8/01-2016 – მკვლელობის მცდელობა თბილისში.

13/01-2016 – მამაკაცის დაჭრა იარაღით აბაშიძეს 39-თან თბილისში.

14/01-2016 – ივერიის ღვთისმშობლის მონასტრის ქურდობა ლანჩხუთში.

14/01-2016 – საშაურმის ყაჩაღობა თბილისში.

14/01-2016 – 35 წლის მამაკაცის მკვლელობა ახმეტაში.

15/01-2016 – პროკურორის მკვლელობის მცდელობა ფოთში.

ამ მდგომარეობას რამდენიმე მიზეზი აქვს:

1. დღეის მდგომარეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტებისა და რეგიონული სამმართველოს უფროსები კადრების განყოფილებაში არიან გადაყვანილები, რადგან კლანებს შორის ადგილების გადანაწილება ხდება. პრემიერის შეცვლის მერე შეიცვალა აღმასრულებელ მთავრობაში ინტერესთა ჯგუფებიც და ახლა ღარიბაშვილის გუნდიდან მეტი ადამიანის გარიყვისთვის მიდის ბრძოლა.

2. „ქართულმა ოცნებამ“ კვლავ დაიწყო მოლაპარაკება კრიმინალურ ჯგუფებთან, რათა მათი მეშვეობით მოიპოვოს ხმები 2016 წლის არჩევნებში. ამის სანაცვლოდ მათ გარკვეული პრივილეგიები აქვთ. ამის მაგალითები საქართველომ 2012 წლის შემდეგ ბევრი ნახა. იგივე რემენას, აჭარის კრიმინალურ ავტორიტეტ მინდია გორაძეს მაგალითზე.

3. სამართალდამცავი ორგანოების გამოყენება ხდება არა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, არამედ პოლიტიკური საქმიანობისთვის. მათი რესურსი მიმართულია პოლიტიკური ოპონენტებისა და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების წინააღმდეგ.

ფაქტი, რომ 1993 წლის შემდეგ პირველად მოხდა პროკურორის მკვლელობა, ადასტურებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ჩამოშლილია და სერიოზულ ზიანს აყენებს მოქალაქეების უსაფრთხოებას. ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან 2016 წელს მათი წასვლაა, – განაცხადა აკაკი მინაშვილმა. (პირველი რადიო)

## მოკლედ, დიდი ცვლილებებია „შუსუსუში“





შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი – გიორგი ალადაშვილი წარუდგინა.

გიორგი ალადაშვილი ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგისტრია. ასევე, მან განათლება აშშ-ის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტსა და ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიაში მიიღო. მას სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს. 2014 წლიდან გიორგი ალადაშვილი საქართველოს შსს-ს პოლიციის ატაშე იყო ავსტრიის რესპუბლიკაში. (ipress.ge)

## გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, მაგრამ ბიძინა კუჭავა მაშანტაჟებდა — ზიზი ტატიშვილი



– გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ ან არაფერს, მაგრამ ბიძინა კუჭავა მაშანტაჟებდა, – ამის შესახებ განცხადება ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში, გადაცემა „პრიორიტეტებში“ ბიზნესმენმა ზიზი ტატიშვილმა გააკეთა. მან იმ პერიოდზე ისაუბრა, როდესაც ბიძინა კუჭავასგან კომერციული ფართი შეიძინა.

ზიზი ტატიშვილის თქმით, 2 დღის წინ პოლიციისგან გაიგო, რომ მის მფლობელობაში არსებულ ფართში ჩაწერილია ბიძინა კუჭავა, რაზეც სამართალდამცავ ორგანოებს კითხვები ჰქონდა.

ზიზი ტატიშვილი ამბობს, რომ მან კომერციული ფართი ბიძინა კუჭავასგან 2005 წელს იყიდა. მისივე თქმით, 2012 წლის არჩევნების შემდეგ მას კუჭავა კვლავ დაუკავშირდა და უთხრა, რომ განცხადება უნდა შეეტანა პროკურატურაში და აპირებდა ეთქვა, რომ მას ჩამორთმევის ქონება და კომერციულ ფართში თანხა არ გადაუხდიათ. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც, ზიზი ტატიშვილის თქმით, ბიძინა კუჭავამ მისთვის ქონების წართმევა ვერ შეძლო, იყო ის, რომ ფართი ყიდვის დღიდან იპოთეკით არის დატვირთული. ([illegible])

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**როგორ მოხვდა ბარბარე რაფალიანცის საქმის ადვოკატი შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე? რატომ იბარებენ გენინსპექციაში დაინტერესებულ პირებს „მეგობრულად“ და რას პასუხობენ აღიშნულ საკითხზე „ალიას“ შს სამინისტროში?**

**„ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**

– მთელი სამი წელია, სხვადასხვა ინფორმაციებს ვასაჯაროებ – უმეტესწილად თქვენი გაზეთების მეშვეობით. ასევე, 60-ზე მეტი განცხადება მაქვს შეტანილი სხვადასხვა უწყებებში, ჩატარებული მაქვს 50-ზე მეტი პრესკონფერენცია. ამ ყველაფერს, საბოლოოდ, ისეთი გარემოება მოჰყვა, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ „ნაციონალების“ ბრძოლის ხერხები, რაც გულისხმობდა ადამიანების ცემა-წამებას მიზნის მისაღწევად, ამჯერად ფსიქოლოგიური ზეწოლით შეიცვალა. ეს ხდება ვითომ მეგობრული დამოკიდებულებით, რომელშიც არის შეფარული მუქარა.

**— რა მოხდა, რაზე ან ვისზე მიანიშნებთ?**

– ახლო წარსულში, ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც შეეხებოდა ბარბარე რაფალიანცის საქმის გახსნას. იმ სტატიაში საუბარი იყო იმაზე, ვინ შეიძლება იცოდეს რაფალიანცის საქმის დეტალები. მე მაშინაც ვთქვი და ახლაც ვამბობ, რომ რაფალიანცის საქმის ერთ-ერთი ადვოკატი გახლდათ ვარლამ (ვაკო) ხათრიძე და თუკი ვინმემ რამე იცის რაფალიანცის საქმის გახსნა-არგახსნაზე და სხვადასხვა გარემოებებზე, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მაინც, ის გახლავთ.

ის, თუ როგორ გახდა ბატონი ხათრიძე გენინსპექციის უფროსი და შემდგომ გენინსპექციის უფროსის მოადგილე, კიდევ სხვა თემაა. 2013 წელს გავიგე, რომ ბატონი ვარლამ ხათრიძე გენინსპექციის სამმართველოს უფროსი გამხდარა.

**— ვისი კადრია ეს ადამიანი?**

– ხათრიძე მაშინ გახდა გენინსპექციაში სამმართველოს უფროსი, როდესაც ზვიად ჯანყარაშვილი გახლდათ გენინსპექციის უფროსი. მას შს სამინისტროს სტრუქტურებში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა. განათლებით კი გახლავთ იურისტი, მაგრამ თავადვე ამბობს, რომ თეოლოგია. 2011 წლამდე, „ქართულ ოცნებაში“ მოხვედრამდე, იყო მეუფე ანანიას სამსახურში, იქ თეოლოგიის საკითხებზე მუშაობდა. ამის მერე, გავიდა გარკვეული პერიოდი და ხათრიძე „ქართული ოცნების“ მცხეთის ღონისძიებაზე აღმოვაჩინე, „ქართული ოცნების“ იურიდიულ სამსახურში მუშაობდა. მას აქვს მონაყოლი, როგორი საშინელი დაპირისპირება ჰქონდა რაფალიანცის საქმეზე გამომძიებლებთან. ერთხელ ისიც კი თქვა, იმდენად გავბრაზდი, გამომძიებელს ლამის რაღაც ჩავარტყი თავშიო. ასეთი ვარლამ ხათრიძეც მახსოვს. ხათრიძე არის პირველწყარო ყველაფერ იმისა, რაც ხდებოდა რაფალიანცის საქმის ირგვლივ. დღეს კი ეს ადამიანი გენინსპექციის უფროსის მოადგილეა.

**— რისი თქმა გინდათ, რაიმეს სანაცვლოდ მიიღო თანამდებობა?**

– ხათრიძემ, თანამდებობა მიიღო ერთგულების სანაცვლოდ. ჯანყარაშვილთან მეტად დაახლოებული პირია. რომ არა ჯანყარაშვილი, ეს გამოუცდელი თეოლოგი, როგორ დანიშნეს გენინსპექციაში სამმართველოს უფროსის მოადგილედ? საერთოდ, პოლიციის სტრუქტურა იცის? თუ პოლიციის თანამშრომლებს საღმრთო სჯულს ასწავლის? ახლა, მე მოგიყვებით, როგორ აღმოვჩნდი გასული კვირის ბოლოს, ხათრიძის კაბინეტში. 13 იანვარს, ჩემს ერთ-ერთ ნომერზე, რომელიც არ გახლავთ დარეგისტრირებული ჩემს სახელზე, მირეკავს ვარლამ ხათრიძე. გამომიტყდა, რომ ბევრი იწვალა ჩემი ტელეფონის ნომრის მოძიებაზე და მთხოვა, მასთან გენინსპექციაში მივსულიყავი მეგობრულად. მივედი მეორე დღეს. ჩემს სახელზე საშვი დაუშვა ვინმე კეკელიძემ. „ნაციონალებმა“ იცოდნენ ასე და ამათაც შეუნარჩუნებიათ წესი. ავედი გენინსპექციაში, დამხვდა ფოიეში, გარკვეული ხანი მალოდინა, საბოლოოდ, მიმიღო ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილმა ბატონმა ხათრიძემ – დახვეწილი და [illegible]. სხვათა შორის, თბილად მომესალმა, მერე მითხრა, – შენი პირადი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მინდოდა გამომეცადა, აბა, მოხვიდოდი თუ არა, მე არც შენს დაპატიმრებას ვაპირებ, არც სხვა რამეს, უბრალოდ, მინდა მეგობრულად გკითხო რაღაცო. გადმოიღო გასულ წელს გამოშვებული გაზეთი, სადაც მე მასზე ვსაუბრობ რაფალიანცის საქმესთან დაკავშირებით და მკითხა, – როცა ამ საკითხზე საუბრობდი, შენზე ზეწოლას ხომ არ ახდენდნენო. ვუპასუხე, რომ რასაც მაშინ ვამბობდი, იმას ახლაც გავიმეორებდი და გავუმეორე კიდეც – თუ ვინმემ რაფალიანცის საქმეზე რამე იცის, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი არის ხათრიძე. მითხრა, რომ ამ ყველაფერს ვერ დავამტკიცებდი და წერილობით უარყავი შენ მიერ მედიით ნათქვამიო. ამის მერე, წამაკითხა რამდენიმე ადამიანის 10 იანვრის „ფეისბუკის“ მიმოწერა, სადაც ეს ადამიანები საუბრობენ შემდეგ რამეზე – რადგან ღარიბაშვილი გადადგა, ჯანყარაშვილზეც მიდგება ჯერი და რაფალიანცის საქმეც გაიხსნებაო. ა, აგერ არის ვარლამ ხათრიძე, რომელმაც ამ საქმეზე ყველაფერი იცის და იმედია, ეს ადამიანი დაეხმარება გამოძიებასო. აქ ჩემზეა საუბარი და შენ გახსენებენ, შენგან აქვთ ინფორმაცია ჩემზეო. მერე მითხრა, ის საგაზეთო სტატია უკვე დაავიწყდა ხალხს და არაფერი არ მოჰყვებაო. არც ამ მიმოწერას მოჰყვება რამე, კარგად იცის ხელისუფლებამ მე ვინ ვარ, მაგრამ შენ აუცილებლად მოგიწევს ამაზე პასუხისგებაო.

**— დაგემუქრათ?**

– ეს კითხვა მეც დავუსვი და მითხრა, მუქარა კი არა, უბრალოდ, ჩემი მეგობრული რჩევააო. იქვე ვუთხარი, მირჩევნია დამაპატიმროთ, ვიდრე ეს გავაკეთო-მეთქი. აქ დასრულდა ჩვენი საუბარი. გამაცილა თანამშრომელმა და სულ ეს იყო.

**— რას აპირებთ?**

– ვერ გეტყვით, შოთაძის უწყების გამოძიების მჯერა-მეთქი, მაგრამ ვინაიდან, მე რომ ამ ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი ვთქვი, ეს პროცედურა ჯერ არ დასრულებულა და ისევ ამ ქვეყნის მოქალაქედ ვითვლები, პარასკევს მივმართე პროკურატურას. ვითხოვ, წერილობით გამცენ პასუხი – დაწყებულია თუ არა გამოძიება ჩემს ან სხვა პირების მიმართ, რომლის მიხედვითაც მოხდა ჩემი ტელეფონის ნომრის დადგენა, რომელიც ჩემს სახელზე არ არის. კანონის მიხედვით, მე რომ მომისმინონ, ან ჩემი ტელეფონი დაადგინონ, ამისთვის უნდა მიმართო სასამართლოს, ასევე, პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორს. თუ ეს მოხდა კანონიერი გზით, მაშინ წარმომადგინონ დოკუმენტი, რის საფუძველზე მოხდა ეს. მეორე – თუ ოფიციალური გამოძიება მიმდინარეობს, მაშინ, გამოდის, მეც მოწმე ვარ და ხათრიძეც – შესაბამისად, იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაული მოწმე ვარლამ ხათრიძის მხრიდან, რომელიც მაღალი თანამდებობის პირია – თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოყენებით, მოწმეზე ზეგავლენის მოხდენა. მე არ დავარღვევ უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ პროკურატურამ უნდა დაადგინოს, ჩაიდინა თუ არა ხათრიძემ დანაშაული. თუ ერთი თანამდებობის პირს შეუძლია, შევიდეს სხვის „ფეისბუკგვერდზე“, ნებისმიერი მიმოწერა გახსნას და წაიკითხოს, მაშინ, გამოდის, რომ დაქცეულა ქვეყანა. თუ ეს ყველაფერი ხათრიძემ მართლა მეგობრულად გააკეთა, გამოდის, რომ ყველაზე დიდი სისულელე გაუკეთებია, იმიტომ, რომ ასეთი ტიპის მეგობრობას საფუძველი არ აქვს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს გააკეთა იმისთვის, რომ ზეგავლენა მოეხდინა ჩემზე.

**— ალბათ, ვერც წარმოუდგენია, რომ ამ ყველაფერს გაასაჯაროებდით...**

– მშვენივრად იცის, რომ მე ამას გავასაჯაროებდი.

**— აბა, რატომ გარისკა?**

– ხათრიძემ სცადა ჩემი სინდისზე შეგდება, რომ მე უარვყოფდი ამ ყველაფერს. მაგრამ მე არაფერს უარვყოფ ისეთს, რაც მართლა იყო და მე რაც ვთქვი, მართლა ყველაფერი ასე იყო.

**— რას ელით ამ ინფორმაციის გასაჯაროების შედეგად?**

– მე არაფერს არ ველი. მივმართავ პრეზიდენტს, სახალხო დამცველს...

ზურაბ ჯორბენაძესთან საუბრის შემდეგ, შს სამინიტროს პრესსამსახურს დავუკავშირდით და ჯორბენაძის მიერ მონათხრობის საქმის კურსში ჩავაყენეთ. როგორც უწყების პრესსამსახურმა გვითხრა, ვარლამ ხათრიძე ზურაბ ჯორბენაძესთან შეხვედრას ადასტურებს, თუმცა არ აკონკრეტებს შეხვედრის მიზეზს: „როგორც ვიცით, ეს ორი ადამიანი ერთმანეთს ბევრი წელია იცნობს. კონკრეტულ თემაზე სასაუბროდ შეხვდნენ ერთმანეთს. ბატონი ვარლამი გამორიცხავს ზურა ჯორბენაძეზე ზეწოლას და უარყოფს მისი მხრიდან სხვისი „ფეისბუკის“ პირადი მიმოწერების ჩვენებას“.

რაც შეეხება იმას, როგორ მოხვდა, ჯორბენაძის თქმით, „თანამდებობისთვის კვალიფიკაციის მიხედვით შეუფერებელი“ კადრი შს სამინისტროს გენინსპექციის უფროსის მოადგილედ, გვითხრეს, რომ „აღნიშნულ თანამდებობის დაკავებამდე, ხათრიძემ სამი კარიერული ეტაპი გაიარა და პირდაპირ გენინსპექციის უფროსის მოადგილედ არავის დაუნიშნავს“.



# როგორ მოხვდა ბარბარე რაფალიანცის სკანდალური საქმის ადვოკატი შსს-ს გენინსპექციის უფროსის მოადგილედ?



**ზურაბ ჯორბენაძე: „რომ არა ჯანყარაშვილი, ეს გამოუცდელი თეოლოგი, როგორ დანიშნეს გენინსპექციაში სამმართველოს უფროსის მოადგილედ?“**

**„მითხრა, შენი პირადი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მინდოდა გამომეცადა, აბა, მოხვიდოდი თუ არა, მე არც შენს დაპატიმრებას ვაპირებ, არც სხვა რამეს, უბრალოდ, მინდა მეგობრულად გკითხო რაღაცო. გადმოიღო გასულ წელს გამოშვებული გაზეთი, სადაც მე მასზე ვსაუბრობ რაფალიანცის საქმესთან დაკავშირებით და მკითხა, — როცა ამ საკითხზე საუბრობდი, შენზე ზეწოლას ხომ არ ახდენდნენო. ვუპასუხე, რომ რასაც მაშინ ვამბობდი, იმას ახლაც გავიმეორებდი და გავუმეორე კიდეც“**

## ვინ არის 13 წლის გოგონა, რომელმაც წერილი დატოვა და მაღლივის ხიდიდან გადახტა



უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარედ არსებულ ხიდთან ნაპოვნი გარდაცვლილი გოგონა 13 წლის თ.მ.-ა.

ახლობლების ინფორმაციით, გარდაცვლილი სახლიდან დილის 7 საათზე გაიპარა. მათი ინფორმაციით, გარდაცვლილს ტანსაცმლის ჯიბეში წერილი აღმოაჩნდა, რომელიც გამოძიებას ნივთმტკიცებად აქვს აღებული და სავარაუდოდ, თვითმკვლელობის მოტივს განმარტავს.

სკოლაში, რომელშიც გოგონა სწავლობდა, თვითმკვლელობის მიზეზზე საუბარი უჭირთ. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბავშვს დეპრესიის ნიშნები არ ჰქონია, სიცოცხლით სავსე და ხალისიანი იყო, გამოირჩეოდა ხატვის ნიჭით.

თ.მ.-ს მეგობრებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა გოგონას საქციელი. მისი ერთ-ერთი მეგობარი აღნიშნულის შესახებ სოციალურ ქსელში წერს:

– რატომ, რატომ წახვედი? არ მოველოდი შენგან! ძალიან მიყვარდი, აი, უსაზღვროდ. მაინც ძალიან მიყვარხარ, ძალიან მენატრები, მაკლიხარ, ჩემი ტკივილი ხარ. ვერასდროს დაგივიწყებ, სულ ჩემს თავში იქნები, სულ ჩემი ცრემლების მიზეზი იქნები. ახლაც ვერ ვიჯერებ, რომ აღარ არსებობ. უბრალოდ, არ შემიძლია დაჯერება.

კლასის დამრიგებელმა აღნიშნა, რომ გოგონა დადებითი, კეთილი და ზრდილობიანი იყო. მისი ინფორმაციით, თ.-ს კონფლიქტი არავისთან ჰქონია და არა მარტო კლასელებთან, არამედ მთელი სკოლის მოსწავლეებთან მეგობრობდა. მასწავლებლის თქმით, გარდაცვლილი ძალიან კარგად ძერწავდა და იანვარში ხელოვნების სკოლაში აპირებდა სწავლის დაწყებას. (kvira.ge)

**ამ ბოლო დღეებში მოზარდის თვითმკვლელობის ეს უკვე მეორე შემთხვევაა და ასეთ დროს ხმას არ იღებს არც სახელმწიფო, არც საპატრიარქო, არც არავინ! მხოლოდ სახალხო დამცველმა გამოანათა - სახელმწიფოს არ გააჩნია ბავშვთა თვითმკვლელობის პრევენციის ერთიანი დოკუმენტიც. დოკუმენტები კი არა, ერთი ადგილი გაანძრიეთ და ბავშვებს ყურადღება მიაქციეთ, მარტო საუბარი თავზე რომ ფიქრობთ დიდი და პატარა!!!**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ტბა დუშეთის რაიონში
2. უდაბნო აფრიკაში
3. სირაქლემას სახეობა
4. ზღვაოსანი ფერნანდო ...
5. მსუბუქი
6. ვაჟიშვილი
7. ქალაქი ავსტრიაში
8. მხ/ფ „... ღამეები“
9. „მე, ბებია, ილიკო და ...“
10. მატონიზირებელი სასმელი
11. უკრაინული ავტომობილი
12. ექსპრეზიდენტი ... ტრუმენი
13. გეომეტრიული ფიგურა
14. კენკრა
15. პატარა არხი
16. კბილის დამცავი ფენა
17. ცხენოსანი მატადორი
18. მინდვრის ყვავილი
19. მდ. სანკტ-პეტერბურგში
20. თბილისის უბანი
21. სანელებელი
22. ძვ. სამგ-ზავრო ეტლი
23. ისტორიული შუამდინარეთი
24. მოხეტიალე ცირკის შენობა
25. ... ცოცხი კარგად გვის
26. საათის ციფრებიანი ფირფიტა
27. მსახიობი ჯონ ...
28. პოსტამენტი
29. მხ/ფ „... ორკესტრი“
30. შხამიანი გველი
31. გეოგრაფიაში: პარალელი და ...
32. სათამაშო ძაფზე
33. გულიანი კანფეტი
34. მსახიობი ... კეიჯი
35. მელა ... და კატა ბაზილიო
36. სავაჭრო კომპლექსი ... მოლი
37. მსახ. ... უიზერსპუნი
38. ფრანგული ავტომობილი
39. მსახიობი ... არქმანე
40. ხიდური ნაგებობა ხრამზე
41. ტურ ჰეიერდალის ტივი
42. მსახიობი საველი ...
43. მომღერალი ... ლავინი
44. სოფელი ახმეტის რაიონში
45. თევზის ჯიში
46. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
47. მხ/ფ „...-რამა“
48. ფიზიკოსი ... ნიუტონი
49. „20000 ... წყალქვეშ“
50. სტატორი და ...
51. კომპოზიტორი ... ერგემლიძე
52. მდინარე საფრანგეთში
53. ... ხაიამი
54. ესპანური ცეკვის დროს თითებზე ჩამოსაცმელი საჟღარუნო
55. იტალიელი ფიზიკოსი
56. ღრმული წყნარ ოკეანეში
57. ნორვეგიელი კომპოზიტორი
58. მსახიობი ... ტომეი
59. ყაზახეთის დედაქალაქი
60. ოსური ცეკვა
61. ყაიმი
62. ქეიფი
63. მწერალი ... კიზი
64. ღია საზაფხულო კაბა
65. „სამი მუშკეტერი“ პერსონაჟი
66. მომღერალი ... კუტუნიო
67. ნივრების ასხმა
68. ქმრის და
69. მხ/ფ „... სახლში“
70. მეორე სიცოცხლე ბუდიზმში
71. ფაიფურის თეთრი თიხა
72. მისი დედაქალაქია რომი
73. მსახ. ... ბეგალიშვილი
74. ... ოძელაშვილი
75. სოფელი ახმეტის რაიონში
76. მისი დედაქალაქია პეკინი
77. ბაში აჩუკის ქუდი
78. შტატი აშშ-ში
79. პალმის კაკალი
80. ფრედი მერკურის ანსამბლი
81. ძვლების დაავადება
82. სიო
83. ტელეკომპი
84. მკერდის კორექციის მასალა
85. შალის საპალტოე ქსოვილი
86. ლაკმუსი როგორც ალომჩენი
87. ნუშის ლიქიორი
88. შტატი აშშ-ში
89. ავსული არაბულ ზღაპრებში
90. მზის ღმერთი ეგვიპტეში
91. ძვ. რომაული სამოსი
92. თმის წითელი საღებავი
93. მოკლე კაბა
94. მსახიობი ... ფაროუ
95. ინტელექტუალური გასართობი
96. მსახიობი ... ეკბერგი
97. ძროხის ნაშიერი
98. საოპერო პარტია
99. ყოველივე უცხოურის სიძულვილი
100. მსახ. ... მალკოვიჩი
101. სახელმწიფო აფრიკაში
102. გამაგრილებელი სასმელი
103. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
104. ქალაქი ვოლგის დელტაში
105. ... მუსოლინი
106. შარლ პეროს ზღაპარი
107. ბასკეთის ქვეყნის უდიდესი ქალაქი
108. დაბალფასიანი
109. სტალინის დედა
110. ნორვეგიის დედაქალაქი
111. მხ/ფ „ყვარყვარე“. კახი კავსაძე ... ნატუტარის როლში
112. მსახიობი ... არდანი
113. პატარა ჩიტი
114. ყვავილი
115. საბაჟო აჭარაში
116. ძლიერი ქარიშხალი
117. რეჟისორი ... ბრასი
118. ... მურომეცი
119. მსახიობი კიანუ ...
120. ... სუხიშვილი
121. ჯუჯა კამეჩი
122. საომარი მოქმედებების ზანი
123. მასობრივი გადარჩენა
124. ძაღლის ნაშიერი
125. მწერალი ... ტოლსტოი
126. ნუსხა
127. ერთნახადი არაყი
128. ქალაქი სამეგრელოში
129. მომღერალი რაფაელა ...
130. ლერწმის არაყი
131. პორტი საქართველოში
132. დაბა თიანეთის რაიონში
133. ანსამბლი „სტატუს ...“
134. მსახიობი ჟერარ ...
135. მუსიკოსი ... გილესი
136. აწჩხლი
137. მოჭადრაკე ... კრამნიკი
138. პატარა ფლეიტა
139. ვეზუვის მახლობლად ქალაქი
140. გოგოლის მოთხრობა
141. კუნძული ეგეოსის ზღვაში

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ხერხემლის ბოლო ნაწილი
2. პური ყველის გულით
3. სადაფით დაფარული ძვირფასი ქვა
4. მსახიობი ... ბარდემი
5. ოთხკაციანი ანსამბლი
6. უძველესი აკადემია კახეთში
7. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
8. ძროხის ნაშიერი
9. ჯუჯა
10. მსახიობი ... ჰეპბერნი
11. ქართ. ხალხური ზღაპარი
12. ქალაქი იმერეთში
13. მაროკოს დედაქალაქი
14. სოფელი რაჭაში
15. მისი დედაქალაქია დელი
16. ფრანგი კომედიოგრაფი
17. ილუზიონისტი დევიდ ...
18. ღომში ჩაზელილი სულგუნი
19. დანაშაულის კვლევის მეთოდიკა
20. სასაფლაო თბილისთან
21. ღვინის პოეტური სახელწოდება
22. მსახიობი დანიელ ...
23. „... ვხედავ მზეს“
24. ძველი ეგვიპტის ქალაქი
25. მწვანილი
26. მსახიობი მარლონ ...
27. თვალის ბუდე
28. საყვავილე ვაზა
29. ქართ. მინერალური წყალი
30. მხ/ფ „მიდიოდა ...“
31. ჟურნალისტი ... გრიგოლია
32. ძლიერი ნათურა
33. მეკობრე
34. მიქელანჯელოს ქმნილება
35. დადებითი ელექტროდი
36. შენობა საწნახლით
37. ამერიკული თოჯინა
38. ხორბლის შესანახი შენობა
39. ჯუჯა ცხენი
40. მსახიობი ... ამირანაშვილი
41. თევზის წვნიანი
42. საომარი აღჭურვილობა
43. მწნილი
44. იტყვიან წითელ ლოყებზე
45. სავანის ბინადარი ცხოველი
46. აფხაზური ნაჭაპური
47. ბარდი ... ვისოცკი
48. კოსოვოს დედაქალაქი
49. პატარა ტანის ჩიტი
50. მოუხერხებელი ადამიანი
51. დიკენსი. „ოლივერ ...“
52. ყმაწვილი კაცი
53. მოსამსახურე
54. ლეონარდო და ვინჩის მადონა
55. სოფოკლეს ტრაგედია
56. რომაელი იმპერატორი
57. რომის პაპის რეზიდენცია
58. თეატრალური განცხადება
59. ქვეყნის მკვიდრი მოსახლე
60. გიტარის კორპუსის ნაწილი
61. რუს მეფეთა დინასტია
62. მსახიობი ლივ ...
63. რუსი მხატვარი
64. დაბალი ხარისხის კონიაკი
65. ქვეითი ჯარისკაცი ოსმალეთში
66. აქ გაშენდება ლაზიკა
67. მოდელი ... კასტა
68. სპილენძისა და თუთიის შენადნობი
69. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
70. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
71. მარცხი
72. ცხიმის ამოღება სხეულიდან
73. სურდო
74. გიორგი სააკაძის სოფელი
75. ზღვა საბერძნეთთან
76. პერსონა ...-გრატა
77. შხამიანი გველი
78. სახელი და ...
79. მოსამართლის მოსასხამი
80. ქალაქი კანადაში
81. სოფელი გორის რაიონში
82. ლიბრი თვალზე
83. მდინარე ციმბირში
84. მემარცხენე ადამიანი
85. მსახიობი ჯორჯ ...
86. შინაგანი „მე“
87. არგენტინული ჩაი
88. პროვინცია ესპანეთში
89. ლუდის მასალა
90. სოფელი კასპის რაიონში
91. მანეთის მეასედი
92. მისი დედაქალაქია სოფია
93. შოკოლადი არაქისით
94. ავტობუსში ბილეთების გამყიდველი
95. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი
96. ყველაზე ღრმა ტბა
97. ძვ. ქართ. ჩასაბერი საკრავი
98. ყურის ანთება
99. შექსპირის ტრაგედია
100. ყოფილი მეკარე სერგო ...
101. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა
102. ყინვაგამძლე სითხე
103. მსახიობი იგორ ...
104. ფარული დაცინვა
105. ცელქი
106. ... ფონ ბისმარკი
107. ბიბლიური მთა
108. კენიის დედაქალაქი
109. წარწერა კადრის ქვეშ
110. კოსმოდრომი ყაზახეთში
111. ესტონეთის დედაქალაქი
112. ნიშნავს საწინააღმდეგოს
113. ყველაზე რბილი მინერალი
114. „ჩვენი ეზო“ ... ვასასი
115. წერილი
116. ანწლი
117. „... ჩემო ვენახო“
118. ნაზი, სათუთი
119. ღომის მოსაზელი ჯოხი
120. მსახიობი ... დელონი
121. მიმიკის უქონლობა
122. მეფის ვაჟი
123. ვაჟიშვილი
124. მომღერალი ... ხუციშვილი
125. ღორის საჭმელი
126. მხატვარი კლოდ ...
127. მხ/ფ „თავადის ქალი ...“
128. ... ჭავჭავაძე
129. კარებში გატანილი ბურთი
130. კუნძული კანარის კუნძულებში
131. მხატვარი ავთო ...
132. სვე
133. მელა ალისა და კატა ...
134. მსახიობი ... გიბსონი
135. მატყუარა
136. პატარა არხი
137. მხატვარი ... გრეკო
138. ტროას ბერძნული სახელწოდება
139. მდინარე აფრიკაში
140. ჭრილობა



პასუხები: 1. კუდუსუნი; 2. ხაჭაპური; 3. მარგალიტი; 4. ხავიერ; 5. კვარტეტი; 6. იყალთო; 7. ვერდი; 8. ხბო; 9. ლილიპუტი; 10. ოდრი; 11. „მუჭანახევარა“; 12. ხონი; 13. რაბატი; 14. ირი; 15. ინდოეთი; 16. მოლიერი; 17. კოპერფილდი; 18. ელარჯი; 19. კრიმინალისტიკა; 20. მუხათგვერდი; 21. ნუნუა; 22. დარიე; 23. მე; 24. თებე; 25. კამა; 26. ბრენდი; 27. ფოსო; 28. ლარნაკი; 29. „ნაბეღლავი“; 30. მატარებელი; 31. ინგა; 32. პროჟექტორი; 33. პირატი; 34. „პიეტა“; 35. ანოდი; 36. მარანი; 37. ბარბი; 38. ბეღელი; 39. პონი; 40. ამირან; 41. უხა; 42. ამუნიცია; 43. მარინადი; 44. ღაჟღაჟა; 45. ჟირაფი; 46. აჩმა; 47. ვლადიმერ; 48. პრიშტინა; 49. სკვინჩა; 50. უნიათო; 51. ტვისტი; 52. ჯეელი; 53. ლაქია; 54. ლიტა; 55. „ანტიგონე“; 56. ნერონი; 57. ვატიკანი; 58. აფიშა; 59. აბორიგენი; 60. დეკა; 61. რომანოვი; 62. ტაილერი; 63. რერიხი; 64. ბრენდი; 65. იანიჩარი; 66. ანაკლია; 67. ლეტიცია; 68. თითბერი; 69. ესე; 70. აგნი; 71. კრახი; 72. ლიპოსაქცია; 73. რინიტი; 74. ნოსტე; 75. ეგეოსი; 76. ნონ; 77. ასპიტი; 78. გვარი; 79. მანტია; 80. უინიპეგი; 81. იკორთა; 82. ბისტი; 83. ობი; 84. ცაცია; 85. კლუნი; 86. ეგო; 87. მატე; 88. მალაგა; 89. ალაო; 90. იგოეთი; 91. კაპიკი; 92. ბულგარეთი; 93. „სნიკერსი“; 94. კონდუქტორი; 95. ბიზე; 96. ბაიკალი; 97. ლოროტოტო; 98; ოტიტი; 99. „ოტელო“; 100. კოტრიკაძე; 101. „ლილ“; 102. ანტიფრიზი; 103. ილინსკი; 104. ირონია; 105. ანცი; 106. ოტო; 107. არარატი; 108. ნაირობი; 109. ტიტრი; 110. ბაიკონური; 111. ტალინი; 112. ანტი; 113. ტალკი; 114. დეიდა; 115. უსტარი; 116. ავი; 117. ვაიმე; 118. აზიზი; 119. სუთი; 120. ალენ; 121. ამიმია; 122. პრინცი; 123. ძე; 124. გიო; 125. სალაფავი; 126. მონე; 127. მაია; 128. ილია; 129. გოლი; 130. ტენერიფე; 131. ვარაზი; 132. ბედი; 133. ბაზილიო; 134. მელ; 135. ცრუ; 136. რუ; 137. ელ; 138. ილიონი; 139. ზამბეზი; 140. იარა. იკითხება: იკებანა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ... დე ბერჟერაკი
2. ამ ქვეყანაზე გადის არხი
3. კურორტი სოჭის რაიონში
4. იტალიური ღვეზელი
5. ის, ვინც მუსიკებს წერს
6. ამერიკული სატელევიზიო „ოსკარი“
7. ინდიელის ფეხსაცმელი
8. კუბის ფორმის ოქროს ნაჭერი
9. მისი დედაქალაქია ვარშავა
10. სურდო
11. პიერ რიშარის კინოგმირი
12. ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული
13. მსახიობი მიკი ...
14. მომღერალი ვალერი ...
15. ქართული ღვინო
16. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
17. ხის ტოტი
18. რუსი მხატვარი კარლ ...
19. რაიმე სიდიდე, განზომილება
20. ტრამვაის მძღოლი
21. სასტრადო სიმებიანი საკრავი
22. კოლუმბიის დედაქალაქი
23. ცურვის სტილი
24. კიანუ რივზი ფილმში
25. პიონერთა საერთაშორისო ბანაკი
26. 90გრადუსიანი კუთხე
27. შტატი აშშ-ში
28. ყურძნის ჯიში
29. მწერალი ალბერტო ...
30. ძვლების დაავადება
31. რიგითი ნომრების მინიჭება
32. ნაცია
33. მსახიობი პოლ ...
34. მსახიობი ... ლიოტა
35. მოუხარშავი
36. გამის ნოტი
37. კომპიუტერიდან ამოსაბეჭდი ხელსაწყო
38. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
39. კვიპროსის დედაქალაქი
40. ცხარე სანელებელი
41. ზღვის უბე სკანდინავიაში
42. სპორტის სახეობა
43. ზამთრის თვე
44. ლასო
45. ჰოკეის სათამაშო ბურთი
46. მწერი სამზარეულოში
47. მწერალი ედგარ ალან ...
48. მსახიობი ჰელენ ...
49. თევზის სახეობა
50. მზის სისტემის პლანეტა
51. ადამიანშებმული ეტლი
52. გრძლად შემწვარი ლაკეპილი ხორცი
53. მწერალი ... როდარი
54. ტომრის ფორმის საფულე
55. ქალაქი წყალზე იტალიაში
56. მოგზაური, რომლის სახელიც უწოდეს მის მიერ აღმოჩენილ ცხენს
57. მწვანე ადგილი უდაბნოში
58. კონტინენტი
59. მხ/ფ „... მამა“
60. ატრაქციონი პარკში
61. სანოვაგე
62. ელასტიური ქსოვილი
63. „სანამ ... გადაბრუნდება“
64. დინამიტის გამომგონებელი
65. ნაჭუჭიანი ნაყოფი
66. მეტყველების ორგანო
67. მერიმე. „... ფალკონე“
68. ... გოგებაშვილი
69. მსახ. ... ჯიგარხანიანი
70. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
71. რას აშენებს თახვი მდინარეზე
72. მსახ. ... ნიკულინი
73. კარტოფილის კერძი
74. ტანსაცმლის დეტალი
75. ბროში ადამიანის პროფილით
76. იაპონური არაყი
77. მსახიობი ... ფერერი
78. კანის ინფექც. დაავადება
79. რიყის ქანი
80. იაპონური მინიატურ. სკულპტურა
81. მხ/ფ „... რუჟი“
82. სოფელი საგარეჯოს რაიონში
83. ორი სითხის ნარევი
84. მექსიკის დედაქალაქი
85. ყველაზე მაღალი ბალახი
86. მწერალი ალბერ ...
87. მსახიობი კამერონ ...
88. იაპონური თაიგული
89. სრუტე ხმელთაშუა ზღვაზე
90. მექსიკური ქუდი
91. უუფლებო ადამიანი
92. მსახიობი ... ჰაიეკი
93. პარკოსანი მცენარე
94. იაპონური ფულის ერთეული
95. მხ/ფ „ჩემი მეგობარი ...“
96. სამიანი ნარდში
97. მინა. აისახება გამოსახულება
98. ტროპიკული ბუჩქი
99. ნახატი-შარჟი
100. მსახიობი ჯესიკა ...
101. მსახიობი ... სპეისეკი
102. დრაიზერი. „ამერიკული ...“
103. უკრაინის პარლამენტი
104. დოსტოევსკის რომანი
105. ცხოველთა სამყარო
106. რბილი ადგილი ჩვილის თავზე
107. მწვანე მინერალი
108. სხვადასხვა ამბების ნაკრები
109. თევზი ელექტრული მუხტით
110. ჭრილობა
111. თამბაქოს მოსაწევი ჭურჭელი
112. მსახიობი ორლანდო ...
113. ენერგიის ერთეული
114. ქალაქი ქვემო ქართლში
115. ცნობილი მსახიობის პატარა როლი
116. მსახ. ... სილვერსტოუნი
117. აორტის ანთება
118. კუთხის საზომი ერთეული
119. სირაქლემას სახეობა
120. რუსული რევოლუც. გაზეთი
121. ბოსტნეული
122. მას ეშინია ჭიაკოკონის
123. მომღერალი ... კარაკლაიძე
124. ზღვა შუა აზიაში, რომელიც შრება
125. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
126. ვალუტა
127. ბრაზილიური ცეკვა
128. მსახიობი ... ნილი
129. რთული მოსახვევი
130. მსახიობი მეთიუ ...
131. ..., ნაფნაფი და ნუფნუფი
132. ჟან-კლოდ ... დამი
133. მოგზაურობა გემით ქვეყნებში
134. მზის ღმერთი ეგვიპტეში
135. ბერძ. ანბანის პირველი ასო
136. გამის ნოტი
137. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
138. ...-ანჯელესი
139. პოეტი ... კალანდაძე
140. მსახიობი ... გრიფიტი
141. კომპოზიტორი ნინო ...
142. დიუჟარდენი „ოსკაროსან“ ფილმში
143. პატარა ტანის ძაღლი
144. მთათა სისტემა ...-შანი



პასუხები: 1. სირანო; 2. პანამა; 3. ადლერი; 4. პიცა; 5. კომპოზიტორი; 6. „ემი“; 7. მოკასინი; 8. ზოდი; 9. პოლონეთი; 10. რინიტი; 11. პინიონი; 12. წინანდალი; 13. რურკი; 14. ლეონტიევი; 15. „ბადაგონი“; 16. ოლია; 17. რტო; 18. ბრიულოვი; 19. პარამეტრი; 20. ვატმანი; 21. კონტრაბასი; 22. ბოგოტა; 23. კროლი; 24. „მატრიცა“; 25. „არტეკი“; 26. მართი; 27. არკანზასი; 28. პინო; 29. მორავია; 30. რაქიტი; 31. ნუმერაცია; 32. ერი; 33. ნიუმენი; 34. რეი; 35. უმი; 36. მი; 37. პრინტერი; 38. არისტოტელე; 39. ნიქოზია; 40. წიწაკა; 41. ფიორდი; 42. ფრენბურთი; 43. დეკემბერი; 44. ქამანდი; 45. შაიბა; 46. ტარაკანი; 47. პო; 48. მირენი; 49. ქარიყლაპია; 50. ვენერა; 51. რიქშა; 52. ქაბაბი; 53. ჯანი; 54. ქისა; 55. ვენეცია; 56. პრჟევალსკი; 57. ოაზისი; 58. აზია; 59. ჯარისკაცის; 60. კარუსელი; 61. ხორაგი; 62. ლიკრა; 63. ურემი; 64. ნობელი; 65. თხილი; 66. ენა; 67. მატეო; 68. იაკობ; 69. არმენ; 70. მენუეტი; 71. კაშხალი; 72. იური; 73. პიურე; 74. ჯიბე; 75. კამეა; 76. საკე; 77. მელ; 78. ქეცი; 79. ქვა; 80. ნეცკე; 81. მულენ; 82. მანავი; 83. ემულსია; 84. მეხიკო; 85. ბამბუკი; 86. კამიუ; 87. დიასი; 88. იკებანა; 89. გიბრალტარი; 90. სომბრერო; 91. მონა; 92. სალმა; 93. ლობიო; 94. იენა; 95. ნოდარი; 95. სე; 97. სარკე; 98. ცეცე; 99. კარიკატურა; 100. ალბა; 101. სისი; 102. ტრაგედია; 103. რადა; 104. „იდიოტი“; 105. ფაუნა; 106. ყიფლიბანდი; 107. მალაქიტი; 108. კოლაჟი; 109. სკატი; 110. იარა; 111. ნარგილე; 112. ბლუმი; 113. ერგი; 114. ბოლნისი; 115. კამეო; 116. ალისია; 117. აორტიტი; 118. გრადუსი; 119. ნანდუ; 120. „ისკრა“; 121. ბოლოკი; 122. ჭინკა; 123. რადმილა; 124. არალი; 125. ფრი; 126. ფული;127. „სამბა“; 128. სემ; 129. ვირაჟი; 130. პერი; 131. ნიფნიფი; 132. ვან; 133. კრუიზი; 134. რა; 135. ალფა; 136. ფა; 137. მისისიპი; 138. ლოს; 139. ანა; 140. მელანი; 141. როტა; 142. „არტისტი“; 143. ფინია; 144. ტიან. იკითხება: ჯენიფერ ლოპესი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ხმლის ბუდე
2. მდინარის თევზი
3. სტადიონი რიოში
4. წყალში გახსნილი ამიაკი
5. კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ...
6. მზის ათინათი
7. ბანდერო-ლი
8. საბჭოთა კლოუნი
9. მსახიობი ვივიენ ...
10. აქლემების მწკრივი უდაბნოში
11. შებოლილი ხორცი
12. ჟაკ-... კუსტო
13. ჩონჩხის ნაწილი
14. კუბის დედაქალაქი
15. კუპერი „უკანასკნელი ...“
16. ორსახა ღმერთი
17. ჩრდილოეთის ირემი
18. ხალხური საშუალებებით მკურნალი
19. ფაშვის წვნიანი
20. მტაცებელი ცხოველის მაშრი
21. გულუბრყვილო ადამიანი
22. გეოგრაფიაში: პარალელი და ...
23. ზანგების კვარტალი ნიუ-იორკში
24. სრუტე პა-დე-...
25. გვამის დაწვა
26. თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, ... ვერავნახე
27. მატარებლის გამყოლი
28. ინდური კაბა
29. ვინი პუჰის ავტორი
30. ფიგურული გაფორმების დეტალი
31. ჰემინგუეი. „... თოვლიანი მთა“
32. მოქანდაკე ჯუნა ...
33. სერიალი „... ქალაქში“
34. სელაპის სახეობა
35. „... თომას ქოხი“
36. გამარტივებული ინგლისური ენა
37. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
38. მომღერალი ნანი ...
39. ქვით მოკირწყლული გზა
40. საერთო ევროპული ფული
41. ქურდობის მანია
42. ბაკნიანი რეპტილია
43. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
44. ქედი რუსეთში
45. სპორტ. შეჯიბრების დასაწყისი
46. კომპოზიტორი გოგი ...
47. ... ჩვენი არსობისა
48. შინაური პირუტყვი პერუში
49. ბროში ადამიანის პროფილით
50. რეჟისორი ძმები ...
51. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
52. სოფელი მცხეთასთან
53. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
54. ატომის ნაწილაკი დადებითი მუხტით
55. რეჟისორი ... როსელინი
56. ყურის ანთება
57. დიზაინერი ... კლაინი
58. შტატი აშშ-ში
59. კათოლიკური დედათა მონასტ. წინამძღვარი
60. ნაწლავის პარაზიტი ჭია
61. ალიყური
62. მდინარე კანადაში
63. კედლის მანდალი
64. დოლბანდი ქრილობაში
65. გეიშამონაფე
66. ვაშლის ღვინო
67. ვულკანური მასა
68. მხატვარი ... სულაკაური
69. მსახიობი ჰოლი ...
70. ძვირფასი ქვა
71. მხატვარი ანრი ...
72. სამხედრო წოდება
73. ცურვის სტილი
74. სახელმწიფო აზიაში
75. დარდი, ვარამი
76. ხარებთან ბრძოლა
77. მსახიობი ... ბესინჯერი
78. ბოჭკოვანი მცენარე
79. დონ კიხოტ ...
80. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
81. კომპოზიტორი ... კალმანი
82. მსახიობი ... ოტული
83. პლანეტის მოძრაობის გზა
84. ტალინის სიმბოლო მოხუცი ...
85. მოძრავი წარწერა კადრის ქვეშ: ... სტრიქონი
86. ჰიტლერი, როგორც ბელადი
87. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
88. გამოთქმა: სამიანი და ...
89. შოტლანდიელი მამაკაცის სამოსი
90. მარკების შემგროვებელი
91. წიწვოვანი მცენარე
92. ჰოლანდიელი მხატვარი
93. მსახიობი ... კალკინი
94. მწერალი ჭაბუა ...
95. ყვავილი
96. პირბადე
97. რეჟისორი ... სკოტი
98. ქალაქი შიდა ქართლში
99. ქიმიური ელემენტი
100. ესპანელი დიდებული
101. გამორჩეული ადამიანი ქალაქში
102. ძველი ჰიტი: „... და მარო“
103. სწავლის ... მწარე არის
104. მეორე საუზმე ინგლისში
105. ძლიერი ქარბორბალა
106. კუნძული საფრანგ. პოლინეზიაში
107. ნიშნავს „ვხედავ“
108. ტარკოვსკის ფილმი
109. ტყუილი, ანუ ... სიტყვები
110. „... უბნის მელოდიები“
111. ქსოვილი ფანჯარაზე
112. მწერლები ... და პეტროვი
113. შეჯიბრი ცხენების გაჭენებაში
114. შხამიანი გველი მავი ...
115. მსახიობი ... რივზი
116. ტკბილი კარტოფილი
117. მსახიობი ჯიმ ...
118. მსახიობი ... კერტისი
119. ნაბოკოვის რომანი
120. ხმლის ტარი
121. აბელის მკვლელი
122. ოტელოს ეროვნება
123. მხარე დას. საქართ.
124. ქალაქი „ილიადაში“
125. ძიძა
126. მამათა დიდი მონასტერი
127. პომიდვრ. წვენი
128. ნაცია
129. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
130. გერმ. ფილოსოფ.
131. ძვ. კოლხეთი
132. ერთკუზიანი აქლემი
133. მსახიობი ... გარდნერი
134. იუპიტერის თანამგზავრი
135. ვინმეს სატირული მიბაძვა
136. სახელმწიფო დოკუმენტი
137. ტყისმცველი
138. კავშ. სიტყვა
139. ... კარენინა
140. მსახიობი ... ჰეპბერნი

პასუხები: 1. ქარქაში; 2. კალმახი; 3. „მარაკანა“; 4. ნიშადური; 5. ბეთჰოვენი; 6. სხივი; 7. ამანათი; 8. კარანდაში; 9. ლი; 10. ქარავანი; 11. ლორი; 12. ივ; 13. ხერხემალი; 14. ჰავანა; 15. მოჰიკანი; 16. იანუსი; 17. მარალი; 18. ექიმბაში; 19. ხაში; 20. ხვადი; 21. მიამიტი; 22. მერიდიანი; 23. ჰარლემი; 24. კალე; 25. კრემაცია; 26. სარგებელი; 27. კონდუქტორი; 28. სარი; 29. მილნი; 30. ორნამენტი; 31. კილიმანჯაროს; 32. მიქატაძე; 33. შუა; 34. ნერპა; 35. ბიძია; 36. პიჯინი; 37. მექა; 38. ბრეგვაძე; 39. ქვაფენილი; 40. ევრო; 41. კლეპტომანია; 42. კუ; 43. ბრაზილია; 44. ურალი; 45. სტარტი; 46. ცაბაძე; 47. პური; 48. ლამა; 49. კამეა; 50. ტავიანები; 51. პაპი; 52. ძეგვი; 53. ელიბო; 54. პროტონი; 55. რობერტო; 56. ოტიტი; 57. კელვინ; 58. ნებრასკა; 59. აბატისა; 60. ასკარიდი; 61. სილა; 62. კლონდაიკი; 63. ბრა; 64. ტამპონი; 65. მაიკო; 66. სიდრი; 67. ლავა; 68. ზაალ; 69. ბერი; 70. იაგუნდი; 71. მატისი; 72. მაიორი; 73. ბრასი; 74. იორდანია; 75. კაეშანი; 76. კორიდა; 77. კიმ; 78. სელი; 79. ლამანჩელი; 80. აგრა; 81. იმრე; 82. პიტერ; 83. ტრაექტორია; 84. ტომასი; 85. მორბენალი; 86. ფიურერი; 87. მარადია; 88. ჯანმრთელობა; 89. კილტი; 90. ფილატელისტი; 91. ნაძვი; 92. რემბრანდტი; 93. მაკოლეი; 94. ამირეჯიბი; 95. ია; 96. მანდილი; 97. რიდლი; 98. ქარელი; 99. იოდი; 100. იდალგო; 101. კოლორიტი; 102. კეკელა; 103. ძირი; 104. ლანჩი; 105. ტორნადო; 106. ტაიტი; 107. ვიდეო; 108. „სტალკერი“; 109. ლიტონი; 110. ვერის; 111. ფარდა; 112. ილფი; 113. როდეო; 114. მამბა; 115. კიანუ; 116. ბატატი; 117. კერი; 118. ტონი; 119. „ლოლიტა“; 120. ვადა; 121. კაენი; 122. მავრი; 123. გურია; 124. ტროა; 125. გადია; 126. ლავრა; 127. ტომატი; 128. ერი; 129. პან; 130. კანტი; 131. აია; 132. დრომადერი; 133. ავა; 134. იო; 135. პაროდია; 136. ქარტია; 137. რეინჯერი; 138. და; 139. ანა; 140. ოდრი. იკითხება: კუპიდონი.

# მღებრიშვილი მიდის — ახალი მინისტრი გოგაშვილი იქნება?



„პირველი რადიოსთვის" ცნობილი ხდება, რომ რამდენიმე კვირაში შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი პოსტს დატოვებს და მას უშიშროების მინისტრის, ვახტანგ გომელაურის მოადგილე, იოსებ გოგაშვილი შეცვლის. ინფორმაციის თანახმად, სამინისტროში ბოლო ერთი კვირის მანძილზე განხორციელებული ცვლილების – მინისტრის მოადგილეების შეცვლა, თბილისი პოლიციის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლება, სამხარეო პოლიციის უფროსების შეცვლა, ამის წინაპირობაა. თავდაპირველად, მღებრიშვილის შემცვლელად სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე სახელდებოდა. თუმცა, გავრცლებული ინფორმაციის თანახმად, მან მინისტრობაზე უკვე მეორედ თქვა უარი და ამის შემდეგ არჩევანი სოსო გოგაშვილზე შეჩერდა. გოგაშვილი თავდაპირველად ძალოვან უწყებებში ე.წ. კახელების დაჯგუფებას წარმოადგენდა, თუმცა, როგორც ამბობენ, მას ყოფილი პრემიერის სიმამრთან და მის ნათესავებთან – იგულისხმება ჯანყარაშვილი, ურთიერთობა დაეძაბა, გომელაურის გუნდში აღმოჩნდა და ნდობა მოიპოვა. (პირველი რადიო)

# დონეცკის გუბერნატორმა სააკაშვილს „პიარშიკი“ უწოდა...



დონეცკის გუბერნატორი პავლე ჟებრივსკი, ოდესის ოლქის გუბერნატორის, მიხეილ სააკაშვილის მისამართით სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს:

„არ შემიძლია უკვე ამ სულელურ პიარზე გაჩუმება. ორი დღის წინ, დონეცკში „პიარშიკი“ სააკაშვილი იყო ჩამოსული და განაცხადა, რომ ოდესის ბატალიონს არ აქვს სათანადოდ მოწყობილი ტუალეტები და დიდის ამბით შეპირდა მათ, რომ ამ ყველაფერს მოაგვარებდა. მინდა გითხრათ, რომ ოდესის გუბერნიის ხელმძღვანელობა ყოველთვის გულშემატკივრობდა თავის ბატალიონს, მაგრამ ამით პიარს არ იკეთებდნენ.

დონეცკის ოლქს ბევრი პრობლემა აქვს და ჩვენ ყველასი მადლობელი ვართ, ვინც გულგრილი არ არის ჩვენი პრობლემების მიმართ.

ბატონო სააკაშვილო, ოდესის პრობლემებს მიხედეთ, მგონი, დიდი ხანია ოდესაში არც კი ყოფილხართ. არჩევნები ჩვენთან ჯერ არ დაწყებულა. პოპულიზმს უკრაინისთვის კარგი არაფერი მოუტანია“. – წერს დონეცკის გუბერნატორი სოციალურ ქსელში. (reportiori.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ჯანდაცვის სამინისტრო ფსიქოტროპული მედიკამენტის ურეცეპტოდ გაყიდვის რეგულაციის გამკაცრებაზე მუშაობს



ჯანდაცვის მინისტრს სააფთიაქო ნარკომანიის დასაძლევად მოქმედი შეზღუდვები საკმარისად არ მიაჩნია. მისი უწყება ახალ რეგულაციაზე მუშაობს, რომელსაც უახლოეს მომავალში პარლამენტს წარუდგენენ.

არასრულწლოვანებს მცირე ზომის აფთიაქები წამლებს ისე ყიდიან, რომ მოზრდებს არც პირადობის მოწმობას სთხოვენ და არც ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტს. „გაბაგამა“, „ბაკლოსანი“, „გრიმოდი ანდანტე“, ეს გაბაპენტინის ჯგუფის მედიკამენტებია რომელიც ეპილეფსიის, შაკიკის და კრუნჩხვის საწინააღმდეგოდ ინიშნება. ამ პრეპარატების მიღება არ იწვევს განსაკუთრებულ სიამოვნებას, მაგრამ მათი ფასისა და ხელმისაწვდომობის გამო ახალგაზრდები მაინც მოიხმარენ. ამ ჯგუფის პრეპარატებს მაღალი დოზით მომადუნებელი, გამაბრუებელი მოქმედება აქვს, იწვევს ილუზიებსა და ჰალუცინაციებს.

მსგავსი პრეპარატების გამოყენების შემთხვევაში ლეტალური შედეგები უფრო ხშირია, ვიდრე ჩვეულებრივ ნარკომომხმარებლებს შორის.

ფსიქოტროპული მედიკამენტის ურეცეპტოდ ბრუნვაში მიცემის გამო აფთიაქი პირველ ჯერზე 6 ათასი ლარით დაჯარიმდება. შემთხვევის განმეორებისას მის მეპატრონეს 12 ათასი ლარის გადახდა მოუწევს, მესამე შემთხვევაში კი სააფთიაქო საქმიანობის ლიცენზიას ჩამოართმევენ.

სააფთიაქო ნარკომანიის დასაძლევად მოქმედი შეზღუდვები საკმარისად არ მიაჩნია თავად ჯანდაცვის მინისტრს. მისი უწყება ახალ რეგულაციაზე მუშაობს, რომელსაც უახლოეს მომავალში პარლამენტს წარუდგენენ. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებული ახალი რეგულაციის დამტკიცების შემთხვევაში ურეცეპტოდ მედიკამენტის გაყიდვის გამო მეპატრონეს სააფთიაქო საქმიანობა სამუდამოდ აეკრძალება. (reportiori.ge)

# „ახლა სხვებმა ამტკიცეთ, რომ პინგვინები არ ხართ, ჩემგან ეს თემა დახურულია“



თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის ყოფილი უფროსი ჯოკია ბოდოკია სააპელაციო სასამართლოში გაკეთბულ განცხადებებზე გამოხმაურებას პასუხობს.

იგი დავით ნარმანიას, ალექსანდრე მარგიშვილსა და გეგი ნიჟარაძეს სხვისი მითითებებით მოქმედებაში ადანაშაულებს: „მართლა ღირსები ყოფილან ეს ბატონები იმ დაწერილ ტექსტებზე (ცრუ ჩვენებებზე) მომეწერა ხელი, რასაც პროკურატურა მთავაზობდა..."

„ყველას ვაჟკაცობას ვერ მოსთხოვ, მათ შორის ვერც ნარმანიას, მარგიშვილსა და ნიჟარაძეს. მათ ყველაფერი აქვთ, რისი დაკარგვაც შეუძლიათ, მე კი არც არაფერი მაქვს დასაკარგი და არც არაფრის იმედი.

დარწმუნებული ვარ გულში მადლობლები არიან, განსაკუთრებით კი, ბატონი მარგიშვილი, რომლის უსაფრთხოებასაც ამ განცხადებით ერთგვარი იმუნიტეტი მიენიჭა", – წერია განცხადებაში.

შეგახსენებთ, ჯოკია ბოდოკიამ განაცხადა, რომ მისი გასამართლება პროექტ „პანორამა თბილისთან" დაკავშირებით არსებულ აზრთა სხვადასხვაობას უკავშირდება. მისი თქმით, ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის მიზანი, ალექსანდრე მარგიშვილის წინააღმდეგ მის მიერ ჩვენების მიცემა იყო. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვახტანგ ქირიას ახლობელი — კუჭავას გამოჩენამ საერთოდ დაგვაბნია და სრულ გაურკვევლობაში ვართ



პროკურორ ვახტანგ ქირიას ოჯახის წევრებმა ქირიას მკვლელობაში ბრალდებული ბიძინა კუჭავას მეუღლის განცხადების შემდეგ პირველი კომენტარები გააკეთეს.

ვახტანგ ქირიას ძმის ელდარ ქირიას განცხადებით, „ფაქტები სულ სხვა რამეს ამბობს“, თუმცა გარდაცვლილის ძმა კონკრეტულ ვერსიებზე არ საუბრობს.

– არ ვიცი. დღემდე ვერ გავიგე, რა შეიძლება იყოს მიზეზი. მეტს ვერაფერს გეტყვით, თუ რამე სიახლე იქნება, გაგაგებინებთ, – აღნიშნა ელდარ ქირიამ. ვახტანგ ქირიას ძმისცოლი რუსუდან პაჭკორია კი აცხადებს, რომ საქმეში ბიძინა კუჭავას გამოჩენა მოულოდნელი იყო, რამაც ოჯახის წევრები სრულიად დააბნია.

– შესაძლებელია, ეს იყოს მორიგი სკანდალური ამბავი, მაგრამ ჩვენი ოჯახისთვის ეს არის დიდი ტრაგედია. დანარჩენი ყველაფერი არის ჭორი და ჭორაობა, რაშიც მონაწილეობას ვერ მივიღებთ. კუჭავას გამოჩენამ საერთოდ დაგვაბნია და ვართ სრულ გაურკვევლობაში. ვერანაირ დასკვნას ვერ ვაკეთებთ. მოტივი გვაინტერესებს, რა თქმა უნდა და გამოძიებისგან ველოდებით ჭეშმარიტების დადგენას. ოჯახის ყველა წევრი გამოძიებასთან ვთანამშრომლობთ. ჩვენ შესაძლოა, ცხედარიც არ გვყოლოდა დასატირებლად, ისე განვითარდა მოვლენები, ამიტომ, ველოდებით, რომ გამოძიება დაადგენს ჭეშმარიტებას, – აღნიშნა პაჭკორიამ.

ის გამორიცხავს, რომ კუჭავასა და ქირიას რაიმე საერთო ბიზნესი ჰქონოდათ, ან დაპირისპირება ყოფილიყო მათ შორის.

– შეუძლებელი იყო, არ გაგვეგო კონფლიქტის ან დაპირისპირების შესახებ, თუმცა ვერაფერს გეტყვით დაზუსტებით, არ ვიცით, – ვახტანგ ქირიას ძმისცოლმა. (ინტერპრესნიუსი)

# ვეტერანების პროტესტი — შიხიაშვილის ანგარიშის წარდგენა ხმაურის ფონზე გაიმართა



ვეტერანთა სამსახურის ანგარიშის წარდგენა ხმაურის ფონზე წარიმართა. ვეტერანები ჰოსპიტალისთვის დაფინანსების შეწყვეტას აპროტესტებდნენ. ვეტერანთა სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, საპროტესტო აქციის მონაწილეებს პროტესტის ადრესატი არასწორად ჰყავთ შერჩეული.

– პრეტენზიები, რომელიც მათ აქვთ, მე მგონი, მისამართია არასწორად არჩეული, იმიტომ რომ ვეტერანთა სამსახური არ არის ეკონომიკის სამინისტრო, ის არ ფლობს არც იმ შპს-ს და არც იმ შენობას. დაფინანსება, რომელსაც ჩვენ ვახორციელებდით, იყო პროგრამული, რომელიც პირდაპირ იყო მთავრობიდან გამოყოფილი და ჩვენ, უბრალოდ, ვიყავით გამტარნი ამ ბიუჯეტის. ამჟამად მე ეს თანხა ბიუჯეტში არ მაქვს. შესაბამისად, ამ თანხას ამიტომაც ვერ ვიხდი, – განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა. (ნიუპოსტი)

# ერაყში აშშ-ის მოქალაქეები გაიტაცეს



ერაყში აშშ-ის მოქალაქეები გაიტაცეს. ამის შესახებ ინფორმაცია ბაღდადში აშშ-ის საელჩომ უკვე დაადასტურა.

– ჩვენ გატაცებულების ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით ერაყის მთავრობასთან ერთად ვმუშაობთ, – აღნიშნეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, თუმცა, მათ არ დაუკონკრეტებიათ გატაცებულების რაოდენობა.

მედიაში კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ გატაცებულია სამი ამერიკელი და მათი ერაყელი თარჯიმანი. ისინი, სავარაუდოდ, ბაღდადის სამხრეთ ნაწილიდან გაიტაცეს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ გაიტაცა ამერიკელები და ვინაა მომხდარზე პასუხისმგებელი.

2011 წელს, ვიდრე აშშ ერაყიდან საკუთარ ძალებს გაიყვანდა, ერაყში რადიკალმა შიიტებმა და სუნიტმა მებრძოლებმა არაერთი ქვეყნის მოქალაქე გაიტაცეს და მოკლეს. თუმცა, მას შემდეგ მსგავსი შემთხვევა აღარ მომხდარა. (ინტერპრესნიუსი)

# თურქმენეთში თამბაქოს გაყიდვა აიკრძალა



თურქმენეთში თამბაქოს გაყიდვა აიკრძალა. ხელისუფლებამ მოწევის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში რამოდენიმე ათასი კოლოფი სიგარეტი დაწვა.

Chrono-TM-ის ინფორმაციით, სიგარეტის გაყიდვისთვის ჯარიმა 1,7 ათას დოლარს შეადგენს. სავაჭრო ობიექტების დახლებზე უკვე არ იყიდება სიგარეტი, თუმცა სხვადასხვა წყაროები იტყობინებიან, რომ უკვე გაჩნდა სიგარეტის შავი ბაზარი, სადაც 1 კოლოფის ღირებულება 12 დოლარს შეადგენს. სიგარეტის მოწევის აკრძალვის ინიციატივა ქვეყნის პრეზიდენტს ეკუთვნის, რომელიც ადრე ექიმი-დანტისტი იყო და ჯანმრთელი ცხოვრების პროპაგანდისტია. 2011 წელს ქვეყანაში თამბაქოზე აქციზი გაიზარდა, 2013 წელს აიკრძალა მოწევა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (ghn.ge)

# 19-24 იანვარს საქართველოში ნალექიანი ამინდია მოსალოდნელი



გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 19-20 იანვარს გავრცელებას იწყებს ხმელთაშუა ზღვის ციკლონთან დაკავშირებული შედარებით ცივი და ნოტიო ჰაერის მასები. მოსალოდნელია წვიმა, მთაში თოვლი, ზოგან ძლიერი. მაღალმთიან რაიონებში ზოგან ქარბუქი. იქროლებს დასავლეთის ძლიერი ქარი. ჰაერის ტემპერატურა 19 იანვარს იქნება +9, +14 გრადუსის ფარგლებში, ხოლო 20 იანვარს ტემპერატურა დაიკლებს +3, +8 გრადუსამდე.

21 იანვარს გამოიდარებს. 22-24 იანვარს კვლავ მოსალოდნელია შედარებით ცივი, ნალექიანი და ქარიანი ამინდი. (ghn.ge)

# ირაკლი აბესაძე — წელს თბილისს ახალი ავტობუსები არ ეყოლება და ეს ნარმანიასა და „ქართული ოცნების“ მორიგი ტყუილია



– სამწუხაროდ, 2016 წლის განმავლობაში ქალაქს ახალი ავტობუსები არ ეყოლება და ეს ნარმანიასა და „ქართული ოცნების“ მორიგი ტყუილია, – ამის შესახებ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – თბილისის“ თავმჯდომარე ირაკლი აბესაძე აცხადებს.

მისი თქმით, „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, თბილისში ავტობუსების შემოსაყვანად ტენდერი 2015 წლის ნოემბერში უნდა გამოცხადებულიყო და სასესხო ხელშეკრულებაზე ჯერ მოლაპარაკებები არ დასრულებულა.

– „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან“ მიმდინარეობს თითქოს მოლაპარაკება სასესხო ხელშეკრულებაზე, რათა 2016 წელს თბილისს ახალი ავტობუსები ჰყოლოდა. თავად „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ ინფორმაციით, ავტობუსების შეძენაზე ხელშეკრულება 2016 წლის თებერვალში უნდა გაფორმდეს, მაგრამ ჯერ სასესხო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებებიც არ დასრულდებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, 2016 წლის განმავლობაში ქალაქს ახალი ავტობუსები არ ეყოლება და ეს ნარმანიასა და „ქართული ოცნების“ მორიგი ტყუილია, – განაცხადა აბესაძემ.

თბილისის მერია წელს 150 ერთეული ახალი ავტობუსის შემოყვანას გეგმავს. ავტობუსების შეძენა 30 მილიონი ევროს ოდენობის „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ სესხით უნდა მოხდეს. (ინტერპრესნიუსი)

## ორი დღე არ გასულა, კაცო, და ამერიკამ ირანს სანქციები ისევ დაუწესა




აშშ-მა ირანს კვლავ სანქციები დაუწესა, – აღნიშულის შესახებ რუსული „ბიბისი" წერს.

– ბალისტიკური რაკეტების შემუშავების პროგრამა, ბირთვული იარაღის რესურსების შემუშავებისთვის არასდროს ყოფილა განკუთვნილი, – აცხადებს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ის სანქციებს არალეგიტიმურად მიიჩნევს.

– ირანის ისლამური რესპუბლიკა, ამ ლეგალური ბალისტიკური იარაღის შემუშავების პროგრამის დაჩქარებაზე გადამწყვეტ პასუხს გასცემს, – აცხადებენ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

შეგახსენებთ, რომ 18 იანვარს, დილით, აშშ-მა ირანის კომპანიებისა და კონკრეტული პირების წინააღმდეგ, ბალისტიკური რაკეტების დატესტვის გამო სანქციები გაატარა. ახალი სანქციები 11 ირანულ კომპანიასა და კონკრეტულ პირებს ეხება, რომლებიც ირანის სარაკეტო პროგრამასთან არიან კავშირში და რომლებიც აშშ-ის საბანკო სისტემას ვერ გამოიყენებენ.

ეს გადაწყვეტილება აშშ-მა ირანისთვის საერთაშორისო სანქციების მოხსნის შემდეგ მიიღო. სანქციები ოფიციალურად კვირას მოიხსნა, მას შემდეგ, რაც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ თეირანის მიერ ატომური ენერგიის ყველა პირობა შესრულებულად ცნო. (ipress.ge)

## ყოფნა, არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის!



„ქართული ოცნების" წევრი, დეპუტატი ლექსო თამაზაშვილი გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ის ტოვებს „ოცნებას", არ ადასტურებს და ამბობს, რომ საუბარია მხოლოდ პარტიულ სიაზე, დანარჩენს კი თამაზაშვილი „ჟურნალისტურ ფანტაზიას" უწოდებს:

– არსად არ მივდივარ და მით უმეტეს, არც პარტია „ქართულ ოცნებას" ვტოვებ! ვიყავი, ვარ და ვიქნები ჩვენი გუნდის წევრი. სიუჟეტში საუბარი იყო პარტიულ სიაზე (სხვა დანარჩენი „ჟურნალისტური ფანტაზიის" ამბავია) და ვფიქრობ, რომ ვიქნები პარტიულ სიაში თუ არ ვიქნები, ეს არ ცვლის ჩემს დამოკიდებულებას ჩვენი გუნდისადმი. როგორც ყოველთვის, მე იქ ვიქნები, სადაც გუნდი გადაწყვეტს და დავჭირდები! - აცხადებს თამაზაშვილი. (პირველი რადიო)

## რეაქცია „ალიას" პუბლიკაციაზე

# ვინ არის ბერი ნიკოლოზ მაქარაშვილი და რა სასწაულების შესახებ მოუყვნენ „ალიას" ადამიანები, რომლებიც მას პირადად იცნობენ

მარიკა არღვლიანი
551 81-55-88



გასულ კვირას საპატრიარქომ ბერ ნიკოლოზ მაქარაშვილთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მას უკვე 20 წელია, მღვდელმსახურება აქვს შეჩერებული.

„ალია" დაინტერესდა, რატომ გაავრცელა საპატრიარქომ ასეთი განცხადება და ბერი ნიკოლოზის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება ვცადეთ. საპატრიარქომ დამატებითი განმარტება არ გააკეთა, კომენტარზე უარი თქვეს სასულიერო პირებმაც, რის შემდეგაც ინტერნეტში წავაწყდით, რომ ბერ ნიკოლოზ მაქარაშვილის შესახებ მღვდელ-მონაზონი ილია ვაშაკიძე გარკვეულ განცხადებებს ავრცელებდა. სწორედ ამის გამო კომენტარისთვის მას დავუკავშირდით.

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ დაგვიკავშირდნენ რიგითი მოქალაქეები, სასულიერო პირები და ადამიანები, რომლებიც ბერ ნიკოლოზს პირადად იცნობენ.

რედაქციაში რამდენიმე ადამიანი გვესტუმრა, რომლებიც მღვდელ-მონაზონ ილია ვაშაკიძის მიერ გამოთქმულ განცხადებებს დაუპირისპირდნენ:

**გიორგი ბარდაძე:** მე პირადად მამა ნიკოლოზისგან გაფრთხილებული ვარ, რომ სასულიერო პირზე აუგი არ ითქმის, მაგრამ, როდესაც ვაშაკიძე უსამართლოდ ლანძღავს ჩვენს საყვარელ მოძღვარს, არ ვლანძღავ მე ვაშაკიძეს, მაგრამ ძნელია თავი შეიკავო. ილია ვაშაკიძე არათუ იცნობს, ახლოსაც კი არ ჰყავს ნანახი მამა ნიკოლოზი. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება ამხილო ის, ვისაც არ იცნობ? როგორ შეიძლება მამა ნიკოლოზზე თქვა, ვითომ მდუმარებაშიაო, როდესაც 2005 წლიდან მდუმარებს. მისმა ახლობლებმაც კი არ ვიცით ზუსტად, რას ჭამს, ან რას სვამს და როგორი ღვაწლით ცხოვრობს.

**— უშუალო ურთიერთობა თუ გაქვთ მასთან?**

– დიახ...

**— და რამდენად ხშირად ნახულობთ მამა ნიკოლოზს?**

– რამდენიმე კვირაში ერთხელ გამოდის სახლიდან, ამიტომ ყოველდღიურად არ მაქვს ურთიერთობა. ის ხშირად იცვლის ადგილ-სამყოფელს.

**— ამჟამად სად ცხოვრობს?**

– ამჟამად ცხოვრობს საბურთალოზე, ერთ-ერთი კერძო სახლის ოთახში. მას არ აქვს სახლი, არ ჰყავს მანქანა, არ აქვს მობილური და არ სარგებლობს ინტერნეტით, ილია ვაშაკიძისგან განსხვავებით. 1994 წლამდე მამა ნიკოლოზი იყო მღვდელ-მონაზონი და საპატრიარქომ ილია მეორის მითითებით დააყენა მღვდლობიდან. დაყენება ნიშნავს იმას, რომ ჩამოართვეს მღვდელმოქმედება დროებით და მას არ აქვს 7 საეკლესიო საიდუმლოს შესრულების უფლება და ის ამას ემორჩილება, მაგრამ მამა გაბრიელივით ის არის სიმართლის მთქმელი.

**— როგორ ამბობს ამ სიმართლეს, ის ხომ მდუმარებს?**

– ზოგჯერ წერილობით, ზოგჯერ თავისი ცხოვრების წესით. როგორც მამა გაბრიელი ამბობდა, ბერი ქრისტეს წინაშე უნდა იყოს როგორც მოღრიალე ლომიო, მაგრამ ამას დამსახურება უნდაო. ის, რომ მამა ნიკოლოზი მამა გაბრიელის სულიერი შვილი არ ყოფილა, ილია ვაშაკიძის მხრიდან ნათქვამი დიდი ცილისწამებაა, რადგან ვაშაკიძე მამა ნიკოლოზს არ იცნობს და აბსოლუტურად არ იცის, რა ურთიერთობა ჰქონდათ მამა გაბრიელსა და მამა ნიკოლოზს, როგორც მოძღვარსა და სულიერ შვილს.

**— მამა ილია ვაშაკიძე დარწმუნებით ამბობდა, რომ ეს მას დედა პარასკევამ უთხრა...**

– „ალიაში" გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ დედა პარასკევას დაუკავშირდა მორჩილი თეონა სარჩიმელია და დედა პარასკევამ უთხრა, რომ მსგავსი არაფერი მითქვამს მისთვისო... მამა ნიკოლოზი 3 წელი იყო მორჩილებაში. მამა გაბრიელთან მორჩილებას ვერავინ უძლებდა და ნიკოლოზს სთხოვა, – „არ მიმატოვო, შვილო, შენ ჩემი უკანასკნელი იმედი ხარო"... მამა გაბრიელთან გატარებული ერთი დღე ერთ წელიწადს უდრიდა, მას უდიდესი არაამქვეყნიური ძალა ჰქონდა.

**— მამა ილია ვაშაკიძე იმასაც ამბობს, რომ არ გაუგია, ბერი ნიკოლოზის კურნების შესახებ. ამის შესახებ არც მე მსმენია, თუმცა წმინდა ბერი გაბრიელის მიერ მოხდენილ სასწაულებზე ბევრი წამიკითხავს. თქვენ, როგორც მამა ნიკოლოზთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ადამიანი, რას იტყოდით ამის შესახებ?**

– სვიმონ ახალღვთისმეტყველს აქვს ნათქვამი: ის, ვინც დევნის სხვას, შურის გამო დევნისო.

**საუბარში ზეინაბ ხინთიბიძე ჩაერთო, რომელიც პირადად იცნობდა მამა გაბრიელსაც და პირადად იცნობს მამა ნიკოლოზსაც:**

– ერთხელ, როცა მამა გაბრიელთან მივედი, იქ იჯდა ახალგაზრდა ბერი. მაშინ ეკლესიურად არ ვცხოვრობდი. „ნიკოლოზო", დაუძახა, ყველამ თავი ავწიეთ და ამ ახალგაზრდა ბერს შევხედეთ... „ნიკოლოზ, მე და შენ ერთი ვართ!" ერთნი კი არ უთხრა, ერთი ვართო, ასე მიმართა მას მამა გაბრიელმა. ამ ამბავს მე თავად შევესწარი!..

**მალხაზ ჯინორია:**

– მანანა მერკვილაძეც დაადასტურებს ამ ფაქტს, იქვე იჯდა და ეს სიტყვები სწორედ მან მოისმინა: „ნიკოლოზ, შენ სიგიჟესაც დაგაბრალებენ, მრუშობასაც დაგაბრალებენ, მამათმავლობასაცო, მაგრამ ბერის ხვედრი ესაა და მოითმინეო". ხოლო ფრაზა: „ბერებს შორის დირექტორი მე ვარ და ჩემს შემდეგ ნიკოლოზი იქნებაო", ეს პირადად ჩემთან აქვს ნათქვამი. „ტრუბაში გაგაძვრენენ, ნიკოლოზო", ესეც ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი და „ეკლესიის წმენდა რომ დაიწყებაო, ნიკოლოზი მთავარ როლს ითამაშებსო. ის რომ ჭრის ხმელ ტოტებს, ისე ვერავინ ჭრისო" და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი თავად მაქვს მოსმენილი.

**— ხელნაწერების შესახებ რას იტყვით, რომელსაც ბერი ნიკოლოზი ავრცელებდა და რომელიც გარკვეულ კითხვებს აჩენს?**

– მამა ნიკოლოზს აქვს ნათქვამი – „ჩემი ხელნაწერები პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაიგოთო"... გადატანითი მნიშვნელობით საუბრობს ამ ხელნაწერებში. მაგალითად, ასეთი რამე თქვა: „ჩემი მეზობელი უკრაინელი კირილე გამოვიდა, ის ხომ არ ხდება პატრიარქიო?" შემდეგ კი სწორედ კირილე გახდა რუსეთის პატრიარქი.

„მეზობელი უკრაინელი კირილე" – ეს გადატანითი მნიშვნელობით იყო ნათქვამი... როგორც ქრისტე ლაპარაკობდა იგავებით, ისე საუბრობს იგავებით ბერი ნიკოლოზიც ამ ხელნაწერების მეშვეობით. მე მითხრა პირადად: „ჩემი ნაწერები პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგო, თორემ ღმერთი დაგსჯისო! ტვინი გაანძრიე, რატომ და რისთვის ვამბობ, პირდაპირ არ მიიღოო"... ამას, სამწუხაროდ, ხალხი ვერ იგებს. რაც შეეხება სასწაულებს და წინასწარმეტყველებებს: თუნდაც ციხის კადრებზე, მე პირადად დამიწერა ფურცელზე „18 რიცხვიდან დაიწყება ყველაფერიო". მე ვკითხე, „მამაო, ვინმეს იჭერენ"? და ხელი ჩაიქნია გაბრაზებულმა, რომ

გაგრძელება მე-13 გვ.





## „ლატარიის კომპანია" აქეთ ყოფილა გაჭირვებული, ხალხი კი მოგებასა და გამდიდრებაზე ოცნებობდა...



სახელმწიფო შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" საკუთრებაში არსებული 70-პროცენტიან წილს ინტერნეტაუქციონზე ყიდის.

ორკვირიან აუქციონზე კომპანიის საწყის ღირებულებად მითითებულია მხოლოდ 1000 ლარი. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქტივები 17 მილიონ ლარს აჭარბებს, ხოლო ვალდებულებები 217 მილიონ ლარს. საწარმოს უძრავი ქონება არ გააჩნია.

დეკემბრის მდგომარეობით კი კომპანიას ბიუჯეტის მიმართ აქვს 216 მილიონ ლარზე მეტის დავალიანება.

„საქართველოს ლატარიის კომპანიას" ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების ჩატარების ექსკლუზიური ლიცენზია 15 წლის ვადით, 2009 წელს მიენიჭა. აუქციონთან დაკავშირებით კითხვები აქვთ გადასახადის გადამხდელთა კავშირში.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, დიდი ოდენობით დავალიანება კითხვებს ბადებს კომპანიის ამჟამინდელი და ყოფილი მენეჯმენტის საქმიანობის მიმართ, ხოლო აუქციონის ვადები უნდა გახანგრძლივდეს. (ნიუპოსტი)

## ათასში ერთხელ გამოანათებენ ხოლმე — მარტო ავლაბარშია ეგეთი ბინძური საშაურმე?!



სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისში, ფაღავას ქუჩაზე მდებარე ი/მ „გია ნონიაშვილის" საშაურმეს საწარმოო პროცესი შეუჩერა. დოკუმენტური შემოწმებისას გამოვლინდა ჰიგიენური ნორმების დარღვევა, რაც არაგეგმური ინსპექტირების საფუძველი გახდა. ინსპექტირებისას დაფიქსირდა კრიტიკული შეუსაბამობები (მწერები და ანტისანიტარია, დეზინფექცია-დერატიზაციის არარსებობა), რის გამოც ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა და საწარმოო პროცესი შეუჩერდა.

სურსათის ეროვნული სააგენტო მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსახლეობის ჩართულობას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მოუწოდებს, დაუკავშირდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზს – 2 470-101. (ნიუპოსტი)

## გრიპის ვირუსების შემთხვევების მატება მომავალი კვირიდანაა მოსალოდნელი



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, გრიპის ვირუსების შემთხვევების მატება იანვარ-თებერვალშია მოსალოდნელი. ამის შესახებ განცხადება ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ გააკეთა. მისი თქმით, ამ მომენტისთვის 100 ათას მოსახლეზე გრიპით ინფიცირების 240 შემთხვევაზე მეტი ფიქსირდება, გრიპის ეპიდემია კი იმ შემთხვევაში გამოცხადდება, თუკი შემთხვევების რაოდენობა ყოველ 100 ათას მოსახლეზე 500-ს ინფიცირებულს გადააჭარბებს.

დაავადებათა ეროვნული ცენტრი H1N1 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებითაც ავრცელებს ინფორმაციას. კერძოდ, უწყებაში ვარაუდობენ, რომ ვირუსის ინტენსივობის ზრდა მომავალი კვირიდანაა მოსალოდნელი. ვირუსის ინტენსივობა კი 5-8 კვირის შემდეგ შემცირდება.

გამყრელიძე მოსახლეობას რეკომენდაციით მიმართავს, იმ შემთხვევაში თუ ტემპერატურა 38 გრადუსზე მეტი დაფიქსირდება, ასევე, თავისა და სახსრების ტკივილის დროს, აუცილებლად მიმართონ ექიმს, რომელიც მათ მედიკამენტოზურ მკურნალობას დაუნიშნავს და საჭიროების შემთხვევაში, ჰოსპიტალიზაციაც მოხდება.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის განმარტებით, განსაკუთრებით საფრთხეს წარმოადგენენ ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები, ორსულები და ბავშვები. ცენტრის რეკომენდაციით, მაღალი რისკის ჯგუფში შემავალი ადამიანები უნდა მოერიდონ ხალხმრავალ ადგილებს და ვირუსის სიმპტომების შემთხვევაში ექიმს დაუყოვნებლივ მიმართონ.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით, საქართველოში გრიპის შემთხვევების გამოვლენა ყოველთვის დეკემბრის მეორე ნახევრიდან იწყება და იანვარ-თებერვალში შემთხვევების გარკვეული ზრდა ფიქსირდება.

გამყრელიძის თქმით, გრიპის ვირუსებზე 8 ათასზე მეტი პირი კერძო სამედიცინო დაწესებულებების მიერ აიცრა, ხოლო სახელმწიფოს მიერ აცრილია რისკჯგუფებს დაქვემდებარებული 12 ათასამდე ადამიანი.

## სირიაში საქართველოს კიდევ 2 მოქალაქე დაიღუპა

სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მებრძოლი საქართველოს კიდევ 2 მოქალაქე დაიღუპა.

პანკისელი, სოფელ ომალოს მკვიდრი 22 წლის მუხმად თურქოშვილი სირიაში ერთი წლის წინათ წავიდა, ხოლო მეორე – სოფელ ბირკიანის მკვიდრი 24 წლის რამზან ფარეულიძეა, რომელიც სირიაში წასვლამდე თელავის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ფარეულიძეც სირიაში დაახლოებით ერთი წლის წინათ წავიდა. (პირველი რადიო)

მეთორმეტე გვერდიდან

ვერ მივხვდი... რუსეთის პატრიარქის გარდაცვალებაზე მითხრა 2 კვირით ადრე, ბორჯომში ვიყავით, მდელოზე წამოწვა, გულზე ხელები დაიკრიფა, – ასე იქნებაო. ზუსტად 2 კვირაში პატრიარქის გარდაცვალების ამბავი შევიტყვეთ.

**გიორგი ბარდაძე:**

– მამა ილია ვაშაკიძე ფოტოებზეც საუბრობს და ამასაც მინდა, შევეხო – მამა ნიკოლოზს შეკვეთით არ გადაუღია ბერ გაბრიელთან ფოტოსურათები. არაერთი სურათი არსებობს... ვაშაკიძე როგორ ადარებს ბიბი კინგვერაზე, კარის მეზობელი მივიდა მასთან, 17 წლის გოგონა და ჰკითხა: მამა ნიკოლოზ, ბებია ცუდად მყავს და ეშველება რამეო? ერთი აიხედა მაღლა მამაომ და ხელით ანიშნა, – ყველაფერი კარგად იქნებაო. სახლში დაბრუნებულს 8 წელი ლოგინად ჩავარდნილი ბებია ფეხზე დაუხვდა. მთელი ოჯახი გრიგორიანელები იყვნენ და მართლმადიდებლებად მოინათლნენ, ერთ-ერთი პირადად მე მოვნათლე. უამრავი კურნება ხდება, მათ შორის, სხვადასხვა ქვეყნიდან ხშირად სტუმრობენ მამა ნიკოლოზს სასულიერო პირები...

თავად მამა გაბრიელი ბრძანებდა, საქართველოში წმინათინს. „ჰოდა, მეც ასე მოვიქცევი, თუმცა პატრიარქი ისე მიყვარს, თითქოს ჩემი მამააო“. „ამიტომ მე დამიჯერე, იშიმშილე, ის გზა გაიარე, რაც მე გამოვიარე... მე 25 წელი სასაფლაოებზე მეძინა, 15 წელი ვმათხოვრობდი, 5 პატრიარქი გამოვიცვალე და მათთვის უნდა დამეჯერებინა? წადი და იარე კარდაკარ, ნიკოლოზო!“ – მითხრაო მამა გაბრიელმა“... ამის შემდეგ მამა ნიკოლოზი კელიაში იყო და როგორც მამა გაბრიელმა აკურთხა, 50 დღის განმავლობაში შიმშილობდა. ნახეს, რომ ბერები მარხულობდნენ პატრიარქის კურთხევით, მამა ნიკოლოზი კი შიმშილობდა და გააგებინეს პატრიარქს, – არქია, რომელიც ამქვეყნიურ სასულიერო იერარქიას არ ემორჩილება და ამის უფლება აქვს. რატომ იყო, რომ სალოსებს უფლება ჰქონდათ, პატრიარქი ემხილებინათ? ეს თვითნებური გადაწყვეტილებით კი არ ხდება, სალოსობას უფალი მოგიწოდებს სულიწმინდის სახელით. ეს ბევრმა არ იცის და უნდა დაფიქრდნენ ამ ყველაფერზე... ბერისა და მონაზვნის სტატუსის გარჩევაც ბევრმა არ იცის - ბერი ნიშნავს სულიერებაში დაბერებულს, „სტარეცობა“ რომ ჰქვია, ხოლო მონაზონი არის დამწყები, მგლოვიარე, როგორც ამას სულხან-საბა განმარტავს.



თან გადაღებულ ფოტოს მამა გაბრიელთან გადაღებულ ფოტოს?! არც მინდა შეურაცხყოფა მივაყენო ვაშაკიძეს, ისევ მამა ნიკოლოზის დარიგების გამო... თან ცილს გვწამებს, რეკლამას უკეთებს მამა ნიკოლოზს მისი ხალხიო. არანაირ რეკლამას არ ვუკეთებ და არანაირი მიმდევარი არ ვარ! ეს არის შეურაცხყოფა! დავინახე, რომ მასთან არის სიწმინდე, სიმართლე, პატიოსნება, ცოდნა და ძალა – აი, ამიტომ ვარ მასთან.

**— ახალგაზრდა ქალის თვითმკვლელობაზეც უნდა გკითხოთ - 22 წლის გოგონამ თავი ჩამოიხრჩო და რატომ, რა მოხდა?**

**მალხაზ ჯინორია:** ეს სრული სიცრუეა! ოჯახმა იმხელა ტრაგედია გადაიტანა, ამაზე საუბარი არ შეგვიძლია.

**— როგორც მამა ილია ვაშაკიძე ამბობს, მამა ნიკოლოზის გავლენის ქვეშ მოექცა ეს გოგო, მოწყდა ეკლესიას და სწორედ ამის შემდეგ მოხდა ეს უბედურებაო.**

– სიცრუეა!..

**ლევან ფირცხალავა, აკადემიკოსი:**

– ერთ ამბავს გავიხსენებ... როდესაც მამა ნიკოლოზი ბრძანდებოდა ზემო დანთა ჯაჭვი უწყვეტიაო. მამა ნიკოლოზთან რუმინელი ბერები ჩამოვიდნენ – საპატრიარქოდან პირდაპირ მამა ნიკოლოზთან გამოაგზავნეს და ამბობდნენ, არ წავალთ სამშობლოში, მანამ სანამ ამ წმინდანს არ ვიხილავთო.

**— ეს როდის მოხდა?**

– სულ რამდენიმე თვის წინ...

**— მაშინ რატომ გამოქვეყნდა მსგავსი განცხადება საპატრიარქოს მხრიდან და ზოგადად, რატომ შეუჩერდა მამა ნიკოლოზს მღვდელმსახურება?**

**მალხაზ ჯინორია:** მამა ნიკოლოზს აქვს მოყოლილი: „პატრიარქმა მაკურთხა, წინამძღვრად უნდა წახვიდე მღვიმევის დედათა მონასტერში, რომელიც ჭიათურაში მდებარეობს. ავდექი და მამა გაბრიელთან მივედი, – მამაო, მაკურთხეთ, რომ წავიდე მღვიმევის დედათა მონასტერში-თქო. მამა გაბრიელმა კი კურთხევაზე უარი მითხრა. გავიკვირვე, „როგორ, მამა გაბრიელ, მე ხომ უწმინდესი მგზავნის?“ ამ საუბარს შეესწრო მედავითნე თინათინ მჭედლიშვილი, რომელსაც მამა ნიკოლოზი მიუბრუნდა და ეკითხება: „თინათინ, პატრიარქი რომ ერთ რამეს გეტყვის და მოძღვარი მეორეს, რომელს დაუჯერებო?“ „ალბათ, მოძღვარს, მამა ნიკოლოზ“, – უპასუხია თინგვემორჩილებაო... ეს რომ პატრიარქმა გაიგო, ჩამოვიდა, სტაფილოს წვენი გაუწურა და საკუთარი ხელით მიართვა: „დალიე, ნიკოლოზ, გაახსნილეო“. მამა ნიკოლოზმა კი ხელი კი არ ჰკრა, როგორც არასწორადაა გავრცელებული, არამედ ხელი გააწევინა და ჭიქა არ გამოართვა. პატრიარქს გაუკვირდა, „როგორც პატრიარქი, გეუბნები, დალიე ეს წვენიო“, „არაო, მამა გაბრიელმა მითხრას და მხოლოდ მაშინ დავლევო“, – უპასუხია მამა ნიკოლოზს.

ამის შემდეგ იყო, რომ „ურჩობის“ გამო ბერ ნიკოლოზს მღვდელმოქმედება შეუჩერეს... მეორე დღესვე გავვარდი მამა გაბრიელთან. „მამა გაბრიელ, უშველე მამა ნიკოლოზს, გეხვეწები, დაეხმარე, ხომ ხედავ, რა დღეშია, პატრიარქს ეურჩა-თქო!“ მამა გაბრიელმა კი მშვიდად შემომხედა და მითხრა: „ნიკოლოზი სწორად მოიქცა“... „რატომ?“ – გაოცებულმა ვიკითხე, „იმიტომ, რომ მე ვაკურთხეო“, – მიპასუხა და იქვე დამიმთავრა სათქმელი.

ბევრმა არ იცის ისიც, რომ არსებობს ორი იერარქია – სასულიერო და საერო. სასულიეროც იყოფა ორად – ამქვეყნიური იერარქია, რომელიც ზემდგომს ემორჩილება და სულიერი იერარ-

ერთხელ პატრიარქს ხმამაღლა ლანძღავდა და ცილს სწამებდა მამა გაბრიელი, მამა ნიკოლოზის გასაგონად. მამა ნიკოლოზმა კი უთხრა, „არ მჯერაო“. „არც უნდა დაიჯეროო“, უპასუხა მამა გაბრიელმა. ეს სწავლებაა, ამას ყველა ვერ გაიგებს. არ მოგცემდა მამა გაბრიელი უფლებას, პატრიარქზე ერთი სიტყვა მაინც გეთქვა. ერთხელ ეკლესიაში არ შეუშვა, წინ გადაეღობა. ამას ვინ გაბედავდა? მერე კი მოდიოდა და აქებდა, ასეთი პატრიარქი არავის ჰყავსო! მამა გაბრიელი ასეთ რაღაცას აკეთებდა კიდევ – ვისაც პატრიარქი ძალიან უყვარდა და ფანატიზმში ვარდებოდა, იმათ პატრიარქზე ცუდ რაღაცებს ეუბნებოდა, ვისაც პატრიარქი არ უყვარდა, იმათ – უქებდა. ხალხმა ზომიერება არ იცის და ზომიერებას ასწავლიდა, როგორც ბერი ნიკოლოზი... ამას გაგება სჭირდება...

**— როცა ამ ყველაფერს ვისმენ, გაუგებარია, თუ ასეთი ადამიანი გვყავს, საპატრიარქომ რატომ უნდა გაავრცელოს მსგავსი განცხადება?**

– ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ ადამიანების გარკვეულმა ჯგუფმა თვითნებურად, მამა ნიკოლოზის კურთხევის გარეშე გაავრცელა ფოტოები წარწერებით: „მხსნელი“, „გადამრჩენელი“.

## ბიძინა კუჭავას მეუღლე — ვიზა აღებული არ აქვს, მოსკოვში გარბის კაცი და სისხლიანი პასპორტი უდევს ჯიბეში?!



გარდაცვლილი ბიძინა კუჭავას მეუღლე მარინა ნიკოლოზაშვილი არ ეთანხმება გამოძიების მიერ გავრცელებულ ვერსიას და აცხადებს, რომ ფაქტები სხვა რამეს მეტყველებს, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა კუჭავა აპირებდა საქართველოდან გაქცევას, მას თან არ ექნებოდა ქირიას სისხლიანი პასპორტიც. მარინა ნიკოლოზაშვილის თქმით, ის ასევე არ იცნობს იმ პირებს, რომლებიც ბიძინა კუჭავასთან ერთად ავტომობილში იმყოფებოდნენ.

– დასკვნა არ არის დადებული არც პროკურატურიდან და არც შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ამ დროს არის ბრალდებები. ძალიან ამაღელვა ამ ფაქტმა. საქმე არ არის გამოძიებული, დასკვნა არ არის დადებული და ამ დროს გამოჰყავთ მანიაკალურ პიროვნებად. ძალიან გთხოვთ, კოლეგიალობა გამოიჩინოთ და თავი შეიკავოთ იმ ინფორმაციის გავრცელებისგან, რომელიც არ არის გადამოწმებული. მე არ ვეთანხმები ამ ვერსიას, რომელმაც გაიჟღერა. შეუძლებელია ასეთ ვერსიაზე იფიქროს იმან, ვინც ბიძინა კუჭავას იცნობდა და მეორე - ლოგიკაში არ ჯდება ქმედებები. თუ აპირებდა რუსეთში გაქცევას, თუ ჰქონდა დაზიანებები და თუ ჰქონდა თან ქირიას სისხლიანი პასპორტი, რომელი ჭკუადმყოფელი იზამს ასე. ვიზა ალებული არ აქვს, მოსკოვში გარბის კაცი და სისხლიანი პასპორტი უდევს ჯიბეში?! მე არ მაქვს არანაირი ვერსია, არ გამაჩნია არანაირი ინფორმაცია და არ მომწონს ის, რა ინფორმაციაც ვრცელდება. საქმე არ არის გამოძიებული და უკვე თავიდანვე ფაქტზე დადებულია სარჩელი. არაჩვეულებრივ ხასიათზე იყო ბოლო დღეების განმავლობაში, სახლში ბრძანდებოდა უმეტესწილად. ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბავშვთან. ერთად შევხვდით ახალ წელს. მე დამკითხეს როგორც მოწმე, ქირიების ოჯახთან კი კომუნიკაცია არ მქონია. მე ვერ შევაფასებ გამოძიებას იმიტომ, რომ არ ვიცი საქმის მსვლელობა. როდესაც ჩაერთვება ადვოკატი და მოგვეცემა საშუალება, თვალი ვადევნოთ ყველაფერს, გვექნება საშუალება, რომ ამასთან დაკავშირებით გავაკეთოთ კომენტარი. ვინ ისხდნენ ავტომანქანაში, მათი არც სახელები ვიცი და არც გვარი. არც ფიზიკურად მეცნობიან არანაირად. ძალიან გთხოვთ, ინფორმაციას გადაუმოწმებლად ნუ გააშუქებთ, – განაცხადა მარინა ნიკოლოზაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## როგორ უნდა იცხოვროთ ისე, რომ სიმსივნით არ დაავადდეთ — მეცნიერთა 5 რჩევა



ადამიანები, რომლებიც სიმსივნით იტანჯებიან და ამ საშინელ დაავადებას ებრძვიან, ალბათ, ყველაფერს გაიღებენ, ეს ავადმყოფობა რომ დაამარცხონ.

კარგი ამბავი ამაში ის არის, რომ ყველა ზომა რეციდივის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც სიმსივნით დაავადებულნი იღებენ წარმატებული მკურნალობის შემდეგ, ასევე, ეფექტურია ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც. ასე ამბობს ექიმი დუაით მაქქეი, ონკოლოგიური დაავადებების კვლევისა და მკურნალობის და ჯანსაღი კვების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

მაქქეი გირჩევთ გაითვალისწინოთ მარტივი წესები. საჭიროა არა მხოლოდ წაიკითხოთ, არამედ საკუთარ თავს სიტყვა მისცეთ, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოიყენებთ. იქიდან გამომდინარე, რომ ექიმია და ყოველდღიურად უწევს თავის პაციენტებთან ერთად ამ პრობლემასთან გამკლავება, დუაით მაქქეი ამტკიცებს, რომ მისი რჩევები ნამდვილად ეფექტურად მოქმედებს არა მხოლოდ მის პაციენტებზე, არამედ მათზეც, ვინც ამას გაითვალისწინებს.

**1. თავიდან აიცილეთ სტრესი**

ქრონიკული სტრესი თრგუნავს იმუნური სისტემის მუშაობას და ხელს უწყობს ინფექციების განვითარებას, ეს კი – სიმსივნის კერის საფუძველია. უნდა იპოვოთ სტრესისგან თავის დაღწევის სასიამოვნო საშუალება, იქნება ეს იოგა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, მედიტაცია ან ისეთი აქტივობა რაც თქვენში დადებით ემოციებს იწვევს. საიდუმლო ზუსტად სიამოვნების მიღებაში მდგომარეობს: თუ არ გსიამოვნებთ ამის კეთება, მალევე თავს მიანებებთ.

**2. მოერიდეთ ობს**

„მიკოტოქსინები და აფლატოქსინები, რომელსაც ობი შეიცავს, მეცნიერულ სამყაროში ყველაზე ცნობილი კარცეროგენებია", – ამბობს ექიმი მაქქეი. თუ სახლში მილს გასდის, ან მსგავსი პრობლემა გაქვთ აბაზანასა თუ სარდაფში, კედლები გისველდებათ და ობის სუნს გრძნობთ, არ დააყოვნოთ, გამოიძახეთ ექსპერტი, რომელიც თქვენს სახლს შეამოწმებს და დაადგენს რამდენად სახიფათოა თქვენი ჯანმრთელობისთვის.

**3. ოფლი მოიდინეთ**

ნებრასკას უნივერსიტეტის (აშშ) კვლევების თანახმად, სპორტულ დარბაზში სიარული ეხმარება სიმსივნის თავიდან აცილებასა და მის დამარცხებაში. მეცნიერებმა შეისწავლეს 16 ონკოპაციენტი, რომლებმაც თავი დააღწიეს ამ დაავადებას, სამთვიანი ვარჯიშის კურსამდე და მის შემდეგ. მათ შეადარეს ჯანმრთელი იმუნური უჯრედების რაოდენობა, რომელსაც უნარი აქვს, წინააღმდეგობა გაუწიოს სიმსივნეს, იმ უჯრედებს, რომელსაც არ გააჩნია მსგავსი მოქმედების საშუალება. აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი უმრავლესობაში იყო ვარჯიშამდე, მაშინ როდესაც 3 თვის შემდეგ „ცუდი" უჯრედების რაოდენობა 15 პროცენტით შემცირდა.

**4. დახმარების ხელი გაუწოდეთ**

არსებობს სამეცნიერო მტკიცებულება იმისა, რომ როდესაც უანგარო დახმარებას უწევთ სხვას (მაგალითად, მოხალისე ხართ), ამით თქვენი იმუნური სისტემის ფუნქციონირებას ამაღლებთ. „ჯანმრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, მუდმივად იყოთ დაკავებულნი იმით, რაც სიამოვნებას განიჭებთ და ამ შემთხვევაში არაფერია იმაზე უფრო შესაფერისი, ვიდრე უანგაროდ დაეხმაროთ ადამიანებს".

**5. მიიღეთ ვიტამინები**

ალბათ, დაიღალეთ ამის მოსმენით, მაგრამ ვიტამინი D ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზმისთვის მთლიანობაში და ამასთანავე, ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკისთვის. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი ადამიანი მას საკმარისი რაოდენობით არ იღებს. სიტუაციის გამოსწორება შეიძლება სუფთა ჰაერზე სეირნობით – საკმარისია 10 წუთი დღისით. თუმცა, რაც უფრო ახლოვდება ზამთარი, მზე უფრო სუსტდება, ამიტომ D ვიტამინით მდიდარი საკვების მიღება მოგიწევთ, მაგალითად, ცხიმიანი თევზის.

***intermedia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## როგორ „გამოსდით" ბიჭები, ანუ რაზეა დამოკიდებული ბავშვის სქესი



როგორ „გამოსდის" ზოგიერთ წყვილს ბიჭი, ზოგიერთს კი – მხოლოდ გოგო? ეს თემა კაცობრიობას ოდითგანვე აინტერესებდა.

მაგალითად, არისტოტელე მიიჩნევდა, რომ ამ საკითხში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ ეალერსებოდა ერთმანეთს ცოლ-ქმარი. თუ მამაკაცი უფრო ვნებიანი იყო – ბიჭი ჩნდებოდა, თუ ქალი აქტიურობდა – გოგონა.

ბიოლოგიური მეცნიერებების განვითარების მიუხედავად, ბავშვის სქესის დაგეგმვა მაინც შეუძლებელია. თუმცა მეცნიერებამ ამ მხრივაც მიაღწია პროგრესს – თანამედროვე გამოკვლევებით დადგენილია, რომ ბიჭის გაჩენის შანსი რეალურად დიდი აქვთ ქალებს, ვისაც სისხლში ტესტოსტერონის დონე საშუალოზე მაღალი აქვთ.

ამ საკითხზე საგანგებო კვლევები ჩაატარა ოკლენდის უნივერსიტეტის ბიოლოგმა ვალერია გრანტმა. 20-წლიანი მუშაობის შედეგად მან დაადგინა, რომ ბავშვის სქესი დედის თავისებურებებზეა დამოკიდებული. თავისი ექსპერიმენტებისთვის გრანტი ფსიქოლოგიურ ტესტებს იყენებდა. უამრავმა ქალმა გასცა პასუხი კითხვებს, რამდენად ხშირად გრძნობდნენ თავს ამაყად, თავდაჯერებულად, რამდენად მტკიცედ იღებდნენ გადაწყვეტილებებს ან რამდენად ხშირად იყვნენ თავიანთი გაკეთებული საქმით კმაყოფილები. როგორი გაბრაზება სჩვეოდათ. პარალელურად ულებდნენ ანალიზს ტესტოსტერონზე.

გრანტის გამოკვლევებმა უჩვენა, რომ თავდაჯერებული, ძლიერი და გაბედული ქალები მამაკაცური ჰორმონის, ტესტოსტერონის მომატებული დონით გამოირჩევიან. სწორედ ისინი აჩენენ ყველაზე ხშირად ბიჭებს. ხოლო მგრძნობიარე, ნაზ და ემოციურ დედიკოებს ყველაზე ხშირად გოგონები ჰყავთ.

გრანტის თეორიამ სამეცნიერო წრეებში არც ისე დიდი ხნის წინ მოიპოვა სამეცნიერო სტატუსი და ბუნებრივია, დღემდე საკამათოა. თუმცა არსებობის უფლება ამ თეორიას ნამდვილად აქვს.

***plus.kvira.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## დედას ასე არასოდეს ეხუმროთ!



მეგობრები დაგელია დალოცვილო, დედას რომ არ დასცინო?

კალიფორნიელი ქალი საკუთარი შვილის ბოროტი ხუმრობის მსხვერპლი გახდა.

ბიჭის დედა საავადმყოფოში მუშაობს. ბიჭმაც ლატარიის გაყალბებული ბილეთი 56 წლის ექთნის დახმარებით შეუგზავნა, რომლის თანახმადაც დედამ ჯეკპოტი 1.6 მილიარდი დოლარი მოიგო.

არავინ უწყის რამდენ ხანს გააგრძელებდა ბიჭი საკუთარი გონებამახვილური ხუმრობით ტკბობას, სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას ლატარიის კომპანიაში რომ არ დაერეკა. დამფრთხალი ბიჭი გამოტყდა, რომ დედას გაეხუმრა და არანაირი ჯეკპოტი არ მოუგია.

უცნობია, რა რეაქცია ჰქონდა გამასხარავებულ დედას.

ლატარიის კომპანია ამბობს, რომ სანამ ფსევდომოგებულები ზეიმის ტაშს შემოსცხებენ, სჯობს, კომპანიასთან გაარკვიონ ჯეკპოტის საკითხი.

„კარგი იქნებოდა, რომ ამ ქალბატონს ნამდვილად მოეგო, მაგრამ ტვიტერში არის ინფორმაცია გაყალბებული ბილეთების შესახებ, ამიტომ მონაწილეებს სიმშვიდის შენარჩუნებას ვურჩევთ მანამ, სანამ ჩვენ არ დავუკავშირდებით და მოგებას არ დავადასტურებთ", – განაცხადა ლატარიის კომპანიის წარმომადგენელმა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## „ზოგი ჭირი მარგებელიაო" — საკურთხეველთან მიტოვებულმა პატარძალმა მსოფლიო ტური დაიწყო



როგორც წესი, არაპროგნოზირებადი ხასიათით ქალები გამოირჩევიან და საკურთხეველთან დანიშნულის მიტოვებაც ქალების სფეროა, მაგრამ ამჯერად პირიქით მოხდა და ბრიტანეთის ქალაქ ფორმბიში მცხოვრები ქეით კოლინზი მარტო აღმოჩნდა საკურთხეველთან ღვთისა და მღვდლის წინაშე.

ქეითმა გადაწყვიტა, რომ 30 წლის ასაკში ტირილით და სახლში ჩაკეტვით ვერ გაუმკლავდები სტრესს. ამიტომ სამსახური მიატოვა, სახლი გაყიდა, ტაილანდის ბილეთი იყიდა და დაიწყო ტური მსოფლიოს გარშემო.

ქეითმა საკუთარი ბლოგი გააკეთა, სადაც მოგზაურობის ამბებს წერს.

„ყველამ იფიქრა, რომ ამას სიბრაზის გამო ვაკეთებ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მარტო არასდროს არსად ვყოფილვარ, მარტოობასთან შესაგუებლად დრო მჭირდებოდა. ბლოგზე უცნობი ადამიანები მწერდნენ და მხარს მიჭერდნენ. ზოგიერთისთვის ჩემი ისტორია ახალი ცხოვრების დაწყების მოტივი გახდა", – ამბობს კოლინზი.

ქეითმა ტაილანდში, ინდოეთში და ნეპალში უკვე იმოგზაურა და პირველი რომანტიკული ნოველაც დაწერა. მომავალში კიდევ გეგმავს რამდენიმე წიგნის დაწერას, რომელსაც თავის მოგზაურობას მიუძღვნის.

ასეთი მოგზაურობის გამო კაცი ორჯერაც გადაიტანს ბედის დაკარგვას.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რა ახდენს უარყოფით გავლენას ქალის კბილებსა და ფრჩხილებზე



რამდენადაც ცნობილია, თუთია ნებისმიერი სქესის ადამიანისთვის ძალიან საჭირო კომპონენტია, თუმცა ორგანიზმში მისი ჭარბი რაოდენობა იწვევს თმის ცვენას, ფრჩხილების მტვრევას და კბილების დაბზარვას. განსაკუთრებული საფრთხე კი, ამ მხრივ, მშვენიერ სქესს ემუქრება.

აღნიშნული დასკვნის ავტორები ბრიტანელი და ინდოელი მეცნიერები არიან, რომლებმაც საკითხთან დაკავშირებით 15 კლინიკური კვლევა ჩაატარეს. შედეგად ნათელი მოეფინა იმ ფაქტს, რომ თუთიის შემცველი პრეპარატები აძლიერებს იმუნიტეტს და ორგანიზმს გაციებისგან და სხვადასხვა ინფექციური დაავადებისგან იცავს, თუმცა გვერდითი ეფექტების გარეშე ასეთი წამლების მიღება არ მთავრდება.

ზემოჩამოთვლილი უსიამოვნებების გარდა, თუთიის ჭარბი რაოდენობა ორგანიზმში სპილენძის ნაკლებობას იწვევს და ასევე, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემის მიზეზიც ხდება.

სპეციალისტები მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს მოძღვრავენ, რომ თავი შეიკავონ წითელი ხორცის, ზღვის პროდუქტების, კვერცხის, რძის და იმ პროდუქტების დიდი რაოდენობით მოხმარებისგან, რომლებიც თუთიის შემცველობით გამოირჩევა.

***dr20.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## როგორია იყო მილიარდერი 25 წლის ასაკში?





ყველას არ შეუძლია, იყოს მარკ ცუკერბერგი და გახდეს მილიარდერი 23 წლის ასაკში. თუმცა, საკმაოდ ბევრია ისეთი იღბლიანი, რომლებმაც 25 წლამდე საკუთარი ძალებით შეძლეს მილიარდების დაგროვება.

მსოფლიოში ცნობილი მილიარდერები აღწერენ, როგორია, იყო მდიდარი 25 წლის ასაკში. მდიდარი ადამიანების ანონიმურ კომენტარებს „ბიზნეს ინსაიდერი" აქვეყნებს. გთავაზობთ რამდენიმეს:

**1. მასწავლებლები მდიდარ მოსწავლეებს განსხვავებულად ექცევიან.**

„რამდენიმე მასწავლებელი მაძლევს შესაძლებლობას, გადავაცილო პროექტის ჩაბარების ვადას მაშინ, როდესაც ამისთვის სხვა მოსწავლეებს ნიშანს აკლებენ. ეს არ არის სამართლიანი, თუმცა ჩემთვის, რა თქმა უნდა, კარგია. ამასთანავე, ხანდახან, იყო მდიდარი, მომაბეზრებელია.

მასწავლებლები ძალიან ბევრ შეკითხვას მისვამენ იმასთან დაკავშირებით, რას ვაკეთებ, როგორ გავმდიდრდი და ა.შ".

**2. თავს არაკომფორტულად გრძნობ, როდესაც ფულს არასაჭირო ნივთებში ხარჯავ.**

„მე ღარიბი ოჯახიდან ვარ. ბავშვობაში ვიცოდი, რომ არ უნდა დამეხარჯა იმაზე მეტი, ვიდრე აუცილებელი იყო. ახლა კი უცნაურად მეჩვენება, რომ იმაზე მეტის დახარჯვა შემიძლია, ვიდრე ადრე. მაგალითად, ერთხელ დავჯავშნე ძვირიანი სასტუმროს ნომერი. შემდეგ კი მინიბარის გამოყენების დროს შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ ეს იყო დამატებითი ხარჯი და თავს არაკომფორტულად ვგრძნობდი".

**3. ეკონომია ჯოჯოხეთია.**

„პირველად, როდესაც ე.წ. ბიზნესკლასით მგზავრობ, თავს კარგად გრძნობ, შემდეგ ეჩვევი ამას და არაფერია ამაში განსაკუთრებული. თუმცა ერთხელაც, როდესაც ე.წ. ეკონომკლასით მოგიწევს მგზავრობა, ნამდვილად გაგიჭირდება".

**4. იძენ უამრავ ახალ მეგობარს.**

„გამდიდრების შემდეგ უდიდეს ცვლილებას ვამჩნევ ჩემ გარშემო. როდესაც ადამიანების ნაწილმა აღმოაჩინა, რომ გავმდიდრდი, ისინი ცდილობენ ჩემთან დაახლოებას".

**5. არ მისცე უფლება მოდურ ავტომობილს, შეგიქმნას იმიჯი.**

„როდესაც მამაჩემს ვკითხე, რატომ არ უნდა მეყიდა ავტომობილი კოლეჯში სწავლის დროს მაშინ, როდესაც მისმა კოლეგამ თავის შვილს „მერსედესი" უყიდა, მამაჩემის პასუხი მარტივი იყო. მან მითხრა: „არ მისცე უფლება ავტომობილს, განსაზღვროს შენი იმიჯი. შენი იმიჯი სხვებზე შენმა პოზიტიურმა გავლენამ უნდა შექმნას".

*bpn.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მომავლის ადამიანს შესაძლოა, კატის თვალები და თითებს შორის აპკი გაუჩნდეს



მოემზადეთ მომავალი სილამაზის სტანდარტებისთვის – ცხიმიანი სხეული და ვიწრო მკერდი, ფართო ნესტოები, კატის თვალები, აპკები ხელისა და ფეხის თითებს შორის. ასეთია მეცნიერთა აზრით მომავლის ადამიანის გარეგნობა.

ზღვის დონის მატებამ ადამიანთა დიდ ნაწილს შეიძლება წყალქვეშა, ანდა ნახევრად დაძირულ ქალაქებში ცხოვრება აიძულოს, რაც ადამიანის ფიზიოლოგიის ცვლილებას გამოიწვევს. დოქტორ მეტიუ სკინერი, პალეოანთროპოლოგი კენტის უნივერსიტეტიდან მიიჩნევს, რომ წყალში ცხოვრების გამო ადამიანებს თითებზე აპკი გაუჩნდებათ და ტანზე თმის საფარი შეუმცირდებათ. ჩვენი თვალები კატის თვალებს დაემსგავსება, რათა შეგვეძლოს მდინარეებისა და ზღვის მღვრიე წყალში რაიმეს გარჩევა – ე.წ. ტაპეტუმი განგვივითარდება, ბადურის დამატებითი ფენა. ჩვენი ფილტვები შემცირდება, ვინაიდან მივეჩვევით სპეციალური აპარატებით წყალქვეშ სუნთქვას. ამას გარდა ადამიანს გაუჩნდება ცხიმის დამატებითი ფენა, რათა ცივ წყალში სხეულის სითბო უფრო ადვილად შეინარჩუნოს.

ჰომო საპიენსის გარეგნობაზე შესაძლოა, დიდი ზემოქმედება მოახდინოს კოსმოსურმა მოგზაურობებმა, თუკი, რა თქმა უნდა, დიდხანს ვიმოგზაურებთ. უწონადობის გამო, ანდა დაბალი მიზიდულობის ძალის გამო, მაგალითად მარსზე, ადამიანის სხეული შემცირდება ზომაში, დასუსტდება კუნთები. ტერფი შემცირდება ზომაში და ხელის მტევნის ხელა გახდება. საკვების გამო, რომელიც ძირითადად არამყარი იქნება, დასუსტდება ყბები, შემცირდება კბილების რაოდენობა (შესაძლოა, ნულამდეც), პირი დაპატარავდება და მისი ზომა მხოლოდ საწრუპი ჩალის ღეროს ჩასადებად გამოდგება.ჩვენი სხეულის განვითარების მესამე ვარიანტი, რომელსაც სკინერი განიხილავს, მეტეორიტის ჩამოვარდნის ანდა „ბირთვული ზამთრის" გამო გლობალურ აციებას ითვალისწინებს. მაშინ ჩვენი კანი და თმა ღია ფერის გახდება, რათა რაც შეიძლება მეტი „მზიური" ვიტამინი D შეითვისოს. ცხვირის ზომა გაიზრდება, რათა შესუნთქული ჰაერი უფრო გათბეს. იმისთვის, რომ ამგვარ არახელსაყრელ პირობებში გადარჩნენ, ქალები და კაცები ზომაში გაიზრდებიან, ხოლო მათ სხეულზე თმის საფარი მოიმატებს.

*alioni.info*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## დედამიწის ყველაზე ასაკოვანი ადამიანი 180 წლის გახდა



მაჰაშტა მურასი ოფიციალურად ყველაზე ასაკიან დედამიწელად ითვლება. ახლახან მან თავისი 180-ე დაბადების დღე აღნიშნა. მართალია მას საბუთები დაკარგული აქვს, მაგრამ ითვლება, რომ იგი 1835 წელს დაიბადა.

სპეციალისტები თვლიან, რომ ადენი ხნის სიცოცხლე ფენომენად ითვლება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასაკოვანი ინდუსი სრულ გონზეა, ეს სასწაულს უდრის. თავად იუბილარი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის შესახებ არ საუბრობს, მას თავი უკვდავად მიაჩნია.

ის არა მარტო თავისი ტოლების სიკვდილს, არამედ შვილიშვილის შვილების უმრავლესობის სიკვდილსაც მოესწრო, ვინაიდან ინდუსები, საშუალოდ, 75 წელს ცოცხლობენ.

*old.archeo-news*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ფეხბურთის მთვრალ გულშემატკივარს პოლიციის შენობა საკუთარ სახლში აერია



ხომ გახსოვთ ელდარ რიაზანოვის ფილმი – „ბედის ირონია, ანუ გაამოთ!" ჰოდა, მსგავსი შემთხვევები მხოლოდ ახალ წელს არ უკავშირდება. მთვრალი ადამიანი ახალ წელსაც არაადეკვატურია და 8 მარტსაც.

მინესოტის შტატის ქალაქ სენ-პოლში საფეხბურთო მატჩი „ვიკინგებსა" და „სიეტლას" შორის ჩატარდა. თურმე, „ვიკინგებმა" წააგეს, მისი გულშემატკივარი, 30 წლის მამაკაცი კი დარდის ნიადაგზე ამდგარა და უგონოდ გამომტყვრალა. მერე იფიქრა, სჯობს სახლში მოვინელოო და თავისი ჭკუით მივიდა კიდეც სახლში. ეს „სახლი" კი პოლიციის შენობა აღმოჩნდა და გულშემატკივარს წინასწარი დაკავების საკანში მიუჩინეს ადგილი.

გამოფხიზლების შემდეგ მამაკაცმა ყველა კითხვას გასცა პასუხი და განთავისუფლებაც დაიმსახურა. თუმცა, შესაძლოა, პოლიციის შენობაში უკანონო შესვლის გამო გარკვეული სასჯელი ელოდეს.

პოლიციის პრესსამსახურის თანამშრომელი ბრუკ ბლეიკი კი აღშფოთებულია, ეს პოლიციაც მაინცდამაინც ისეთ ადგილასაა, რომ ფეხბურთის მატჩების შემდეგ, ყველა მთვრალი და მამაძაღლი აქ ბოდიალობსო.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## შოკისმომგვრელი შემთხვევა — ექიმებმა გოგონას საკეისროს დროს მუცელში ზეწარი დაუტოვეს



გასულ კვირას, რუსული საინფორმაციოები ამ სკანდალური ინფორმაციით დაიწყო.

ჯულიამ ნოემბერში იმშობიარა პეტერბურგის ერთ-ერთ კლინიკაში, მაგრამ მწვავე ტკივილები მუცლის არეში დიდხანს აწუხებდა. რამდენჯერაც სამშობიარო სახლს მიმართა, იქ უთხრეს, რომ შესაძლებელია, ეს მუცელში არსებული ჰემატომის ბრალი ყოფილიყო.

საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ სხვა საავადმყოფოსთვის მიემართა, სადაც უთხრეს, რომ მუცელში უცხო სხეული ჰქონდა. ოპერაციის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჯულიას საკეისრო კვეთის დროს მუცელში ზეწარი დაუტოვეს.

სამშობიარომ დუმილის სანაცვლოდ ქალს 100 000 მანეთი შესთავაზა, მაგრამ დაზარალებული, რომელიც სიკვდილს ძლივს გადაურჩა, გაჩერებას არ აპირებს და პოლიციაში იჩივლა.

*etanews.ge*



სვანი სახლს ყიდის. წაიყვანა კლიენტები სახლის სანახავად, ეძება, ეძება და რომ ვერ მიაგნო, ჩაილაპარაკა:

- ეტყობა, ჩემმა ძმამ გაყიდა უკვე...

*****

კოტე ბარში ზის. ბარმენი ეკითხება:

– თქვენი ჭიქა ცარიელია, ბატონო, კიდევ ერთს ხომ არ ინებებდით?

– და ორი ცარიელი ჭიქა რა ჩემ ფეხებად მინდა რო?!

*****



გურულ ქალთან საყვარელი მივიდა. ქალი ჩაწვა ლოგინში, მოემზადა, საყვარელი კი დგას ჩაფიქრებული.

– შენ არ წოზი?

– არა!

– რეიზა?

– არ შემიძლია, წელან ავტობუსში საფულე მომპარეს...

– რავა, საფულეში გედვა?!

*****

– ქალების ჯოჯოხეთში ყველა მამაკაცი გეია! სხვათა შორის, მამაკაცების ჯოჯოხეთშიც...

*****

ცოლი ქმარს:

– შეხედე, საყვარელო, როგორ სრულყოფილად თეთრი გახდა შენი მაისური მას შემდეგ, რაც ის ახალი ფხვნილით გავრეცხე.

– ჰო, მართალი ხარ, მაგრამ სიმართლე გითხრა, მე ის ზოლებიანი უფრო მომწონდა!!!

*****

დაქალები ჭორაობენ:

– ჩემი ქმარი ძილში ძალიან ხშირად ლაპარაკობს, აღარ შემიძლია უკვე! შენმაც იცის ასეთი სისულელეები?

– არა, მხოლოდ იღიმის... რეგვენი!..

*****

– გამარჯობა, ლამაზო, როგორი მაგარი მაისური გაცვია!

– დიდი მადლობა! ისე, მის შიგნით საერთოდ არაფერი მაქვს.

– არ ინერვიულო, გაგეზრდება!..

*****



– ღმერთო, მომეცი მოთმინების უნარი და ყოველი შემთხვევისთვის, 3 მილიონი დოლარიც!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

თენგიზ და ბექა მახარაძეები სამძიმარს უცხადებენ ელდარ ქირიას ძმის

**ვახტანგ ქირიას**

გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## დაფეხმძიმებაში დაგეხმარებათ... ნაყინი



როცა მეცნიერები კონკრეტულ რჩევებს იძლევიან, ცხადია, ამის თქმის სრული საფუძველიც აქვთ.

ჰოდა, მორიგ საინტერესო და ძალიან აქტუალურ თემაზე გერმანელი მკვლევარები საუბრობენ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დაფეხმძიმებაში ქალბატონებს ნაყინი ძალიან დიდ დახმარებას აღმოუჩენთ, განსაკუთრებით კი მაშინ, თუკი ამ გემრიელ საკვებში დიდი რაოდენობით ცხიმი იქნება შესული.

რაც შეეხება ცხიმგამოცლილ ნაყინს, თურმე ის პირიქით, უნაყოფობის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.

კვლევის პროცესში დადგინდა, რომ ქალბატონებს, რომლებიც კვირაში ერთხელ მაინც მიირთმევენ ნაყინს, ქალური პრობლემების წარმოქმნის საშიშროება მთელი 40 პროცენტით უქვეითდებათ.

როგორ ხერხდება ნაყინის დახმარებით ასეთი დადებითი შედეგების მიღება, მეცნიერები ჯერჯერობით, კონკრეტული პასუხის გაცემას ვერ ახერხებენ.

*primamedia.ru*

## შემწვარი ბოსტნეული კარიესის გაჩენის მიზეზი ხდება?



ვისაც ნიგვზიანი ბადრიჯანი უყვარს ან სხვა მსგავსი კერძი, გული უნდა დავწყვიტოთ, რადგან სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ შემწვარი ბოსტნეული, მაგალითად, იგივე ბადრიჯანი, ყაბაყი ან ნებისმიერი სხვა პროდუქტი, კარიესის გაჩენის მიზეზი ხდება.

შესაბამისი კვლევის დახმარებით დადგინდა, რომ ბოსტნეულის შეწვის შედეგად, მათ შემადგენლობაში მნიშვნელოვნად მატულობს მჟავის შემცველობა, რაც, თავის მხრივ, კბილის ემალზე დამანგრეველ გავლენას ახდენს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბოსტნეულში მჟავიანობა მცირდება, თუკი მას კი არ შეწვავთ, არამედ მოთუშავთ.

ექსპერიმენტების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ ტაფაზე აშიშხინება უარყოფითად არ მოქმედებს პომიდორსა და ხახვზე, სამაგიეროდ, ყველაზე დიდ უარყოფით გავლენას განიცდის წიწაკა როგორც შეწვის, ისე მოთუშვის დროს.

*passion.ru*

## დეპრესიისგან განთავისუფლდებით... არა, შოკოლადისგან არა...



ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო საშუალებად, რომელსაც ადამიანის დეპრესიისგან გადარჩენა შეუძლია, სპეციალისტებმა დაასახელეს... შოკოლადი არა-თქო, ხომ ვთქვით. მაშ, რა?

საქმე ეხება პროდუქტს, რომელიც რამდენადაც ცნობილია, ნამდვილი მისწრებაა გაციებისას, ანუ მჟავე ლიმონს.

მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ლიმონს შესწევს ძალა, შეეწინააღმდეგოს დეპრესიის როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორებს.

ამ ახალი აღმოჩენის ავტორები კანადელი სწავლულები არიან. კერძოდ, მათ დაადგინეს, რომ ლიმონი განსაკუთრებულ დადებით გავლენას მშვენიერ სქესზე ახდენს.

იმისთვის, რათა დეპრესიას ლიმონით შეებრძოლოთ, საკმარისია მისი წვენი წყალში გაურიოთ და ყოველ დილით მიიღოთ.

*medportal.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**19 იანვარი:** სხვადასხვა საბაბით შეიძლება აზრი არაერთხელ შეიცვალოთ. ამიტომ უმჯობესია, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება არ იჩქაროთ.

**კურო 22.04-21.05**

**19 იანვარი:** შესაძლოა, სხვებზე იმაზე მეტად ხართ დამოკიდებული, ვიდრე გგონიათ. ამის აღიარება მოგიწევთ და სათანადოდაც უნდა მოიქცეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**19 იანვარი:** სხვის გამო ზედმეტ სადარდებელს ნუ გაიჩენთ, საკუთარიც საკმარისად გაქვთ. მხოლოდ თქვენთვის მნიშვნელოვანი საქმე აკეთეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**19 იანვარი:** ადამიანებს არამხოლოდ მიიზიდავთ, მონუსხავთ კიდეც და თუ მოინდომებთ, ნებისმიერ ადამიანს ძალიან ადვილად დაიქვემდებარებთ.

**ლომი 23.07-22.08**

**19 იანვარი:** როგორც სახლში, ისე მის ფარგლებს გარეთ, თქვენს გარშემო მეგობრული ატმოსფერო იქნება. მთავარია, ეს გარემო შეინარჩუნოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**19 იანვარი:** არავის ჭკუის დარიგება არ მოისმინოთ, მაინც ვერაფერს გაიგებთ. თუმცა ამის სურვილი არც გექნებათ და ამით არაფერს დაკარგავთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**19 იანვარი:** საკმაო დრო გექნებათ, რომ მიღწეული შედეგები დახვეწოთ. კარგად წარმოჩენილ შედეგებს უფრო მეტად დაგიფასებენ და ავტორიტეტსაც აიმაღლებთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**19 იანვარი:** დატკბით სასიამოვნო წვრილმანებით. თუმცა, მათ შორის შესაძლოა, ისეთიც აღმოაჩინოთ, რომელიც შორეულ პერსპექტივაში ძალიან გამოგადგებათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**19 იანვარი:** შეგიძლიათ, დღეს საკუთარ თავს სიზარმაცის უფლება მისცეთ, მაგრამ არაფერი მოიმოქმედოთ. თუმცა, აზრები უნდა მოიწესრიგოთ, რადგან ხვალ მოქმედება უნდა დაიწყოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**19 იანვარი:** ურთიერთთანამშრომლობა ცხოვრებას აიოლებს და არც თქვენი შემთხვევაა გამონაკლისი. ჩართეთ საქმიანობაში ოჯახის წევრები და მთელი ტვირთის ზიდვა თქვენ არ მოგიწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**19 იანვარი:** ცუდი ამბების მოსმენა დღეს არ გაგაწბილებთ, მით უმეტეს, ყველაფერს იღონებთ, რომ კარგი ამბები მოამრავლოთ. ეს გამოგივათ კიდეც.

**თევზები 19.02-20.03**

**19 იანვარი:** შეეცადეთ, ემოციები მოთოკოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი, რაზეც დროსა და ენერგიას დახარჯავთ, წყალში ჩაგეყრებათ.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი **თამაზ ბესტავაშვილი**

(15 საათიდან)

## საყვარელი ადამიანის შეხება ტკივილებს გაგიყუჩებთ



სათვალავში კოცნა რომ არ შევიყვანოთ და მხოლოდ შეხება გამოვყოთ, თურმე, მაინც ძალიან საინტერესო შედეგს მივიღებთ და ახლავე გეტყვით, რატომაც:

ამერიკელ მეცნიერებს დაუდგენიათ, რომ თურმე, შეყვარებულთან შეხება, ადამიანს სტრესის მოხსნაში და თქვენ წარმოიდგინეთ, ტკივილის გაყუჩებაშიც კი ეხმარება!

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერიმენტი კალიფორნიის უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა, რომელშიც ასობით შეყვარებულმა მიიღო მონაწილეობა.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები საკმაოდ ადვილად ასხვავებდნენ საკუთარი რჩეულისა და უცხო ადამიანის შეხებას და უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა უსიამოვნებებსაც აღწევდნენ თავს. კერძოდ, მათ ეხსნებოდათ დაძაბულობა, როცა საყვარელი ადამიანი ეხებოდათ, უცნობების შეხების შემთხვევაში კი ანალოგიური ეფექტი ვერ მიიღწეოდა.

აღსანიშნავია, რომ უსიამოვნო შეგრძნებების განეიტრალება, თურმე, საყვარელი ადამიანის ფოტოს დანახვის დროსაც ხდებოდა შესაძლებელი.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– აუ, ჭიჭიკია, გუშინ იმფერი ქალი დევითრიე, ქალის უნახავი იქნები...

– მერე ბიჭიკია?

– მერე წევიყვანე ყველაზე მაგარ მაღაზიაში და ყველაზე მაგარი შუბა ვუყიდე.

– მერე, მერე ბიჭიკია?..

– მერე ყველაზე მაგარ საიუველირო მაღაზიაში და მაგარი ოქროს სამაჯური ავარჩევინე, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი...

– მერე, მერე ბიჭიკია?..

– მერე ყველაზე მაგარ რესტორანში. ყველაზე მაგარ კონიაკზე დავპატიჟე...

– მერეეე ბიჭიკიააა?..

– რა მერე, გავაცილე სახლში...

– ბიჯო, თუ არაფერს აკადრებდი, წაგეყვანა ჩემი ცოლი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

» 211359457

**გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: ალექსიძის ქ. / კვარტალი 30-4 კორპ. / სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.05